კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი
NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

# სამეცნიერო კონფერენცია

# „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები“

# Scientific Conference

# “MODERN CHALLENGES OF NATIONAL AND INTERNATIONAL SECURITY”

## ნაშრომთა კრებული
## PROCEEDINGS

№ 5

13.12.2023

**UDC (უაკ) 351.86+351.746 ე-811** **ISSN 2449-3071**

**მთავარი რედაქტორი:**

**დავით კუხალაშვილი** - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**თენგიზ ენდელაძე** - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

**ოთარ ქოჩორაძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**პასუხისმგებელი მდივანი:**

**სალომე გუმბერიძე** - საჯარო მმართველობის დოქტორი

**სარედაქციო კოლეგია:**

**მარატ ციცქიშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკ. დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

**ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**დავით ლელაძე** - საჯარო მმართველობის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებულიპროფესორი

**მზევინარ გურული** - კუხალაშვილი - აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი თამარ ბრეგაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**ემზარ საბანაძე** - საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

**გურამ ხორგუანი** - თადარიგის პოლკოვნიკი, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სპეცდისციპლინების კათედრის უფროსი

**გურამ რეხვიაშვილი** - თადარიგის პოლკოვნიკი, საქართველოს სადაზვერვო სამსახურის უფროსი 1991-1992, 1994-1997 წლებში

**ნათია თამარაშვილი -** ბიოლოგიის დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ვახტანგ მშვილდაძე -** ფუნდამენტურ მეცნიერებათა პროფესორი, კვებეკის უნივერსიტეტი, შიკუტიმი, კვებეკი კანადა, ფარმაციის აკადემიური დოქტორი, ი. ქუთათელაძის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის (თსსუ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)

*გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.*

# აბსტრაქტები
# ABSTRACTS

სარჩევი

1. ოთარ სომხიშვილი - სადაზვერვო ლობიზმის ზეგავლენა სახელმწიფოთა პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე ... 9

Otar Somkhishvili - The Impact of Intelligence Lobbying on the Political Security of States .. 10

2. დიმიტრი კობიაშვილი- ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები ახალი მსოფლიოს წესრიგის ფორმირების პროცესში (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე.) ... 11

Dimitri Kobiashvili - National security challenges in the process of formation of the new world order (On the example of post-Soviet Georgia) ... 12

3. ანი გაგნიძე - თანამშრომლობითი უსაფრთხოების თანამედროვე მოდელი და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ... 13

Ani Gagnidze - Modern model of cooperative security and Shanghai Cooperation Organization ... 14

4. გიგა გოგუა - სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუცია და რუსეთ-უკრაინის ომი 2022-2023 წლებში ... 15

Giga Gogua - Military technological revolution and the Russia-Ukraine war in 2022-2023 ... 16

5. ბაკურ ხუბულავა - კატალონიური სეპარატიზმი - ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა ... 16

Bakur Khubulava - Catalan separatism-piscal policy and economical inequality ... 17

6. ნინო კოპალიანი - ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განახლება და თურქეთის პოზიცია ... 18

Nino Kopaliani - Renewal of the Israeli-Palestinian conflict and Turkey’s position ... 19

7. მაია კაპანაძე - ბიოლოგიური იარაღისგან მომდინარე საფრთხეები 21-ე საუკუნეში ... 19

Maia kapanadze - Threats from biological weapons in the 21st century ... 20

8. ანა ჯიქია - საინფორმაციო ომი და პოლიტიკური უსაფრთხოება: მოქალაქეთა უსაფრთხოება ციფრულ ეპოქაში ... 21

Ana Jikia - Information Warfare and Political Security: People’s Security in the Digital Age ... 22

9. ირაკლი გვასალია - არაბული ქვეყნები და პალესტინის საკითხის მოუგვარებლობის პრობლემა ... 23

Irakli Gvasalia - Arab countries and the problem of the unresolved issue of Palestine ... 24

10. ბაქარი გრძელიშვილი - ვებ პოპულიზმი, როგორც საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევა ... 25

Bakari Grdzelishvili - Web populism as a security challenge for Georgia ...................... 26

11. ლიკა ლაგვილავა - კიბერსაფრთხეების გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე ...................................... 27

Lika Lagvilava - Impact of Cyber Threats on National Security and Critical Infrastructure ........................................................................................ 28

12. შოთა შანშიაშვილი - აღმოსავლეთ ევროპაში წარმოებული საომარი მოქმედებები როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარი საფრთხე და გამოწვევა ..................................................................... 29

Shota Shanshiashvili - Warfare in Eastern Europe Actions as an international security architecture The main threat and challenge ............................... 30

13. ქამრან მამედოვი - არაბული ქვეყნების პოზიცია ისრაელ-პალესტინის მიმდინარე კონფლიქტში ........................................................................... 31

Kamran Mamedov - The position of the Arab countries in the current Israel-Palestine conflict ........................................................................................ 32

14. იოსებ მამასახლისი - ჰიბრიდული ომები XXI საუკუნის ახალი რეალობა ......... 32

Ioseb Mamashlisi - Hybrid wars are the new reality of the 21st century ........................ 33

15. თემურ დიღმელაშვილი - კიბერსივრცისგან მომდინარე საფრთხეები და ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევები ..................................... 34

Temur Digmelashvili - Cyberspace Threats and Asymmetric Military Challenges ............ 35

16. ოთარ მურადაშვილი - კორუფციის სადაზვერვო ხასიათი.................................. 36

Otar Muradashvili - Intelligence nature of corruption .................................................. 37

17. არჩილ ორთანეზაშვილი - აზერბაიჯანისა და სომხეთის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების როლი ყარაბაღის კონფლიქტში............. 38

Archil Ortanezashvili - The role of the intelligence and counterintelligence services of Azerbaijan and Armenia in the Karabakh conflict ...................................... 39

18. ნინო თვირიანი - რელიგიური ფაქტორის სადაზვერვო ხასიათი ........................ 39

Nino Tviriani - The intelligence character of the religious factor ................................... 41

19. რევაზ ბერულავა - კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოსა და უცხოეთის მაგალითზე .......................................................................... 42

Revaz Berulava - Cybersecurity Policy on the Example of Georgia and Foreign Countries ..... 43

20. გიზო ქემერტელიძე - საერთაშორისო სამართლისა, პოლიტიკურ/სამხედრო ორგანიზაციების არსებული მოდელების ეფექტურობა სამხედრო კონფლიქტის გადაწყვეტაში ....................................... 44

Gizo Kemertelidze - Efficiency of existing models of international law, political/military organizations in resolving military conflicts ....................................... 45

21. თამარ ოყუჯავა - მედიის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში ................................. 46

Tamar Okujava - The role of the media in the security of the country .......................... 47

22. ავთანდილ ხურციძე - კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის იდეა 3+3 ფორმატში: საქართველოს პოტენციური როლი, საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები ........................................................ 48

Avtandil Khurtsidze - The idea of regional cooperation of the Caucasus in the 3+3 format: potential role of Georgia, threats and expected results. ............................ 49

23. გიორგი მხეიძე - ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური საფრთხეები და გამოწვევები ........................................................................................................ 50

Giorgi Mkheidze - Political-economic threats and challenges of the European Union .... 51

24. სალომე წურიაშვილი - ალბანეთის კომუნისტური ძალის სადაზვერვო ასპექტები და მისი შედეგები ბერძნულ ეთნიკურ უმცირესობაზე ................... 52

Salome Tsuriashvili - Intelligence Aspects of Communist Power in Albania and Its Effects on the Greek Ethnic Minority .................................................. 53

25. ბესიკ თავართქილაძე - ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაზე .......................... 54

Besik Tavartkiladze - Israeli-Palestinian conflict on regional security in the Middle East 55

26. დიმიტრი ცანავა - კიბეროპერაციების მიმართება სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპთან ......................................................... 55

Dimitri Tsanava - The relation of cyber operations to the principle of non-interference in the internal affairs of states. ....................................................... 56

27. კირტავა თამარი - ჟურნალისტიკის როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაში და მისი სადაზვერვო ასპექტები ........................ 57

Tamari Kirtava -The role of journalism in the political security of the state and its intelligence aspects ..................................................................... 58

28. ლერი უშხვანი - პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „გაყინული კონფლიქტების" სადაზვერვო ხასიათი ............................................. 59

Lery Ushkhvani - Intelligence character of "frozen conflicts" in post-Soviet countries .... 60

29. მუხრანი შუბითიძე - ტექნოლოგიების როლი მომავალი უსაფრთხოების ლანდშაფტის ფორმირებაში ......................................................................... 61

MUKHRANI SHUBITIDZE - The Role of Technology in Shaping the Future Security Landscape ........................................................................................ 62

30. თეონა ლეჟავა - სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოება მისი სადაზვერვო ასპექტებით ......................................................................................... 62

Teona Lezhava -Energy security of the state with its intelligence aspects ...................... 63

31. ბექა ჩალაძე - პოლიტიკური კამპანიები და ამომრჩეველთა საინფორმაციო უსაფრთხოება ............................................................................................................. 64

Beka Chaladze - Political campaigns and voter information security ......................................... 65

32. მეგი ჯომიდავა - სადაზვერვო სისტემის მნიშვნელობა

სახელმწიფოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაში ............................................ 66
Megi Jomidava -The importance of the intelligence system in the energy independence of the state ...................................................................................... 67
33. ნათია აბუაშვილი - ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განახლება და გარე აქტორების ჩართულობა მასში ............................................................ 68
Natia Abuashvili - Renewal of the Israeli-Palestinian conflict and the involvement of external actors in it ........................................................................ 69
გურამ ლილუაშვილი - პოლიტიკური დეპოლარიზაციის მნიშვნელობა ევროკავშირის ევრობისთვის ........................................................ 70
Guram Liluashvili - The importance of political depolarization for EU membership ...... 71
34. მაკა ბასილიძე - სამეცნიერო ტექნიკური უსაფრთხოების მაკავშირებლები სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებასთან .................... 72
Maka Basilidze - Connecting scientific and technical security with the political security of the state ........................................................................ 73
35. მარიამ ხაჩიძე - კიბერ უსაფრთხოება და მისი გამოწვევები თანამედროვე სამყაროში .............................................................................. 74
Mariam Khachidze - Cyber security and its challenges in the modern world ................ 75
36. ნოურ ჰამმამი - სირიის რეჟიმი ბაშარ ალ-ასადის მმართველობის ქვეშ ............ 76
Nour Hammami - Syrian regime under the rule of Bashar al-Assad ................................ 76
37. გიორგი ლომუაშვილი, ნანო გელანტია - ჰამასის ურთიერთობები იორდანიასა და ეგვიპტესთან ახალი კონფლიქტის ფონზე ................................ 77
Giorgi lomuashvili, Nano Gelantia - Hamas relations with Jordan and Egypt against the background of a new conflict ................................................................ 78
38. ლიზი ცოტნიაშვილი, ნინი ჭუმბურიძე - ფინეთი როგორც ალიანსის ახალი წევრი და შვედეთის გაწევრიანების პოლიტიკა ნატოში ......... 78
Nini Chumburidze, Lizi Tsotniashvili - Finland as a new member state of the alliance and Sweden's accession policy to NATO ........................................................ 79
39. თეონა გაიდაროვი - კიბერუსაფრთხოება .......................................................... 80
Teona Gaidarovi - Cuber security ........................................................................ 81
40. თამარი გოგოლაძე - ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში ......................................................................... 82
Tamar Gogoladze - Economic security in the conditions of globalization ...................... 82
41. რუსუდან ზარიძე, თათია ოსიაშვილი - სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა/კონტრდაზვერვის როლი უსაფრთხო სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმარებაში 83
Rusudan Zaridze, Tatia Osiashvili - The role of scientific-technical intelligence/counter-intelligence in the planning of safe state policy ........................................................ 84
42. ქეთევან ამირბეგოვი - კიბერუსაფრთხოების პრობლემატიკა საქართველოში . 85

Ketevan Amirbegovi - Cybersecurity issues in Georgia ................................................ 86
43. გიორგი ქვლივიძე - მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნა და განვითარება სუდანის რესპუბლიკაში ................................................................... 86
44. Giorgi Kvlividze - Title of the Abstract: The emergence and development of ongoing armed conflict in the Republic of Sudan ........................................................................... 87
45. ქრისტინა საგინაძე - ამერიკის როლი ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებაში ........ 88
Christina Saginadze - America's Role in the Israel-Hamas Conflict ................................ 89
46. თეკლა კოჭლოშვილი, კესო კაკულია - სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის კონფლიქტი და ამერიკის შეერთებული შტატების როლი მათ შორის არსებულ ურთიერთობაში .................................... 90
Tekla Kotchlohvili, Keso Kakulia - The conflict between South and North Korea and the role of the United States of America in their relationship ............. 91
47. თეკლა გოგოლაძე, ამერიკის როლი ისრაელ-ჰამასის კონფლიქტში .................. 92
Tekla Gogoladze - America's role in the Israel-Hamas conflict ...................................... 93
48. მარია კუმურუ - კვიპროსის ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივები ........................................................................... 93
Maria Koumourou - prospects of settlement of territorial conflict in Cyprus ................. 94
49. ქეთი შუბითიძე, ერეკლე ოსიაშვილი - პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ......................................... 95
Keti Shubitidze, Erekle Osiashvili - The role of political and economic intelligence in international relations ......................................................................... 96
50. ანა სამხარაძე, ნინო კახნიაური - პეკინი - ტაიბეის დაპირისპირება და მისი გავლენა მთელს მსოფლიოზე ................................................................... 98
Ana Samkharadze, Nino kakhniauri - The Beijing-Taipei Controversy and Its Impact Around the World ........................................................................... 99

# სადაზვერვო ლობიზმის ზეგავლენა სახელმწიფოთა პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე

**ოთარ სომხიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით კუხალაშვილი** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება და ქვეყნებს შორის უსაფრთხო ურთიერთობების ორგანიზება წარმოუდგენელია სადაზვერვო საქმიანობის გარეშე, რომლის მნიშვნელოვან ღერძს წარმოადგენს აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა. ადამიანური და ტექნიკური რესურსით განხორციელებული სადაზვერვო საქმიანობა ძლიერ სახელმწიფოებს, სუსტი სახელმწიფოების კონტროლის ხელსაყრელ პირობებს უქმნის. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი სადაზვერვო აქტივობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის მეშვეობითაც მზვერავ სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა, საერთაშორისო ასპარეზზე განახორციელონ საკუთარი ქვეყნის სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნების, ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. სადაზვერვო ლობიზმის ნიშნები სახეზეა, როდესაც ლობისტური ჯგუფების აქტივობებით, სამიზნე სახელმწიფოებში იქმნება მართვადი კრიზისები. შესაბამისად, ეს უკანასკნელი სადაზვერვო აქტივობის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

სადაზვერვო ლობიზმის წარმატების განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შესაძლოა იქცეს მზვერავი სახელმწიფოს მონათესავე, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მიერ სამიზნე სახელმწიფოში შესაძლებელია გამოყენებული იქნას სადაზვერვო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ისეთი აქტივობები, როგორიცაა: დეზინფორმაცია, კომპრომეტაცია, გადაბირება, ლიკვიდაცია და სხვა.

გარდა ამისა, სადაზვერვო ხასიათის ლობირება ხორციელდება მზვერავი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ლობისტური ჯგუფების (შესაძლებელია: კორპორაციული სექტორის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და სხვა გაერთიანებების საფარქვეშ) მიერ, სპეციალური ოპერაციებით, რომლებსაც შესაძლოა გააჩნდეთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეთნიკური, რელიგიური ხასიათი.

სადაზვერვო ლობისტური ჯგუფების ზემოქმედების მიზანია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, წამოწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვა სახის კამპანიებზე ზეგავლენის მოხდენა, პროცესში გარკვეული ცვლილებების შეტანის და სათანადო სარგებლის მიღების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზვერვო საქმიანობა, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, ლობისტური ჯგუფები, მართვადი კრიზისი.

# THE IMPACT OF INTELLIGENCE LOBBYING ON THE POLITICAL SECURITY OF STATES

**Otar Somkhishvili**
Faculty of Social Sciences, Doctoral Program of Political Science, Caucasus International University, Ph.D. student

**Scientific assistant- Davit Kukhalashvili**,
Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

The formation of modern world order and the organization of safe relations between countries is inconceivable without intelligence activities, the important axis of which is agency-operational activity. Intelligence activities carried out by strong states with human and technical resources create conditions for the control and subjugation of weak states.

Lobbying is one of the important directions of intelligence activities, through which intelligence states are allowed to implement the strategic and vital goals of their country in the international arena and to successfully solve tasks. The signs of intelligence lobbying are visible when, through the activity of lobby groups, manageable crises are created in the target states. Accordingly, we can consider this as the result of the intelligence activity. The activity of the kinship, ethnic, and religious groups of the spying state may become a determining factor for the success of the process. They can be used for such activities as disinformation, compromise, recruitment, liquidation, and others. All of these determine the relevance of the research topic.

Opinions are supported by the activities of Armenian, Israeli and Chinese lobby groups in the United States of America. The analysis of information available in open sources reveals that the success of their work was determined by the establishment of a coordinated system of information exchange with their states, the organization of which would be impossible without the participation of intelligence services.

Intelligence lobbying is carried out by lobbying groups subordinate to the intelligence state (possibly: under the guise of the corporate sector, political parties, non-governmental organizations, organized criminal groups, and other associations), with special operations that may have a political, economic, military, ethnic or religious character.

The purpose of influence of intelligence lobbying groups is to influence the political-economic and other campaigns initiated by the legislative and executive authorities, in order to make certain changes in the process and receive appropriate benefits.

The active involvement of special services in the process makes it possible to use both legal (for example, monetary contribution, charity, propaganda, etc.) and illegal methods (for example, bribery, compromising, disinformation, recruitment, intimidation, coercion, etc.), to increase the effect of obtaining benefits for the intelligence state. Besides, in the target state, it helps the government to give up its own country's strategic interests.

**Keywords:** intelligence activity, Intelligence lobbying, Lobby Groups, Manageable crisis.

# ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები ახალი მსოფლიოს წესრიგის ფორმირების პროცესში (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე.)

**დიმიტრი კობიაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**თამარ კიკნაძე,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**დავით კუხალაშვილი,** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში, გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, ეკონომიკურმა გარდაქმნებმა და ძალაუფლების დინამიკის რეკონფიგურაციამ, საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. გაიზარდა ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობა. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა სახელმწიფო მოხელეები გამოირჩეოდნენ მაღალი ინტელექტით, სიდინჯით, გაწონასწორებულობით და უსაფრთხო პროპაგანდაში მონაწილეობით. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული გარე აქტორების მიერ საქართველოს მოწყვლად ტერიტორიებზე ტერორისტული ორგანიზაციების ფორმირება, ასევე საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედი პირებისა და პირთა ჯგუფების დროული გამოვლენა და აღკვეთა, აუცილებელია უსაფრთხო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის სწორი ფორმირება და ამ პროცესში სამეცნიერო სექტორის ჩართულობა.

ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობისათვის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ფაქტორს წარმოადგენს უცხო ქვეყნების მიერ წარმოებული დეზინფორმაციული ნაკადების ნეიტრალიზაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების დემორალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება და საზოგადოება ვერ აკეთებს მართებულ / უსაფრთხო არჩევანს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მშვიდობის სიმყიფეს. დღევანდელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სახეზეა ხელოვნურად შთაგონებული არეულობების არაერთი მაგალითი რომელთა რიცხვიც მატულობს. ხშირია მათი, აქტიურ საომარ კონფლიქტში გადაზრდის შესაძლებლობა (მაგ. უკრაინის ამჟამინდელი პროქსი ომი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება დღეს საქართველომ საკუთარი ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებით, თავიდან აიცილოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მოქმედი ომები?

ეროვნული უსაფრთხოება საზოგადოების თითოეული წევრის საზრუნავს წარმოადგენს. შესაბამისად, მდგრადი ეროვნული უსაფრთხოების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რომლის აუცილებლობისათვის საჭიროა: ერთმანეთისადმი, სამშობლოსადმი, მეზობელი

სახელმწიფოებისადმი და  გეოპოლიტიკურ არეალში საკუთარი როლის გაცნობიერება.

ყველაზე ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხე, უმეტეს წილად, ორგანიზებულია უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების ორგანოებით და ნეიტრალიზაცია ნებისმიერი ხელისუფლების განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს. მათი დაძლევა, განამტკიცებს ეროვნულ უსაფრთხოებას და თანხვედრილს გაგვხდის ახალი მსოფლიო ფორმირების წესრიგთან .

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება, ტერორიზმი, საკადრო პოლიტიკა, დაზვერვა, ახალი მსოფლიო წესრიგი.

# NATIONAL SECURITY CHALLENGES IN THE PROCESS OF FORMATION OF THE NEW WORLD ORDER (AT THE EXAMPLE OF POST-SOVIET GEORGIA.)

**Dimitri, Kobiashvili**
Faculty of Social Sciences, Political Science Doctoral Educational Program, Caucasus International University
**Scientific Assistant:**
**Tamar Kiknadze,** Doctor of Political Science, Associate Professor of Caucasus International University
**Davit Kukhalashvili,** Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

In the process of formation of the new world order geopolitical changes, economic transformations and reconfiguration of power dynamics have presented Georgia with significant challenges. The importance of national security has increased. Today, more than ever, government officials need to be distinguished by high intelligence, integrity, balance, and participation in safe propaganda. In order to prevent the formation of terrorist organizations in the vulnerable areas of Georgia by external actors, as well as timely detection and prevention of persons and groups of persons acting against the national interests of Georgia, the correct formation of a safe political decision-making group and the involvement of the scientific sector in this process is essential.

One of the most important factors for the sustainability of national security is the neutralization of disinformation flows produced by foreign countries in order to avoid the demoralization of both the government and society. Otherwise, the government and society cannot make the right/safe choices, which endangers the fragility of peace. In today’s post-Soviet space, there are many examples of artificially inspired riots, the number of which is increasing. There is a frequent possibility of their turning into an active military conflict (e.g. the current proxy war in Ukraine). Based on the above, the question arises: how can Georgia avoid wars affecting the country’s national security by making its own country’s internal or foreign policy?

National security is the concern of every member of society. Accordingly, for the establishment

of sustainable national security, special importance is given to the state thinking of the society, for the functioning of which it is necessary to understand one's role towards each other, towards the motherland, towards the neighboring states, and in the geopolitical area.

The above-mentioned threat is mostly organized by foreign intelligence agencies, and neutralization is a special duty of any government. Overcoming them will strengthen national security and make Georgia compatible with the new world order.

**Keywords**: National security, Terrorism, Personnel policy, Intelligence, New world order.

# თანამშრომლობითი უსაფრთხოების თანამედროვე მოდელი და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია

**ანი გაგნიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა, პირველი კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**:
**ვახტანგ მაისაია** კსუ-ს პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

21-საუკუნეში მსოფლიო დგას ახალი რისკების, საფრთხეების და გამოწვევების წინაშე. ფართო სოციალური არეულობა, გეოპოლიტიკური დაპირისპირებები და ბირთვული ომის საშიშროების საფრთხეები უფრო და უფრო იზრდება. ამ ყველაფრის ფონზე კი საკმაოდ იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მისი მნიშვნელობა.

საერთაშორისო ორგანიზაციებს ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა რეგიონულ და გლობალურ დონეზე მშვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით. სწორედ აქედან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ საერთაშორისო ორგანიზაციების რაობის შესწავლას, რომ რეალურად დადგინდეს აღნიშნული ორგანიზაციები არიან მოწოდებული მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებისკენ თუ პირიქით, ხელს უწყობენ რისკების და საფრთხეების განვითარებას. ახლა, როდესაც საუკუნის ცვლილებებია სამყაროში, მიმდინარეობს შეიარაღებული დაპირისპირებები სახელმწიფოებს შორის, პანდემია რომელმაც სამყაროს ყველა კუთხე მოიცვა, წარმოიქმნა სერიოზული გამოწვევები, რისკები და საფრთხეები, ამ ყველაფრის ფონზე გაძლიერდა საზოგადოების ცნობიერება საერთო მომავლის შესახებ და უბიძგებს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას დააჩქაროს თვითრეფორმა, გააღრმაოს თანამშრომლობა და გაზარდოს მონაწილეობა გლობალურმმართველობაში.არასტაბილურირეგიონულივითარებამოითხოვსუფროღრმა თანამშრომლობას SCO-ს ფარგლებში. შედეგად, SCO გადადის შიდა თანამშრომლობიდან გარე ურთიერთქმედებებზე, უსაფრთხოების თანამშრომლობიდან ყოვლისმომცველ თანამშრომლობაზე და რეგიონული თანამშრომლობიდან რეგიონულ მმართველობაზე. SCO უფრო დიდ როლს თამაშობს გლობალურ მმართველობაში რეგიონული ეკონომიკის მხარდასაჭერად, გეგმებია გაზარდოს მისი კოორდინაცია და ურთიერთდახმარება წევრ ქვეყნებს შორის, მისი კავშირები გაეროსთან და სხვა ორგანიზაციებთან და მისი

ფოკუსირება ეკონომიკური განვითარების საკითხებზე. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას აქვს დასახული გეგმები რომლის შესრულების შემთხვევაშიც ორგანიზაცია გახდება გლობალური დონის მოთამაშე.

**საკვანძო სიტყვები:** თანამშრომლობითი უსაფრთხოება, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, გლობალური მმართველობა, რეგიონული თანამშრომლობა, საერთაშორისო ორგანიზაციები.

# THE MODERN MODEL OF COOPERATIVE SECURITY AND THE SHANGHAI COOPERATION ORGANIZATION

**Ani Gagnidze**
Faculty of Social Sciences and Humanities, Ph.D. Program in Political Sciences, Caucasus International University.
**Scientific Assistant:**
**Vakhtang Maisaya,** professor of CIU, doctor of political sciences

In the 21st century, the world is facing new risks, threats, and challenges. Widespread social unrest, geopolitical conflicts, and threats of nuclear war are on the rise. In the background of all of this, the role and importance of international organizations are growing. International organizations bear the greatest responsibility for maintaining peace at the regional and global levels. It is for this reason that we should attach great importance to the study of international organizations in order to determine whether these organizations are dedicated to maintaining peace and stability or, on the contrary, contribute to the development of risks and threats. Now, with the changes of the century in the world, the armed conflicts between the states, and the pandemic that has covered all corners of the world, there have been serious challenges, risks, and dangers.

In the background of all this, the public's awareness of the common future has been strengthened, which has prompted the Shanghai Cooperation Organization to accelerate self-reform, deepen cooperation, and increase participation in global governance. The unstable regional situation calls for deeper cooperation within the SCO. As a result, the SCO is moving from internal cooperation to external interactions, from security cooperation to comprehensive cooperation, and from regional cooperation to regional governance. The SCO is playing a more important role in global governance to support the regional economy, with plans to increase its coordination and mutual assistance among member states, its links with the United Nations and other organizations, and its focus on economic development issues. The Shanghai Cooperation Organization has set plans that, if fulfilled, will make the organization a global player.

**Keywords:** cooperative security, Shanghai Cooperation Organization, global governance, regional cooperation, international organizations.

# სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუცია და რუსეთ-უკრაინის ომი 2022-2023 წლებში

**გიგა გოგუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა საოქტორო პროგრამა, მეორე კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**
**ალიკა გუჩუა,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რუსეთ-უკრაინის 2022-2023 წლების კონფლიქტი მიმდინარეობს განვითარებადი სამხედრო ტექნოლოგიური ლანდშაფტის ფონზე, რომელიც ხასიათდება კიბერ შესაძლებლობების და ავტონომიური სისტემების ჩართულობით. ეს ნაშრომი იკვლევს ტექნოლოგიური განვითარების კვეთას და მის გავლენას მიმდინარე ომის დინამიკაზე.
ვინაიდან ამ კონფლიქტში გამოჩნდა ის თუ რამდენად დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სამხედრო-ტექნოლოგიურ ზეგავლენას ომზე იმ პირობებშიც კი როდესაც ძალთა თანაფარდობა არის მკვეთრად არათანაბარი, მნიშვნელოვანია სამხედრო-ტექნოლოგიური პროგრესის ზეგავლენის გამოკვლევა კონფლიქტებთან მიმართებაში.

სამხედრო ტექნოლოგიური უპირატესობა აძლევს შედარებით უფრო მცირე არმიის და რესურსების მქონე სახელმწიფოს წინააღმდეგობა გაუწიოს და ომის მიმდინარეობაც კი შეცვალოს როდესაც სამხედრო ტექნოლოგიური უპირატესობა არის მკვეთრად გამოკვეთილი ხოლო სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია არის სინთეზში.

სამხედრო ტექნოლოგია ახალი შესაძლებლობებს იძლევა ომის წარმოების ტაქტიკის და სტრატეგიის მიმართულებით, მაგალითად უპილოტო საფრენმა აპარატებმა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ორივე მხარეს მნიშვნელოვანი ტაქტიკური მანევრების განხორციელების საშუალება მისცა რაც აქამდე არ ხორციელდებოდა საომარი მოქმედების პირობებში. ასევე რუსეთ-უკრაინის 2022-2023 წლის კონფლიქტი გამოირჩევა მასში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

კვლევა ეყრდნობა ღია წყაროების ინფორმაციის, სამხედრო დოქტრინების ანალიზს, რათა გაეცნოს იმ გზებს, რომლითაც სამხედრო -ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მოახდინა გავლენა რუსეთ-უკრაინის ომზე.

**საკვანძო სიტყვები:** სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუცია, რუსეთ-უკრაინის ომი

# MILITARY TECHNOLOGICAL REVOLUTION AND THE RUSSIA-UKRAINE WAR IN 2022-2023.

**Giga Gogua**
Faculty of Social Sciences, Doctoral Program of Political Sciences,
Caucasus International University, Sophomore year
**Scientific Assistant:**
**Alika Guchua**, Doctor of Political Science, associate professor of
Caucasus International University

The 2022-2023 Russia-Ukraine conflict is taking place against the backdrop of an evolving military technology landscape characterized by cyber capabilities and the involvement of autonomous systems. This paper examines the intersection of technological development and its impact on the dynamics of current warfare.

Since this conflict showed how much impact military-technological influence can have on war even in situations where the balance of power is sharply unequal, it is important to examine the impact of military-technological progress in relation to conflicts. Military technological superiority allows a state with a relatively smaller army and resources to resist and even change the course of the war when military technological superiority is sharply defined and military tactics and strategy are in synthesis.

Military technology provides new opportunities in the direction of war tactics and strategy. For example, unmanned aerial vehicles during the Russia-Ukraine war allowed both sides to carry out important tactical maneuvers that had not been carried out before in the conditions of war. Also, the Russia-Ukraine conflict of 2022-2023 is distinguished by the use of artificial intelligence.

**Keywords:** Military technological revolution, Russia-Ukraine war

# კატალონიური სეპარატიზმი- ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა

**ბაკურ ხუბულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა I კურსი
**სამეცნიერო ხემძღვანელი:**
**ალიკა გუჩუა** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი ეხება კატალონიური სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზების ანალიზს და ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხს ეკონომიკური უთანასწორობის პროცესში. 21-ე საუკუნეში ეკონომიკურ სეპარატიზმი საკმაოდ აქტუალური გახდა და მნიშვნელოვანი

როლი ენიჭება ნაციონალისტურ მისწრაფებების სხვადასხვა გამოვლინებებთან ერთად. რიგი ქვეყნები უკვე ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ იდეაზე მეტად ეკონომიკურ ფაქტორებს აყენებენ. მაგალითისთვის ე.წ. მდიდრების სეპარაციის უმთავრესი მკვებავი კატალონიური სეპარატიზმია.

2003 წლის კატალონიის გენერალიტეტის არჩევნებისა შემდეგ კატალონიაში შეიცვალა სეპარატისტული მოძრაობისადმი მიდგომები. თუ ადრე კატალონიიზმი ასოცირდებოდა ქვეყნის აშენებასთან, რომელიც კულტურულად დიფერენცირებულია დანარჩენი ესპანეთისგან 2003 წლის შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა კულტურის როლი და მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ-პოლიტიკურ ასპექტებს. ნაშრომის მიზანია „ფისკალური პოლიტიკის" ფისკალური დამოკიდებულების ფაქტორის წარმოჩენა კატალონიელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ არ გააჩნიათ ფისკალური დამოუკიდებლობა განსხვავებით კიდევ ორი ავტონომიური რეგიონის ნავარისა და ბასკეთისგან. კატალონიის მოსახლეობა და მთავრობა იზიარებს პოზიციას, რომლის მიხედვითაც დღევანდელ მსოფლიოში, თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ იყვნენ ძალიან წარმატებულნი.

**საკვანძო სიტყვები:** კატალონიური სეპარატიზმი- ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა

# CATALAN SEPARATISM - FISCAL POLICY AND ECONOMIC INEQUALITY

**Bakur Khubulava**

Caucasus International University, Faculty of Social Sciences, Doctoral Educational Program of Political Science, freshman year.

**Scientific Assistant:**

**Alika Guchua**, Doctor of Political Science, Associate Professor of KSU

The work deals with the analysis of the causes of Catalan separatism and the impact of fiscal policy on the issue of economic inequality in the 21$^{st}$ century. Economic separatism has become quite a topical question and plays an important role along with various manifestations of nationalist aspirations. A number of countries are already putting economic factors above historical, cultural, and religious ideas. For instance, it is the main source of the so-called separation of the rich.

After the elections of the Generalitat of Catalonia in 2003, the attitudes towards the separatist movement have changed in Catalonia. Previously Catalanism was associated with building a country that is culturally differentiated from the rest of Spain. However, since 2003 the role of culture has become less important and more attention has been paid to economic-political aspects.

The purpose of the work is to present the fiscal dependence factor of "fiscal policy" in the political life of the Catalans. They do not have fiscal independence, unlike the two autonomous regions of Navarre and Basque Country. The Catalan population and government shared the position according to which small countries can also be very successful in free trade relations in today's world.

**Keywords:** Catalan separatism - fiscal policy and economic inequality

# ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განახლება და თურქეთის პოზიცია

**ნინო კოპალიანი**
კსუ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი

როგორც ისრაელის, ისე პალესტინის მიმართ თურქეთი ბოლო წლებია თავის პოზიციას საკმაოდ მკაფიოდ და ხმამაღლა აფიქსირებს. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი უარყოფად შეხვდა 2018 წლის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აშშ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ცნო და სხვა ქვეყნებსაც მიმართა მხარი დაეჭირათ პრობლემური საკითხის ამ გზით გადაჭრისათვის. მაშინ თურქეთის ხელისუფლებამ, კერძოდ კი პრეზიდენტ ტრამპის ეს გადაწყვეტილება საკმაოდ ხმამაღლა გააკრიტიკა და მოუწოდა მუსლიმურ ქვეყნებს არ შერიგებოდნენ ამ ვითარებას.

ისრაელ-პალესტინის ამჟამად მიმდინარე კონფლიქტის პირობებშიც თურქეთის ხელისუფლება ცალსახა პოზიციას აფიქსირებს. ის ეწინააღმდეგება ისრაელის სადამსჯელო ოპერაციას ღაზას სექტორში და პალესტინელი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. თურქეთი, გარდა ისრაელისა აშშ-საც მიმართავს არ დაუჭიროს მხარი ისრაელის ქმედებებს ღაზას სექტორში. თურქეთიდან ისმის მოწოდებები პალესტინელი ხალხის უდანაშაულობაზე, უფრო მეტიც, მის მიერ ჰამასი არ მიიჩნევა ტერორისტულ ორგანიზაციად, რომ ჰამასი იბრძვის პალესტინელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

თურქეთის ეს პოზიცია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მუსლიმური ქვეყნებისათვის უცხო არ არის. მას მსგავსი პოზიცია აქამდეც არაერთხელ დაუფიქსირებია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. რაც შეეხება ისრაელს, ის უკმაყოფილოა თურქეთის ამ პოზიციით. ერდოღანის მსგავსი განცხადებების გამო თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობა საკმაოდ გაცივდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი როგორც რეგიონში, ისე რეგიონს გარეთ მნიშვნელოვანი ძალაა, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევენ. აქვე უნდა ითქვას, რომ პალესტინელების და მათ შორის ჰამასის მხარდამჭერი მსგავსი მკაფიო განცხადებებით გარდა თურქეთისა არცერთი მუსლიმური ქვეყანა არ გამოირჩევა.

**საკვანძო სიტყვები:** ისრაელი, ჰამასი, თურქეთი, პალესტინა, რეგიონი, განცხადება, პოზიცია.

# RENEWAL OF THE ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT AND TURKEY'S POSITION

**Nino Kopaliani**
Department of Political Science Doctoral student of the doctoral program, Caucasus International University
**Scientific Assistant: Maya Kapanadze**
Doctor of History, CIU associate professor

In recent years, Turkey has been stating its position quite clearly and loudly concerning both Israel and Palestine. Turkish President Recep Tayyip Erdogan rejected US President Donald Trump's 2018 decision to recognize Jerusalem as the capital of Israel and appealed to other countries to support the resolution of the problematic issue in this way. At that time, the Turkish authorities, in particular President Trump, criticized this decision quite loudly and called on Muslim countries not to reconcile with this situation.

Turkey, in addition to Israel, also appeals to the US not to support Israel's actions in the Gaza Strip. Calls are heard from Turkey for the innocence of the Palestinian people; moreover, it does not consider Hamas a terrorist organization and says that Hamas fights for the interests of the Palestinian people.

This position of Turkey is not alien to the Muslim countries of the Middle East region. He has taken a similar position concerning the mentioned issue many times before. As for Israel, it is dissatisfied with the position of Turkey. Due to Er-Doghan's similar statements, relations between Turkey and Israel have cooled down quite a bit. It should be noted here that Turkey is an important power both in the region and outside it, which is highly regarded. It should be added here that no Muslim country, except Turkey, stands out with such clear statements supporting the Palestinians, including Hamas.

**Keywords:** Israel, Hamas, Turkey, Palestine, region, statement, position.

# ბიოლოგიური იარაღისგან მომდინარე საფრთხეები 21-ე საუკუნეში

**მაია კაპანაძე**
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა, დოქტურატურა, I კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი - ვახტანგ მაისაია** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

მსოფლიოში კაცობრიობის წინაშე მრავალი საფრთხე და გამოწვევა დგას, რომელთა წინააღმდეგაც ბრძოლა სულ უფრო რთულდება ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად.

ბოლო ორი ათწლეულის გლობალური მოვლენები მიუთითებს იმაზე, რომ ბიოლოგიური ომის საფრთხე არ არის მითი, არამედ მკაცრი რეალობაა. მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის მსოფლიოში არის პანდემია რომლის გავრცელება ხდება ბუნებრივი გარემოების შედეგად ან ხელოვნურად. ბიოლოგიური იარაღი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან საფრთხეს კაცობრიობისთვის რომლის გავრცელებას ზოგჯერ ახდენენ აგრესიული სახელმწიფოები, ტერორისტები ან ფანატიკური ჯგუფები. მას შეუძლია მილიონობით ადამიანის სიკვდილი ან დაავადება გამოიწვიოს მოკლე პერიოდში და გავრცელდეს სრულიად მსოფლიოში.
ტერორისტების ხელში აღნიშნული იარაღის მოხვედრას შეუძლია საკმაოდ რთული და უმართავი პროცესები გამოიწვიოს, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა ერთიანი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს უმნიშვენლოვანესი ამოცანა სახელმწიფოებისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

ნაშრომში განხილული იქნება ბიოლოგიური იარაღის არსი, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც არეგულირებს მის გაუვრცელებლობის პოლიტიკას. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ბიოლოგიური ტერორიზმის საკითხს და არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების ფაქტორს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. განხილული იქნება აგრეთვე პანდემიის გავლენა მსოფლიო უსაფრთხოებაზე და კონკრეტულად კოვიდ 19-ის, რომლის მსგავსი პანდემიები ან უფრო საშიში ვირუსების გავრცელებაც შეიძლება მოხდეს.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, ბიოლოგიური იარაღი, ბიოტერორიზმი, საერთაშორისო უსაფრთხოება, ასიმეტრიული საფრთხეები.

# THREATS FROM BIOLOGICAL WEAPONS IN THE 21ST CENTURY

**Maia Kapanadze**
Faculty of Social and Humanities, Political Science Program, Ph.D.,
Caucasus's International University, Freshman year
**Scientific Assistant: Vakhtang Maisaia,** Doctor of Political Sciences,
Professor of Caucasus International University

In the world, humanity faces many threats and challenges, the fight against which is becoming more and more difficult with the advance of new technologies. Global events of the last two decades indicate that the threat of biological warfare is not a myth, but a harsh reality. One of the most important challenges in the world is the pandemic, the spread of which occurs as a result of natural circumstances, or artificially. Biological weapons represent a significant threat to humanity, the spread of which is sometimes carried out by aggressive states, terrorists, or fanatical groups. It can cause the death or disease of millions of people in a very short period of time and spread throughout the world. It must be said that the mentioned weapons falling into the hands of terrorists can lead to quite complex and unmanageable processes, the fight against which is impossible without united efforts.

Therefore, the fight against the spread of biological weapons should be the most important task for states and international organizations. The topic will discuss the essence of biological weapons, and international agreements regulating its non-proliferation policy. Also, significant attention will be paid to the issue of biological terrorism and the factor of non-state aggressive actors in international security. Also, the impact of the pandemic on world security will be discussed, specifically of Covid-19, in which similar pandemics or the spread of more dangerous viruses may occur.

**Keywords:** pandemic, biological weapons, bioterrorism, international security, asymmetric threats.

# საინფორმაციო ომი და პოლიტიკური უსაფრთხოება: მოქალაქეთა უსაფრთხოება ციფრულ ეპოქაში

**ანა ჯიქია** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, I კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი -** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ციფრულმა სამყარომ, ონლაინ მედიის შექმნამ ადამიანის სოციოკულტურული ქცევები გარდაქმნა. ონლაინ მედიის განვითარება 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და ციფრული სამყარო მალე გახდა პოპულარული. ონლაინ მოწყობილობებმა, ვებსაიტებმა და სოციალური მედიამ, მაღალტექნოლოგიურმა პლატფორმებმა მაგ. Google, Facebook, Twitter და სხვები, თანაბრად მისცა საშუალება ყველას, საკუთარი იდეოლოგია საჯარო და ხელმისაწვდომი გახადონ. ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით დემოკრატიული სოციალური დღის წესრიგი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. სოციალური მედია და საინფორმაციო ომი თანამედროვე მსოფლიო წესრიგს ქმნის. ციფრულ ეპოქაში, ინფორმაციული ომისა და პოლიტიკური უსაფრთხოების კვეთამ მოქალაქეთა უსაფრთხოება კრიტიკულად საზრუნავი საკითხი გახადა.

ინფორმაციული ომი, რომელიც ხასიათდება ინფორმაციის მიზანმიმართული მანიპულირებითა და გავრცელებით, რათა გავლენა მოახდინოს მოქალაქეთა მოსაზრებებზე, გადაწყვეტილებებსა და ქცევებზე, წარმოადგენს დიდ საფრთხეს პოლიტიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოების სტაბილურობისთვის. აქტორები იყენებენ ციფრული სამყაროს ურთიერთდაკავშირებას, იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს ყალბი ამბების გასავრცელებლად და კიბერშეტევებს უთანხმოების დასათესად, ინსტიტუტებისადმი ნდობის შელახვისა და საზოგადოებაზე მანიპულირებისთვის. ასეთ ორკესტრირებულ კამპანიებს აქვს შორსმიმავალი შედეგები, ანადგურებს დემოკრატიული პროცესების საფუძველს. ამის საპასუხოდ, განვითარდა მოქალაქის უსაფრთხოების კონცეფცია. კერძოდ, მოქალაქეების მედიაწიგნიერების დონის ამაღლებითა და კიბერუსაფრთხოების შესწავლით.

ინფორმაციული ომისა და პოლიტიკური უსაფრთხოების შერწყმა მთავრობებს, ინსტიტუტებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებს საერთო პასუხისმგებლობას აკისრებს დეზინფორმაციისადმი მდგრადი გარემოს ხელშეწყობაში, გამჭვირვალობის ხელშეწყობაში და კიბერუსაფრთხოების ზომების გაძლიერებაში მოქალაქეთა უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების დასაცავად.

ნაშრომში განხილული იქნება საინფორმაციო ომის საფრთხეები, აქტუალური საკითხის მრავალმხრივი განზომილებები, მოქალაქეთა დასაცავად ზომების მიღების აუცილებლობა საინფორმაციო ომის პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება, კიბერომი, მედია, საფრთხეები, საინფორმაციო ომი.

# INFORMATION WARFARE AND POLITICAL SECURITY: PEOPLE’S SECURITY IN THE DIGITAL AGE

**Ana Jikia**
Doctoral student of the political science, doctoral educational program of Caucasus International University, Freshman year.
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili -** Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University.

The digital world and the creation of online media have transformed human socio-cultural behaviors. The development of online media started in the late 90s and the digital world soon became popular. Online devices, websites, and social media, high-tech platforms e.g. Google, Facebook, Twitter, and others have equally allowed everyone to make their ideology public and accessible. With the use of artificial intelligence (AI), the democratic social agenda has become even more diverse. Social media and information warfare are shaping the modern world order. In the digital age, the intersection of information warfare and political security has made people’s security a critical concern.

Information warfare, characterized by the deliberate manipulation and dissemination of information to influence people’s opinions, decisions, and behaviors, is a major threat to political security and societal stability. Political actors are exploiting the interconnectedness of the digital world, using social media platforms to spread fake news and cyberattacks to sow discord, undermine trust in institutions, and manipulate the public. Such orchestrated campaigns have far-reaching consequences, destroying the foundations of democratic processes. In response, the concept of citizen security has been developed. Namely, by raising the level of people’s media literacy and studying cyber security.

The combination of information warfare and political security places a shared responsibility on governments, institutions, and technology companies to foster a disinformation-resistant environment, promote transparency, and strengthen cybersecurity measures to protect people’s rights and democratic principles.

The article will discuss the dangers of information warfare, the multifaceted dimensions of the current issue, and the need to take measures to protect people in the conditions of information warfare.

**Keywords:** political security, cyber security, cyber war, media, threats, information warfare

# არაბული ქვეყნები და პალესტინის საკითხის მოუგვარებლობის პრობლემა

**ირაკლი გვასალია**
კსუ-ს პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი

ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებისთანავე დაიწყო, არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომები, რომლის ძირითადი მიზანიც სამანდატო პალესტინის გაყოფის გაეროს გეგმის თანახმად, დამოუკიდებელი პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნა იყო.

1948 – 1949, 1967 წლის, 1973 წლის ომებში ჩართული არაბული ქვეყნები ძირითადად თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამ ომების შედეგად, არ მომხდარა პალესტინის დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნა. პირიქით პალესტინის სახელმწიფოსთვის განკუთვნილი ტერიტორია სულ უფრო მცირდებოდა.

შემდგომ პერიოდში პალესტინასა და ისრაელს შორის გამართულ მოლაპარაკებებშიც არ იგრძნობოდა არაბული ქვეყნების ერთიანი პოზიცია. ყოველივე ეს სულ უფრო აღრმავებდა კონფლიქტს და აფერხებდა პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას.

პალესტინასა და ისრაელს შორის საომარი ოპერაციები პერიოდულად კვლავ მიმდინარეობდა, რაშიაც არაბული ქვეყნები მეტ-ნაკლებად ერთვებოდნენ ხოლმე, მაგრამ ამას პოზიტიური შედეგი პალესტინისათვის არ მოუტანია.

პალესტინა და ისრაელს შორის ამ ჟამად მიმდინარე საომარ ოპერაციებს ისრაელ - ჰამასის კონფლიქტს უწოდებენ. წინა პერიოდების საომარი ოპერაციებისაგან განსხვავებით, ახლანდელი საომარი მოქმედებები ბევრად განსხვავებულია თავისი სისასტიკითა და მასშტაბურობით. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე კონფლიქტში არაბული ქვეყნების პოზიციები, ისევე როგორც წინად, ახლაც არაერთგვაროვანია.ეს ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ამ კონფლიქტის მოგვარებაზე.

არაბულ ქვეყნებს დღემდე არ აქვთ ერთიანი პოზიცია პალესტინის სახელმწიფოს მომავალთან დაკავშირებით. ისინი ახლაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ეს კი სულ უფრო მეტად ართულებს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას და ახანგრძლივებს კონფლიქტს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

**საკვანძო სიტყვები:** პალესტინა, ისრაელი, ომი, კონფლიქტი, არაბები, ქვეყნები.

# ARAB COUNTRIES AND THE PROBLEM OF THE UNRESOLVED ISSUE OF PALESTINE

**Irakli Gvasalia**
Doctoral student of political science at Caucasus International University
**Scientific Assistant: Maya Kapanadze** Doctor of History, CIU associate professor

Immediately after the declaration of the State of Israel, a war between the Arab countries and Israel broke out, the main goal of which was to create an independent Arab Republic of Palestine according to the UN plan to divide Mandatory Palestine.

The Arab countries involved in the wars of 1948-1949, 1967, and 1973 acted mainly in their interests. Due to the wars, the establishment of an independent Arab state of Palestine was thwarted. On the other hand, the territory designated for the establishment of the Palestinian state continued to diminish.

In the subsequent period, in the negotiations between Palestine and Israel, the united position of the Arab countries was not palpable, which led to the intensification of the conflict hindering the creation of a Palestinian Arab state.

The war operations between Palestine and Israel continued intermittently, in which the Arab countries were more or less involved. However, this failed to yield favorable results for Palestine.

The current war operations between Palestine and Israel are called the Israel-Hamas conflict. Unlike the military operations of previous periods, the current military operations exhibit a markedly dissimilar scale and brutality. It should be noted that the positions of the Arab countries in the current conflict, as before, are still heterogeneous. Consequently, the resolution of this conflict is adversely affected.

Arab countries still do not have a unified position regarding the future of the Palestinian state. They continue to act in their self-interests. This further complicates the prospect of a Palestinian state and prolongs the conflict in the Middle East region.

**Keywords:** Palestine, Israel, war, conflict, Arabs, countries.

# ვებ პოპულიზმი, როგორც საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევა

**ბაქარი გრძელიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით კუხალაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პოპულიზმი ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო მეტ წონას იძენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ახლა აღმავლობას განიცდის. ერთ - ერთი ამის მიზეზი მასების მოზიდვის ახალი ინსტრუმენტია - ინტერნეტ ტექნოლოგიები, კერძოდ, სოციალური ქსელების განვითარება.

სტატიაში განვიხილავთ, პოპულისტურ ძალებს საქართველოში, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთი ნაწილი ხასიათდება ლიბერალიზმის ღირებულებების ხელყოფით. ამ "ფლანგის" პოპულისტების უმრავლესობისთვის მიუღებელია გლობალიზაცია, ლიბერალური ფასეულობები. ლიბერალური ღირებულებებისადმი წინააღმდეგობრიობა ყველაზე ნათლად გამოიხატება ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში. ამ მიმართულებით ნეგატიური დამოკიდებულება ხშირად სწორედ ანტი-მიგრანტულ გამოსვლებში გამოიხატება.

პოპულისტებისმეორე"ფლანგს"წარმოადგენსე.წ."რადიკალურიოპოზიცია"რომლებიც, ლიბერალური იდეების ამოფარებული, ქვეყნისთვის დამაზიანებელ მოქმედებებს ახორციელებენ, მათ შორის ბოლო პერიოდში ევროკავშირში კანდიდატობის სტატუსის საქართველოსთვის არ მიცემის კუთხით, აგრეთვე დეზინფორმაციის - „საქართველო არღვევს რუსეთის მიმართ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს" გავრცელებით.

ძირითადად პოპულისტები სოციალური ქსელების მეშვეობით ორგანიზდებიან, გავიხსენოთ Facebook ში აგორებული კამპანია თითქოს საქართველო არ ასრულებდა 12 პუნქტიან გეგმას. საპირისპირო პოპულისტური "ფლანგიდან" ევროკავშირის დროშის დაწვა, რამდენიმე თვიანი მზადება LGBT+ აქციის დარბევისთვის.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებაში "ძალადობის მატება", ძალადობრივი ჯგუფების გააქტიურება, რაც რა თქმა უნდა სახელმწიფოს კომპრომეტაციას უწყობს ხელს.

სტატია პასუხს სცემს კითხვებს: რა საფრთხეებს შეიცავს ვებ პოპულიზმი სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის და მისი ნეგატიური გავლენის პრევენციების, რა მექანიზმებია საჭირო?

**საძიებო სიტყვები:** პოპულიზმი, სახელმწიფო უსაფრთხოება, ვებ-პოპულიზმი, სოციალური ქსელები, ანტილიბერალიზმი, "რადიკალური ოპოზიცია".

# WEB POPULISM AS A SECURITY CHALLENGE FOR GEORGIA

**Bakari Grdzelishvili**
Faculty of Social Sciences, Student of Doctoral Program of Political Science, Caucasus International University
**Scientific Assistant - Davit Kukhalashvili -** Academic doctor of History, associate professor of Caucasus International University

Populism has recently been gaining increasing influence on political life. It is presently ascending. One of the reasons for this rise is a new tool for attracting the masses - internet technologies, in particular, the development of social networks.

In the article, we will discuss populist forces in Georgia, which are diverse. One part is characterized by undermining the values of liberalism. For the majority of populists of this flank, globalization and liberal values are unacceptable.  Rejecting liberal values is most pronounced in relation to ethnic, religious, and sexual minorities. A negative attitude towards this direction is often expressed in anti-migrant speeches.

The second flank of populists represents the so-called 'Radical Opposition'. The 'radical opposition', cloaked in liberal ideology, is undertaking actions that are detrimental to the country, including the recent non-granting of EU candidate status to Georgia, as well as the dissemination of disinformation, such as the claim that 'Georgia violates international sanctions against Russia'.

The majority of populists are organized through social networks. Upon reflection, let us revisit the campaign claiming that 'Georgia had failed to comply with the 12 conditions towards UN candidate status', the burning of a UN flag by the opposite populist flank, and several months of preparation for the crackdown on LGBT+ rally.

At the modern stage, the threat to the national security of Georgia is the 'increase in violence' in society, and the activation of violent groups, which of course contributes to the state's compromising.

The article answers the questions: What are the dangers of web populism for state security and prevention of its negative impact, what mechanisms are needed?

**Keywords.** Populism, state security, web populism, social networks, antiliberalism, 'radical opposition'.

# კიბერსაფრთხეების გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე

**ლიკა ლაგვილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. II კურსი
**ნაშრომის ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ციფრულ ტექნოლოგიებზე და მასთან დაკავშირებულ სისტემებზე მზარდმა დამოკიდებულებამ გაზარდა კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაში. თემაში განხილულია კიბერსაფრთხეების გავლენა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემებზე და მის ძირითად ინფრასტრუქტურაზე.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორების, მათ შორის ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის და ჯანდაცვის ურთიერთდაკავშირებას და აანალიზებს, თუ როგორ შეიძლება ამ სფეროებში შეფერხებებმა კასკადური გავლენა მოახდინოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მიმოხილულია რეალური სამყაროს შემთხვევები, რათა აჩვენოს კიბერ ინციდენტების შედეგები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებზე, ხაზგასმულია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის პოტენციალი.

განხილულია კიბერსაფრთხეების სტრატეგიული შედეგები, მათი როლის გათვალისწინებით - თანამედროვე კონფლიქტებსა და გეოპოლიტიკურ დაძაბულობებში.

ხაზგასმულია კიბერუსაფრთხოების ყოვლისმომცველი სტრატეგიების აუცილებლობა, რომელიც არა მხოლოდ ტექნოლოგიურ თავდაცვაზე იქნება ორიენტირებული, არამედ განიხილავს პოლიტიკას, რეგულაციას და საერთაშორისო თანამშრომლობას კიბერ საფრთხეების პოტენციური შედეგების შესამცირებლად.

კიბერ საფრთხეების დინამიკური და გავრცელებული ზემოქმედების ღრმა გაგებას სჭირდება საფუძვლიანი კვლევა და ანალიზი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორის წინაშე არსებული საფრთხეების. ამ სისტემების ურთიერთდაკავშირებული ბუნებისა და კიბერ მოწინააღმდეგეების განვითარებადი ტაქტიკის შესწავლით, თემა მიზნად ისახავს პოლიტიკოსების, უსაფრთხოების პროფესიონალების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას კიბერუსაფრთხოების პროაქტიული და ადაპტირებული მიდგომების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ, რათა უზრუნველყოს ერების გამძლეობა.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერსაფრთხეები, ეროვნული უსაფრთხოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ციფრული ტექნოლოგიები, კიბერ ინციდენტები.

# IMPACT OF CYBER THREATS ON NATIONAL SECURITY AND CRITICAL INFRASTRUCTURE

**Lika Lagvilava**
Caucasus International University, Faculty of Social Sciences and Humanities, Doctoral Educational Program in Political Science. Sophomore year
**Scientifc assistant: Alika Guchua**, Doctor of Political Science, Head of the Bachelor Program of International Relations of the Caucasus International University, Associate Professor of the Caucasus International University

The growing reliance on digital technologies and related systems has increased the importance of cybersecurity in protecting national security and critical infrastructure. The thesis examines the impact of cyber threats on the country's security systems and its main infrastructure.

Considerable emphasis is placed on the interconnectedness of critical infrastructure sectors, including energy, telecommunications, transportation, and healthcare analyzing how disruptions in these areas can have cascading effects on national security. Real-world cases are reviewed to illustrate the effects of cyber incidents on both developed and developing countries, highlighting the potential for economic, social, and political destabilization.

The discourse revolves around the strategic ramifications of cyber threats, taking into account their role in present-day conflicts and geopolitical tensions.

It highlights the need for comprehensive cyber security strategies that focus not only on technological defense but also consider policy, regulation, and international cooperation to mitigate the potential consequences of cyber threats.

A deep understanding of the dynamic and pervasive impact of cyber threats requires thorough research and analysis of the threats facing the national security system and critical infrastructure sector. By examining the interconnected nature of these systems and the evolving tactics of cyber adversaries, the theme aims to inform policymakers, security professionals, and stakeholders of the urgent need for proactive and adaptive approaches to cyber security to ensure the resilience of nations.

**Keywords:** Cyber threats, National security, Critical infrastructure, Digital technologies, Cyber incidents.

# აღმოსავლეთ ევროპაში წარმოებული საომარი მოქმედებები როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარი საფრთხე და გამოწვევა

**შოთა შანშიაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

**სამეცნიერო ხელმძღვანელები - ვახტანგ მაისაია,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

**თანახელმძღვანელი - ლევან ნიკოლეიშვილი,** პოლიტიკის მეცნიერებათა  დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი

2022 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომმა თვისობრივად შეცვლა როგორც რეგიონული გეოპოლიტიკურიმოცემულობა,აგრეთვემანამდეარსებულისაერთაშორისოუსაფრთხოების არქიტექტურა, ომის დაწყების მთავარ ე.წ მაპროვოცირებელ გარემოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც რუსეთის ფედერაციის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკური ორიენტირი, აგრეთვე უკრაინის სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური სივრცისაკენ, რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოებისათვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს მისი საზღვრების სიახლოვეს არ მიიღოს მოცემულობა ნატოს წევრი სახელმწიფო, შესაბამისად აღნიშნული კონვენციური საომარი მოქმედებების დაწყება რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოიცავს მინიმუმ უკრაინის ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის ე.წ ტორპედირებას, ხოლო მაქსიმუმ კი უკრაინის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავებასა და შემდგომ მათ ანექსიას

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში 6 ივნისს უკრაინის თავდაცვის ძალების მიერ დაწყებული კონტრშეტევა ფაქტობრივად სრულად ჩავარდა, ვერ იქნა მიღწეული ვერც ერთი დასახული ტაქტიკურ ოპერატიული მიზანი, აღნიშნული შედეგების მთავარ მიზეზი გახდა უკრაინის თავდაცვის ძალების მიერ კონტრშეტევის დაანონსება, ხოლო სადაზვერვო სამსახურების მიერ ინფორმაციის არ გაჟონვის რეჟიმის ვერ შენარჩუნება,

უკრაინის სამხედრო ძალებში არასაკმარისი განაღმვითი ქვედანაყოფების არსებობა, საჰაერო მხარდაჭერის ნაკლებობა სახმელეთო საჯარისო დანაყოფებისათვის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ფარგლებში არსებული სამხედრო დანაყოფების მიერ კარგად ორგანიზებული სამ ხაზიანი ეშელონიზირებული თავდაცვითი ზღუდეების არსებობა. არსებული ვითარების გათვალისწინებით იკვეთება გარკვეული კონტურები საომარი მოქმედებების პოზიციური ე.წ სტატიკური ომის ფაზაში გადასვლის მიმართულებით, შესაძლოა ე.წ ოპერატიული პაუზის ფაზის დადგომაც, მაღალი ალბათობით რუსეთის ფედერაცია შეეცდება გამოიყენოს ზამთრის პერიოდი საჰაერო დარტყმების გზით უკრაინის ენერგო სისტემის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მაქსიმალური

დაზიანებისათვის, აგრეთვე სახმელეთო ოპერაციების ჭრილში მაქსიმალურად შეეცდება დონბასის რეგიონის სრულ გაკონტროლებას, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების ჭრილში არსებული დინამიკის გათვალისწინებით კვლავ მაღალია საფრთხე ბირთვული იარაღის გამოყენების განსაკუთრებით ტაქტიკური ბირთვული იარაღის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები**: უსაფრთხოება, თავდაცვა, საომარი მოქმედებები, საფრთხე, კონფლიქტი

# WARFARE IN EASTERN EUROPE ACTIONS AS AN INTERNATIONAL SECURITY ARCHITECTURE

# THE MAIN THREAT AND CHALLENGE

Shota Shanshiashvili
Ph.D. student in political science, Caucasus International University
**Scientific Assistant: Vakhtang Maisaya,** Doctor of Political Science, professor at Caucasus International University;
Co-head - **Levan Nikolaishvili**, Political Sciences Doctor, Davit Agmashenebeli National University of Georgia Defense Academy professor, reserve colonel

At the beginning of 2022, hostilities commenced on the territory of Eastern Europe, in particular, the Russia-Ukraine war, qualitatively changed the regional geopolitical situation, as well as the international security architecture that existed before, the main so-called provoking circumstances for the start of the war can be considered as the imperialist foreign policy orientation of the Russian Federation, as well as Ukraine's pursuit for the North Atlantic Alliance, it is an existential threat to the national security of the Russian Federation if a NATO member state is not accepted within its borders. Accordingly, the initiation of the aforementioned conventional hostilities on the part of the Russian Federation includes at least the so-called torpedoing of Ukraine's North Atlantic integration, and at most the seizure of important territories of Ukraine and their subsequent annexation.

It should be noted that the counter-offensive launched by the Ukrainian Defense Forces on June 6th of the present year was a resounding failure, none of the set tactical operational goals were achieved.

The Ukrainian military forces exhibited deficiencies in several areas including demining units, air support for ground military units, as well as the presence of well-organized three-line echelonized defensive barriers by military units within the framework of the special military operation of the Russian Federation.

In light of the current situation, clear contours are emerging towards the transition of hostilities into the phase of positional, so-called static war, perhaps even the advent of the so-called operational pause phase, with a high probability that the Russian Federation will try to

use the winter period through airstrikes for maximum damage to the energy system and critical infrastructure of Ukraine, as well as ground operations. Besides, it will make every effort to achieve full control over the Donbas region. It is noteworthy to mention that, taking into account the current dynamics in terms of war prospects, the danger of deploying nuclear weapons, particularly tactical nuclear weapons, remains high.

**Keywords:** security, defense, military activities, threat, conflict

# არაბული ქვეყნების პოზიცია ისრაელ-პალესტინის მიმდინარე კონფლიქტში

**ქამრან მამედოვი**

კსუ-ს სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ-ს ასოც პროფესორი

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი არაბული ქვეყნების პოზიცია ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მართალია არაბული ქვეყნების ნაწილი ისრაელის წინააღმდეგ ომებში ჩართულები იყვნენ, მაგრამ ისინი არამც თუ პალესტინის, არამედ საკუთარი ინეტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამის შედეგია ის, რომ პალესტინის არაბული სახელმწიფო დღემდე არ არსებობს. ეს პროცესი გრძელდება დღემდე.

ამჟამად მიმდინარე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში, რომელსაც ხშირად ისრაელ ჰამასისკონფლიქტსაცკიუწოდებენ,არაბულიქვეყნებისპოზიციაკვლავარაერთგვაროვანია. მართალია, არაბული ქვეყნების უმრავლესობა(სირია, ეგვიპტე, ლიბანი, იორდანია და სხვა) გმობენ ისრაელის მიერ წარმოებულ საომარ ოპერაციებს პალესტინელების წინააღმდეგ, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად. რეალურად პალესტინელები კვლავ მარტოები დარჩნენ ისრაელის პირისპირ.

რამოდენიმე წლის წინ აშშ-ს ინიციატივით არაბული ქვეყნების ნაწილმა (მაროკო, ბაჰრეინი, გაერთიანებული არაბული საიმიროები) გარკვეულ შეთანხმებასაც კი მიაღწია ისრაელთან მაგრამ ეს პროცესი ამით დასრულდა. ამ ქვეყნებიდან არც ერთს ისრაელის სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობები არ დაუმყარებია. ამჟამად მიდინარე კონფლიქტში როგორც უკვე ავღნიშნეთ პალესტინელებს არაბული ქვეყნები მხოლოდ სიტყვიერად უჭერენ მხარს, რადგან საკუთარი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე არ სურთ კონფლიქტში ჩარევა.

**საკვანძო სიტყვები:** კონფლიქტი, არაბული ქვეყნები, ისრაელი, პალესტინა

# THE POSITION OF THE ARAB COUNTRIES IN THE CURRENT ISRAEL-PALESTINE CONFLICT

**Kamran Mamedov**
Doctoral student of the political science doctoral program of the Faculty of Sciences, Caucasus International University
**Scientific supervisor: Maya Kapanadze**, associate professor, Doctor of Historical Sciences Caucasus International University

The positions of the Arab countries towards the Israeli-Palestinian conflict differ from one another. Although some of the Arab countries were involved in wars against Israel, they did not act in the best interests of Palestine, but in their self-interests. As a result, the Arab state of Palestine does not exist and this process has persisted until now.

In the ongoing Israeli-Palestinian conflict, which is often called the Israel-Hamas conflict, the position of the Arab countries still holds a mixed stance. Indeed, the majority of Arab countries (Syria, Egypt, Lebanon, Jordan, and others) condemn the terrorist acts under ‘self-defense’ carried out by Israel against the Palestinians, but only verbally. The Palestinians remained alone in opposition to Israel.

A few years ago, on the initiative of the USA, a subset of the Arab countries even reached a certain agreement with Israel, but this was the end of the process.

None of these countries have established diplomatic relations with the State of Israel. In the current conflict, as was previously stated, the Arab countries provide the Palestinians with only verbal support. The reason for this is that refraining from intervening in the conflict is in the best interest of each of these countries.

**Keywords:** conflict, Arab countries, Israel, Palestine, Hamas.

# ჰიბრიდული ომები XXI საუკუნის ახალი რეალობა

**იოსებ მამასახლისი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ტაბატაძე,** საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპათმცოდნეობის დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ჰიბრიდული ომის ელემენტები მუდმივად არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა XXI საუკუნეში ჰიბრიდული ომები ახალი სახით მოგვევლინა. XXI საუკუნემ ახალი შესაძლებლობები შესძინა მას გააფართოვა მისი არეალი და კონფლიქტის წარმოების მეთოდებში სამართლიანად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. ტერმინი ჰიბრიდული ომი სამეცნიერო დისკურსში სამხედრო პუბლიცისტების ჯეიმზ მეტისის და

ფრენკ ჰოფფმანის მიერ 2005 წელს დაწერილი სტატიის «Future Warfare: The Rise of Hybrid Wars» შემდეგ შემოვიდა და პოპულარული გახდა 2006 წლის ლიბანის მეორე ომის შემდეგ. ჰიბრიდული ომი წარმოადგენს ახალ რეალობას კვლევის განმავლობაში ვნახავთ რომ, არ არსებობს კონფლიქტი რომელშიც ჰიბრიდული ომის ელემენტი არ გამოიყენებოდეს. ჰიბრიდული ომის გაუაზრებლად დატოვება და მისი უგულებელყოფა ფატალური შეცდომაა თანამედროვე კონფლიქტების გაანალიზებისას.

კვლევის მიზანია ნაცნობი ტერმინის ფიბრიდული ომის გააზრება მისი შინაარსის ფუნქციის გამოკვეთა სტრუქტურირება. კვლევის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და საბოლოოდ, ობიექტური პროდუქტის შექმნა (ინფორმაციის მოპოვება, ისტორიული ანალიზი) ნაშრომში საკითხის ანალიზისას მოხდა ჰიბრიდული ომის  ნეიტრალური გააზრება მისი სპეციფიკის გაგება, მისი მოქმედების დაჯგუფება, ასევე სამომავლო განვითარების პერსპექტივების გააზრება.

ნაშრომის ანალიზით დგინდება, რომ ჰიბრიდული ომი XXI  საუკუნის ისეთივე გარდაუვალი სიახლეა მიმდინარეობს მისი განვითარება და პრაქტიკაში სრულყოფა. ჰიბრიდული ელემენტების ნახვა გადაუჭარბებლად ყველა კონფლიქტშია შესაძლებელი. თანამედროვე საშუალებები ჰიბრიდული მოქმედების სპექტრს ზრდის.

**საძიებო სიტყვები:** ჰიბრიდული ომი, კონფლიქტები, დაქირავებული მებრძოლები, საინფორმაციო ომი, ეკონომიკური ომი.

# HYBRID WARS ARE THE NEW REALITY OF THE 21ST CENTURY

**Ioseb Mamashlisi**
Doctoral student of the political science doctoral educational program of the faculty of Social Sciences, Caucasus International University
**Scientifc assistant: Davit Tabatadze**, international Doctor of relations and European studies, CIU associate professor

The elements of hybrid war have always existed in the history of mankind, but in the 21st century, hybrid wars have presented us with a new form. The 21st century has bestowed upon it new opportunities, expanded its scope, and rightfully occupied one of the most significant positions in the methods of conflict production. It rose to prominence in the wake of the Second Lebanon War in 2006. Hybrid warfare is a new reality. We shall discover through the research that there is no conflict in which elements of hybrid warfare are present. Disregarding hybrid warfare is a fatal mistake in analyzing modern conflicts. The purpose of the research is to understand the familiar term fibroid war, to outline the function of its content, and to structure it. An important part of research methodology is the multifaceted study of issues and ultimately, the creation of an objective product (to get information and historical analysis).

The purpose of the research is to comprehend the well-known term hybrid war and delineate the function and structure of its components. An important part of the research methodology is the multifaceted study of the issues and, finally, the creation of unbiased outcomes (information acquisition, historical analysis). The analysis of the issue involved understanding a neutral perspective

on the hybrid war, including knowledge of its specifics, categorization of its actions, as well as future development prospects.

Conclusion: Hybrid war is an inevitable novelty of the 21st century, its development and refinement in application are underway. Hybrid elements can be seen indissolubly in all conflicts. Modern means increase the spectrum of hybrid action.

**Keywords:** hybrid war, conflicts, mercenary fighters, information warfare, economic war.

# კიბერსივრცისგან მომდინარე საფრთხეები და ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევები

**თემურ დიღმელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. II კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევებით განსაზღვრულ ეპოქაში, ომის ლანდშაფტმა ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. თემაში მიმოხილულია საფრთხეების რთული ქსელი, რომელიც წარმოიქმნება ამ არატრადიციული, მაგრამ ძლიერი გზებიდან, რომლის მიზანია ნათელი მოჰფინოს მათ მრავალმხრივ განზომილებებს და შორს მიმავალ შედეგებს.

თემაში მიმოხილულია კიბერომის ბუნება და ევოლუცია ფარული ოპერაციებიდან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ, დახვეწილ თავდასხმებამდე. გამოკვლეულია კიბერომის თანდაყოლილი ასიმეტრია, სადაც შედარებით მცირე ერთეულებს აქვთ პოტენციალი, მიაყენონ არაპროპორციული ზიანი უფრო დიდ, ტექნოლოგიურად განვითარებულ მოწინააღმდეგეებს. გარდა ამისა, ხდება ურთიერთდაკავშირება კიბერ შესაძლებლობებსა და ასიმეტრიულ სამხედრო სტრატეგიებს შორის, რაც ასახავს იმას, თუ როგორ ეწინააღმდეგება არატრადიციული ტაქტიკა ჩვეულებრივ სამხედრო დოქტრინებს.

კიბერშეტევებისა და ასიმეტრიული სამხედრო მანევრების ძირითადი შემთხვევის შესწავლა იძლევა კრიტიკულ შეხედულებებს ამ საფრთხეების ოპერატიული, სტრატეგიული და გეოპოლიტიკური შედეგების შესახებ. ამ შემთხვევების ანალიზი ავლენს დაუცველობას, რომელიც თან ახლავს თანამედროვე სამხედრო ინფრასტრუქტურას, რაც ხაზს უსვამს ადაპტაციური და გამძლე თავდაცვის მექანიზმების აუცილებლობას. თემის ირგვლივ შესწავლილია საერთაშორისო სამართლისა და ნორმების ფარგლებში კიბერ ომის და ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევების დაპირისპირების ეთიკური, სამართლებრივი და სტრატეგიული შედეგები. თემაში განხილულია ისეთი ორგანიზაციების როლი, როგორიცაა

ნატო ამ საფრთხეების დაძლევაში, ხაზგასმულია გლობალური თანამშრომლობისა და სტრატეგიული ალიანსების აუცილებლობა ასიმეტრიული მოწინააღმდეგეების რისკების შესამცირებლად. ხაზგასმულია ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართ პროაქტიული, სწრაფი და ინტერდისციპლინარული მიდგომების აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს უწყვეტი ადაპტაციისა და ინოვაციებისკენ თანამედროვე ომის ლანდშაფტის განვითარებადი საფრთხეების ფონზე.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერსივრცე, კიბერშეტევა, კიბერომი, ასიმეტრიული საფრთხეები, სამხედრო გამოწვევები.

# CYBERSPACE THREATS AND ASYMMETRIC MILITARY CHALLENGES

**Temur Digmelashvili**
Faculty of Social Sciences and Humanities, Doctoral Educational Program in Political Science, Caucasus International University. Sophomore year.
**Scientific Assistant: Alika Guchua,** Doctor of Political Science, Head of the Bachelor Program of International Relations of the Caucasus International University, Associate Professor of CIU.

In an era defined by rapid technological advances, the landscape of warfare has undergone a profound transformation. The paper reviews the complex web of threats arising from these unconventional but powerful pathways, aiming to shed light on their multifaceted dimensions and far-reaching consequences.

The research reviews the nature and evolution of cyberwarfare from covert operations to state-sponsored, sophisticated attacks. The asymmetry inherent in cyberwarfare is explored, where relatively small units have the potential to inflict disproportionate damage on larger, technologically advanced adversaries. In addition, the interrelationship between cyber capabilities and asymmetric military strategies is made, illustrating how unconventional tactics conflict with conventional military doctrines.

Key case studies of cyberattacks and asymmetric military maneuvers provide critical insights into the operational, strategic, and geopolitical implications of these threats. Analysis of these cases reveals the vulnerabilities inherent in modern military infrastructure, highlighting the need for adaptive and resilient defense mechanisms. Ethical, legal, and strategic consequences of confronting cyber war and asymmetric military challenges within the framework of international law and norms are examined in the research. The thesis discusses the role of organizations such as NATO in addressing these threats, highlighting the need for global cooperation and strategic alliances to mitigate the risks of asymmetric adversaries, and emphasizes the need for proactive, agile, and interdisciplinary approaches to national and international security that require continuous adaptation and innovation in the face of evolving threats in the modern warfare landscape.

**Keywords:** cyberspace, cyber-attack, cyber war, asymmetric threats, military challenges.

# კორუფციის სადაზვერვო ხასიათი

**ოთარ მურადაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა, I კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით კუხალაშვილი** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კორუფცია მისი ხასიათიდან და გამოწვეული შედეგებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივად საშიში ფენომენია. იგი აზიანებს, შიდა სამართლებრივ ურთიერთობებს, სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას და იწვევს მოსახლეობის უნდობლობას. კორუფციის აღნიშნული შედეგები ცნობილია და ყველა თანხმდება ამასთან დაკავშირებით, თუმცა გარდა ზემოაღნიშნულისა კორუფცია საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, კერძოდ სახელმწიფოთა მხრიდან ხდება კორუფციის როგორც სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი საშუალების გამოყენება, რაც დიდი რისკებისა და საფრთხის შემცველია ყველა სახელმწიფოსთვის და მითუმეტეს საქართველოსთვის. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა და ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო ამძაფრებს კორუფციის გავლენას საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, რომ კორუფცია აღქმულია, როგორც საყოველთაოდ საშიში ფენომენი, სახელმწიფოთა მხრიდან არ ხდება სადაზვერვო ხასიათის კორუფციის მნიშვნელობის ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში გაშლა და მისი გაანალიზება, შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციის სადაზვერვო ხასიათი და მისი მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების კუთხით ყველასთვის კარგად ნაცნობი საკითხია, თუმცა მასზე ღიად ცოტა თუ საუბრობს და ქმედით ნაბიჯებსაც ნაკლებად ვხვდებით.

სადაზვერვო საქმიანობაში კორუფციის ექსპორტის გამოყენება აპრობირებული მეთოდია, ვინაიდან კარგი მაკომპრომატირებელი საშუალებაა, რითაც შესაძლებელია სასარგებლო ოპერატიული ინფორმაციის მიღება, რომლის ანალიზი, სისტემატიზაცია და გამოყენება ეფექტური შედეგის მომტანია სახელმწიფოს ინტერესებისათვის. უმნიშვნელოვანესია კორუფციის ექსპორტის შემთხვევების დროული გამოვლენა, აღკვეთა და მასზე რეაგირება, ასევე მის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარება. კორუფციის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება საინვესტიციო-ეკონომიკური გარემოს გამოყენებით, რა დროსაც ხდება ინვესტიციის საფარს ამოფარებული კორუფციის ექსპორტირება სახელმწიფოში და მის განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო მოხელეებთან კორუფციულ გარიგებებში შესვლა.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება,  სადაზვერვო საქმიანობა, კორუფციის ექსპორტი

# INTELLIGENCE NATURE OF CORRUPTION

**Otar Muradashvili**
Student of Doctoral Program of Political Science, Caucasus International University, Freshman year
**Scientific Assistant - Davit Kukhalashvili**, Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

Corruption poses a significant threat to the state due to its inherent characteristics and repercussions. It undermines the integrity of internal legal relations and state institutions, instills mistrust among the populace, and ultimately engenders social tension. While it is universally acknowledged that these repercussions of corruption are significant concerns, corruption also poses a threat to national security. To be more specific, states employ corruption as a means to carry out intelligence operations, which exposes all states, Georgia included, to substantial dangers and threats. While it is universally acknowledged that these repercussions of corruption are significant concerns, corruption also poses a threat to national security. To provide further clarification, states utilize corruption as a mechanism to execute intelligence operations, thereby subjecting every state, including Georgia, to significant perils and risks. The geopolitical and economic circumstances of Georgia exacerbate the impact that corruption has on the country's national interests. Although corruption is considered to be a globally dangerous phenomenon, the importance of corruption in the context of national security is not discussed and analyzed by states, It should be noted, therefore, that while the intelligence-gathering characteristics of corruption and its significance for national security are widely recognized, nobody openly discusses them.

In intelligence operations, the use of corruption export is sanctioned because it serves as a viable compromising instrument that enables the acquisition of operational information that yields favorable outcomes for the state when analyzed, systematized, and applied. It is critical to detect, prevent, and respond to instances of corruption in exports promptly, in addition to implementing preventative measures to avoid its recurrence. The primary means by which corruption is exported is through the investment environment, during which investments are made in the state and corrupt transactions with government officials are conducted to circumvent regulations about the implementation of the investments.

**Keywords:** national security, intelligence activities, export of corruption

# აზერბაიჯანისა და სომხეთის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების როლი ყარაბაღის კონფლიქტში

**არჩილ ორთანეზაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების მეორე კურსის მაგისტრანტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი,** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სამხრეთ კავკასიის, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და უსაფრთხოების დონე, ისტორიულად, მკვეთრად დინამიკური ფორმით ხასიათდება, იგი გამორჩეულია არასტაბილური, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით, რომელიც დიდი სახელმწიფოებისთვის გავლენის ობიექტს წარმოადგეს, რაც მისი ინტეგრაციის პროცესს აფერხებს. სამხრეთ კავკასიის ინტეგრაციას, რეგიონში არსებულ სახელმწიფოთა განმასხვავებელი ნიშან-თვისებები განაპირობებს, (კულტურულ-რელიგიური) რაც შემდგომ ეტაპზე, უცხო სახელმწიფოებისთვის, მოწყვლადი ობიექტების შექმნას აიოლებს. აღნიშნული რეგიონისთვის დამახასიათებელია სეპარატისტული და ირედენტისტული ხასიათის კონფლიქტები. ამ ჭრილში, ყარაბაღის კონფლიქტი, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის, ხანგრძლივ პერიოდს ითვლის, რომლის დეესკალაციის გარეშეც, წარმოუდგენელია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა. ამ კონტექსტში, საყურადღებოა, განხილულ, გაანალიზებულ და შეფასებულ იქნეს კონფლიქტის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას, გარდამტეხად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც მშვიდობიანობის, ისე საომარი ვითარებისას. აღნიშნული საქმიანობა არის როგორც საწყისი, ომის ინსპირირებისა, ისე მისი დამთავრების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება. სახელმწიფოები, მოქმედებენ, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ისე ეკოლოგიური, დაზვერვის მიმართულებით და კონფლიქტისას, თითოეულს გააჩნია საკუთარი, ფუნქცია-მოვალეობა.

**საკვანძო სიტყვები:** დაზვერვა, კონტრდაზვერვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, უსაფრთხოება, სამხრეთ კავკასია, სეპარატიზმი, ირედენტიზმი.

# THE ROLE OF THE INTELLIGENCE AND COUNTERINTELLIGENCE SERVICES OF AZERBAIJAN AND ARMENIA IN THE KARABAKH CONFLICT

**Archil Ortanezashvili,**
Master’s student of International Relations and Security, Caucasus International University, Sophomore year
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** - Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

The geopolitical situation and security level of the South Caucasus, historically, is characterized by a strongly dynamic form. It is characterized by an unstable, political-economic situation, which is an object of influence for the big powers, which hinders its integration process. The South Caucasus’ integration was precipitated by the cultural and religious distinctiveness of the region’s states, which later rendered them susceptible to foreign influence. The mentioned region is characterized by separatist and irredentist conflicts. In this regard, the protracted Karabakh conflict between Azerbaijan and Armenia has rendered the political-economic integration of the South Caucasus states unattainable in the absence of its de-escalation. In this context, it is important to discuss, analyze, and evaluate the intelligence and counterintelligence aspects of the conflict. Intelligence and counter-intelligence activities have a decisively important role, both in peacetime and wartime situations. This activity is one of the main means of starting, inspiring the war and ending it. States act in the direction of political, economic, military, scientific-technical, ecological, and conflict surveillance, and each of them has its function and duty.

**Keywords:** intelligence, counterintelligence, Azerbaijan, Armenia, security, South Caucasus, separatism, irredentism

# რელიგიური ფაქტორის სადაზვერვო ხასიათი

**ნინო თვირიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა, მე-2 კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** დავით კუხალაშვილი, ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგია და პოლიტიკა ისტორიულად მჭიდროდაა დაკავშირებული. მათი თანაკვეთა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ხშირად, ეს გამოიხატება პოლიტიკაზე რელიგიის გავლენით და პირიქით. იმის გასაგებად, თუ რა წარმოადგენს

რელიგიის გავლენის საფუძველს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორც მსოფლიოს ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებაზე, ისე რელიგიური მორალის გავლენაზე სამოქალაქო კონსტიტუციურ-კანონმდებლობით ნორმებზე.

რელიგია ადამიანისთვის წარმოადგენს ერთგვარ თავშესაფარს, დასაყრდენს. თითოეული ერი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებით, თუმცა ასეთ სახელმწიფოებში ვხვდებით, სხვა რელიგიის,ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს. რელიგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, თუ რამდენად ხშირი და მარტივია რელიგიით  მანიპულირება კონკრეტული ჯგუფების სამართავად. შესაბამისად სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არ დაუშვას რელიგიური საფუძვლით პროვოცირებული კონფლიქტების განვითარება რადგან ამ უკანასკნელმა არ იქონიოს გავლენა  გლობალურ უსაფრთხოებაზე.

მზვერავი სახელმწიფოს მიერ, დაზვერვის ობიექტ ქვეყანაში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების პერმანენტული პროვოცირებით შესაძლებელია ხანგრძლივი დესტაბილიზაციის მიღწევა, რაც საერთაშორისო არენაზე ქვეყნის კომპრომეტაციის საშუალებას იძლევა.

მზვერავი სახელმწიფოები ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეისწავლიან პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ობიექტებს. თითოეულის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რელიგიური ჯგუფები და მათი სადაზვერვო ხასიათი.

პოლიტიკური დაზვერვის მიზნებიდან გამომდინარე, რაც მდგომარეობს მზვერავი სახელმწიფოსინტერესებისგატარებასადადაზვერვისობიექტისახელმწიფოსინტერესების სათავისოდ ფორმირებაში, უკანონო ლობირების გზით რელიგიური ჯგუფები მზვერავ სახელმწიფოსთან შეთანხმებით გავლენას ახდენენ აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციონირებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით, საკუთარი მიზნების მისაღწევად შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ელემენტები.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება, რელიგია, რელიგიური საფუძვლით ინსპირირებული კონფლიქტები, სადაზვერვო საქმიანობა, დაზვერვის ობიექტი ქვეყანა, პოლიტიკური დაზვერვა, კომპრომეტაცია,

# THE SURVEILLANCE CHARACTER OF THE RELIGIOUS FACTOR

**Nino Tviriani**
Faculty of Social Sciences and Humanities, Master's Educational Program in International Relations and International Security Caucasus International University,
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili**, Doctor of History, Doctor of Professional Security, Associate Professor of Caucasus International University.

Religion and politics have a long history of interconnection in the contemporary world. Their intersection is becoming increasingly visible. This frequently manifests itself in resistance to the religious influence in politics. By examining the practical experiences of nations and the impact of religious morality on civil constitutional-legislative norms, one can gain insight into the foundation of the influence that religion has on political life.

Religion is a kind of refuge and solace for a person. Although representatives of other religions, ethnic groups, and religious and ethnic minorities are present in these states, each nation is distinguished by its strongly expressed religious or ethnic affiliation. When discussing religion, it is essential to acknowledge the ease and prevalence with which religion can be manipulated to exert control over particular groups. As a result, it is critical for the state's national security that religiously motivated conflicts do not escalate, in order to prevent any repercussions on international affairs.

By permanently provoking conflicts on ethnic and religious grounds by the surveillance state, it is possible to achieve long-term destabilization, which allows the country to be compromised in the international arena.

Based on the above, surveillance states study political, military, economic, and scientific-technical intelligence objects. In each case, it is possible to use religious groups and their intelligence character.

Based on the goals of political surveillance, which consists of carrying out the interests of the surveillance state and shaping the interests of the state, through illegal lobbying, religious groups in agreement with the surveillance state influence the functioning of the executive or legislative authorities. It should be noted here that in the direction of political intelligence, elements of economic, military, and scientific-technical surveillance can be used to achieve one's goals.

**Keywords:** national security, religion, religiously inspired conflicts, surveillance activity, intelligence object country, political intelligence, compromise.

# კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოსა და უცხოეთის მაგალითზე

**რევაზ ბერულავა** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მე-2 კურსი.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი ჟურამ ღვინჯილია -** სამართლის დოქტორო, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოციარებული პროფესორი

კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა გადამწყვეტია ციფრულ ეპოქაში ერების, ორგანიზაციებისა და ინდივიდების დასაცავად, თუმცა პოლიტიკის მნიშვნელობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში მათი უნიკალური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური კონტექსტის გამო. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას გლობალური მნიშვნელობა აქვს, ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის, სამხედრო სისტემებისა და სამთავრობო ქსელების კიბერ საფრთხეებისგან დაცვაში. ასევე იგი ხელს უწყობს კიბერდანაშაულის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება კიბერთავდასხმა, როგორც ფსიქოლოგიური მანიპულაციისა და საინფორმაციო ომის ერთიანი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური დასუსტება, უნდობლობის გაჩენა საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ და ზოგადად, სამიზნე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენება. განხილულია, რა ბერკეტები გააჩნია საქართველოს და როგორ შეიძლება მართოს კიბერსივრციდან მომავალი საფრთხეები. კვლევა დაფუძნებულია შედარებით სამართლებრივ ანალიზზე, რომლის თანახმად გაანალიზებულია წარმატებული უცხოური ქვეყნების პრაქტიკა, კიბერუსაფრთხოებასთან კონტექსტში. ნაშრომში მოცემულია კვლევისთვის საინტერესო კიბერუსაფრთხოების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი.

დასკვნის სახით აღნიშნულია, საქართველომ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ მოხდეს კიბერუსაფრთხოების წარმატებული ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, სადაც კიბერსივრციდან მომავალი რისკები და საფრთხეები სწორად შეფასდება, გაანალიზდება და დეტალურად იქნება გაწერილი მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერუსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, სამხედრო სისტემები, სამთავრობო ქსელები

# CYBERSECURITY POLICY ON THE EXAMPLE OF GEORGIA AND FOREIGN COUNTRIES

**Revaz Berulava**
Faculty of Law, Law Master's Program, Caucasus International University
Sophomore year.
**Scientific Assistant: Guram Gvinjilia -** Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

Cybersecurity policies are crucial in protecting nations, organizations, and individuals in the digital era, but the significance of policies varies across countries due to their unique geopolitical, economic, and technological contexts. Cybersecurity policy is of global importance in protecting a nation's critical infrastructure, military systems, and government networks from cyber threats. It also helps prevent cybercrime and fight against it.

The paper deals with the cyberattack, as a single tool of psychological manipulation and information warfare, the purpose of which is to weaken the enemy psychologically, to create distrust in the public towards the government, and in general to harm the national security of the target country. In addition, it discusses the leverages Georgia has and how it can manage threats from cyberspace. The study is based on a comparative legal analysis, according to which the practices of successful foreign countries are analyzed in the context of cybersecurity. The work provides an analysis of the existing scientific literature on cybersecurity that is interesting for research.

In conclusion, the research emphasizes effective steps Georgia should take in order to develop a successful national cybersecurity strategy, where future risks and threats from cyberspace will be correctly assessed, and analyzed and the mechanisms of combating them will be described in detail.

**Keywords:** cyber security, cyber security policy, critical infrastructure, military systems, government networks

# საერთაშორისო სამართლისა, პოლიტიკურ/სამხედრო ორგანიზაციების არსებული მოდელების ეფექტურობა სამხედრო კონფლიქტის გადაწყვეტაში

**გიზო ქემერტელიძე** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურის საფეხური, I კურსი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი - ჟურამ ღვინჯილია,** სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ნათლად ჩანს თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მთლიანად ქვეყნის და მისი მოსახლეობის ყოველდღიურობა, ცალკეული სახელმწიფოსა თუ არასახელმწიფოებრივი ორგანიზებული დაჯგუფებების საბრძოლო მოქმედების შედეგად.

უკანასკნელი30წლისგანმავლობაში,მრავალისახელმწიფოგახდააგრესიულისამხედრო მოქმედებების მსხვერპლი: 1992-1993 წლებში, საქართველოში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება, ქართულ მხარესა და სეპარატისტებს შორის, რომელთა უკან იდგა რუსეთის ფედერაცია. ამ უკანასკნელის მოქმედებების შედეგად კი-აფხაზეთის ავტონომიური ერთეული დღესდღეობით აღარ ექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას და ტერიტორიაზე დე ფაქტო კონტროლს ახორციელებს ე.წ „აფხაზეთის მთავრობა“. 2008 წელს, საქართველო კვლავ გახდა რუსული აგრესიის მსხვერპლი, რომლის შედეგად ცხინვალის რეგიონი „სამხრეთ ოსეთი“-ს ტერიტორია იქნა ოკუპირებული.

დღესდღეობით, სამხედრო კონფლიქტი მიმდინარეობს უკრაინაში, რომელიც ჯერ 2014 წელს გახდა რუსეთის თავდასხმის ობიექტი, ხოლო 2022 წელს დაიწყო ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც დღემდე გრძელდება. 2023 წლის ოქტომბერში, გაღვივდა სამხედრო დაპირისპირება ისრაელსა და ტერორისტულ ორგანიზაცია - „ჰამასს“ შორის. ამ სამხედრო დაპირისპირებების შედეგი სახეზეა. კერძოდ, ნადგურდება ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ადამიანების სიცოცხლე ფატალურად სრულდება.

ზემოაღნიშნული კონფლიქტების მაგალითები, კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობას და აუცილებლობას კონფლიქტების სამომავლოდ თავიდან აცილების მიზნით. მიმდინარე პროცესები ტოვებს უფრო მეტი ჩართულობის სურვილს და მოლოდინს. მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ როგორ არქიტექტურას გვთავაზობს საერთაშორისო სამართალი სამხედრო კონფლიქტების რეგულირებისთვის. რა როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტის პრევენციისთვის და რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არის შესაძლებელი მომავალი კონფლიქტების პრევენციისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო სამართალი, სამხედრო კონფლიქტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კონფლიქტის პრევენცია

# EFFICIENCY OF EXISTING MODELS OF INTERNATIONAL LAW AND POLITICAL/MILITARY ORGANIZATIONS IN RESOLVING MILITARY CONFLICTS

**Gizo Kemertelidze**
Faculty of Law, Law Master's Program, Caucasus International University, Freshman year
**Scientific Assistant: Guram Gvinjilia,** Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University.

Considering the current processes in the world, it is clear how the daily life of the entire country and its population can be changed as a result of the fighting action of a separate state or non-state organized groups.

During the last 30 years, many states have become victims of aggressive military actions: in 1992-1993, a military confrontation took place in the territory of Abkhazia in Georgia, between the Georgian side and the separatists, who were supported by the Russian Federation. As a result of the latter's actions, the autonomous unit of Abkhazia is no longer under the jurisdiction of Georgia and the so-called "Government of Abkhazia" exercises de facto control over the territory. Georgia was once more the target of Russian aggression in 2008, which led to the occupation of the Tskhinvali region of South Ossetia. Currently, a military conflict is underway in Ukraine, which first became the object of Russia's attack in 2014, and in 2022, a new large-scale military intervention on the territory of Ukraine began, which remains in effect at present. In October 2023, a military conflict broke out between Israel and the terrorist organization "Hamas". The consequences of these military engagements are readily apparent. Significantly, the economy and infrastructure are devastated, and most importantly, human lives are tragically lost.

Examples of the above-mentioned conflicts once again confirm the importance and necessity of international law in order to avoid conflicts in the future. The existing processes generate a need and anticipation for higher involvement. This research examines how international law provides a framework for the governance of armed conflicts, what role international organizations play in conflict prevention, and what effective steps can be taken to prevent future conflicts.

**Keywords:** international law, military conflicts, international organizations, conflict prevention

# მედიის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში

**თამარ ოყუჯავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამის „მედია კვლევებისა და მულტიმედია წარმოება“ პირველი კურსის სტუდენტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან ადამიანის ცხოვრების წესი შეიცვალა. ინდუსტრიული საზოგადოებისათვის პრიორიტეტული ინფორმაცია და ცოდნა გახდა. ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი კი სრულიად ახალ ფორმაციაში ცხოვრობს, რომელსაც საინფორმაციო საზოგადოებას უწოდებენ.

ჩვენს დროში ინფორმაციულობა იმაზე მეტად ფასობს, ვიდრე ოდესმე. ეპოქაში, რომელშიც სამხედრო დაპირისპირება ფიზიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ თუ ტექნოლოგიურ ასპექტებს აერთიანებს, სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ინფორმაციის გავრცელების პროცესში კი მედიის შეუცვლელ, ფუნდამენტურად მნიშვნელოვან როლზე ყველა თანხმდება.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს ყოველთვის ჰქონდათ რესურსი, გარკვეული დადებითი თუ უარყოფითი როლი ეთამაშათ ქვეყნის ეროვნული თუ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში. მეტიც, შეიძლება, მედია ადგილობრივმა თუ საერთაშორისო დამნაშავე ჯგუფებმა გამოიყენონ, რაც სახელმწიფოს ზიანს აუცილებლად მიაყენებს. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, მედია იყოს ინსტრუმენტი საზოგადოების ხელში, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისაკენ, არამედ - საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ქვეყნის პროგრესირებისაკენ.

თემის მიზანია, საგანგებო სიტუაციების მიმდინარეობისას ქართული ტელემაუწყებლობების მოქმედებების დაკვირვება-ანალიზის შედეგად, გამოვავლინოთ:

- უახლესი სამხედრო დაპირისპირებების მიმდინარეობისას ქართულმა მედიამ რამდენად შეძლო ქვეყნის, მოსახლეობის უსაფრთხოების ხელშეწყობა;
- როგორ უმკლავდება ის ინფორმაციულ პროპაგანდას;
- რა წვლილი შეაქვს ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებაში.

საკითხის შესწავლის პროცესში ქართული მედიის შეცდომები და ტენდენციური ქმედებები გამოიკვეთა, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას ნამდვილად არ უწყობს ხელს. თუმცა ქართული დამოუკიდებელი მედიის არცთუ ისე დიდხნიანი გამოცდილებაც გასათვალისწინებელია, მონდომება - დასაფასებელი.

**საკვანძო სიტყვები:** მედია უსაფრთხოებისთვის; პროპაგანდა; საინფორმაციო საზოგადოება; საინფორმაციო უსაფრთხოება; ქართული მედია.

# THE ROLE OF THE MEDIA IN THE SECURITY OF THE COUNTRY

**Tamar Okujava**
Faculty of Social and Humanities, Master's program "Media Science and Multimedia Production", Caucasus International University, Freshman year
**Scientific supervisor: Rusudan Kvaratskhelia**, Doctor of Arts, Associate Professor of the Faculty of Social and Humanities

Since the mid-twentieth century onwards, the way of life of a person has transformed dramatically. Knowledge and information have emerged as paramount concerns in the industrial age. Individuals who are born in the twenty-first century have to live within an entirely novel social structure known as the information society.

In our time, information is valued more than ever. It is inconceivable to consider an era without the integration of physical, economic, ideological, or technological elements into military conflicts. Everyone agrees on the irreplaceable, fundamentally important role of the media in the course of information dissemination.

Mass communication media have always had the resources to play a certain positive or negative role in national or international security issues of the country. Additionally, local or international criminal organizations may utilize the media, which will undoubtedly be detrimental to the state. This is why it is critical that the media function as a societal instrument whose purpose extends beyond mere information acquisition and processing., but also to raising public awareness and progressing the country.

The purpose of the topic is to reveal:

- During the course of the latest military confrontations, to what extent was the Georgian media able to promote the security of the country and the population;
- How does it deal with informational propaganda?
- In what ways does it contribute to the enhancement of national security??

The research examines the errors and trending actions of the Georgian media, which essentially do not contribute to the security of the country. However, the not-so-long experience of Georgian independent media should be taken into account, and determination should be appreciated.

**Keywords:** media for security; propaganda; information society; information security; Georgian media.

# კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის იდეა 3+3 ფორმატში: საქართველოს პოტენციური როლი, საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები

**ავთანდილ ხურციძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება, მაგისტრატურა, II კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კსუ პროფესორი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მოცემული მომენტისთვის დგას ახალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობისგზაჯვარედინზე,რომელიცგამოირჩევათავისიისტორიულისირთულეებითა და გამოწვევებით. „3+3 პლატფორმა", კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების კუთხით, საკმაოდ აქტუალური გახდა თანამედროვე გეოპოლიტიკურ მოცემულობაში. აღნიშნული პლატფორმა ითვალისწინებს რეგიონული თანამშრომლობის ტრანსფორმაციულ მოდელს, რომელიც აერთიანებს საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და გარე აქტორებს რუსეთს, თურქეთსა და ირანს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივის ცენტრში საქართველოა, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, მისი პოტენციური როლი აღნიშნულ ფორმატში ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი არ არის. თეორიულად მას შეუძლია გახდეს გადამწყვეტი გზაჯვარედინი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, პოზიციონირდეს როგორც სტრატეგიული კორიდორის ფუნქციის მატარებელი უმნიშვნელოვანესი სუბიექტი. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნება:

- საქართველოს პოტენციური როლი ამ თანამშრომლობის ფარგლებში.
- რეალურად რა შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ამ ინიციატივაში საქართველოს გაწევრიანება.
- რა ფინანსური, ეკონომიკური თუ ენერგეტიკული სარგებლის მიღებაა შესაძლებელი მოცემული ფორმატის ფარგლებში.
- რა ტიპის საფრთხეებს და გამოწვევებს შეიცავს ეს ინიციატივა.
- რამდენად შეესაბამება მისი ძირითადი თეზისები საქართველოს კანონმდებლობასა და ეროვნული ინტერესების პრინციპებს.
- რამდენად ემსახურება პლატფორმა საქართველოს ეროვნულ და სრულიად კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების დაცვას.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონული უსაფრთხოება; კავკასია; 3+3 პლატფორმა; ეროვნული უსაფრთხოება.

# THE IDEA OF REGIONAL COOPERATION OF THE CAUCASUS IN

# THE 3+3 FORMAT: POTENTIAL ROLE OF GEORGIA, THREATS AND EXPECTED RESULTS.

**Avtandil Khurtsidze**
of Social and Humanities, International Relations and International Security, Master's program student, Caucasus International University, Sophomore year
**Scientific Assistant: Vakhtang Maisaia** - Doctor of Political Sciences, Professor

The South Caucasus region currently stands at the crossroads of new geopolitical importance, which is distinguished by its historical difficulties and challenges. The "3+3 platform", in terms of the regional security of the Caucasus, has become quite relevant in the modern geopolitical situation. The mentioned platform envisages a transformative model of regional cooperation, which unites Georgia, Armenia, Azerbaijan, and external actors Russia, Turkey, and Iran. Even though Georgia is at the center of this initiative, which has a strategic location, its potential role in the mentioned format is not clearly defined. Theoretically, it can become a decisive crossroads between East and West, positioning itself as the most important entity carrying the function of a strategic corridor. This paper will present and analyze:

- Potential role of Georgia within this cooperation.
- What results can the membership of this initiative bring for Georgia?
- What financial, economic, or energy benefits can be obtained within the given format?
- What types of threats and challenges does it contain?
- To what extent are its main theses compatible with the legislation of Georgia and the principles of national interests?
- To what extent does the platform serve to protect the national security of Georgia and the entire Caucasus region?

**Keywords**: regional security; Caucasus; 3+3 platform; national security.

# ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური საფრთხეები და გამოწვევები

**გიორგი მხეიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** გიორგი ფარეშიშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერაბათა დოქტორანტი, ასისტენტი.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია დღესდღეობით ევროკავშირის წინაშე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სახის საფრთხეები და გამოწვევები, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკას, სტაბილურობას. ტენდენციები გამოკვეთილია რამოდენიმე მიმართულებით, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კონკრეტული მიმართულების არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს.

დღესდღეობით ევროკავშირის როგორც დასავლეთ ევროპის, ისე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ადგილი აქვს ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პარტიების აღმასვლასა და მნიშვნელოვან მხარდაჭერას საზოგადოებაში, რომელთა კულტურულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა ევროსკეპტიკურ განწყობებს ატარებს, რაც პერსპექტივაში სხვადასხვა სახის საფრთხეებს შეიცავს საერთაშორისო ორგანიზაციის შიგნით. ევროკავშირისთვის მეტად საყურადღებოა მიგრაციის ტალღები, რომელიც კიდევ უფრო გააქტიურებელია დღეს არსებული საერთაშორისო კონფლიქტების შედეგად. მზარდი მიგრაცია საფრთხის შემცველია, როგორც ეკონომიკური, ისე სახელმწიფოების უსაფრთხოების მიმართულებით.

დღეის მოცემულობით ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენერგოდამოუკიდებლობა, რუსული ენერგორესურსების ნაცვლად სხვა ალტერნატივების მოძიება. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო გამძაფრდა რუსეთ-უკრაინის ომისა და გეოპოლიტიკური მოცემულობების შედეგად.

მნიშვნელოვნად საყურადღებოა ჩინეთის ფაქტორი. ჩინეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი მზარდი ეკონომიკა და ეკონომიკური დომინანტობა სხვადასხვა სახის საფრთხის შემცველია ევროკავშირისთვის, რომელიც საჭიროებს ევროკავშირის მხრიდან ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, საფრთხეები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ულტრა-მემარჯვენე პარტიები, მიგრაცია, ენერგოუსაფრთხოება, ეკონომიკა.

# POLITICAL-ECONOMIC THREATS AND CHALLENGES OF THE EUROPEAN UNION

**Giorgi Mkheidze**
Caucasus International University - Faculty of Social Sciences and Humanities Student of International Relations and International Security, Master's Program Sophomore year
**Scientific Assistant:** Giorgi Pareshishvili
PhD Student in Political Sciences, CIU

The paper discusses and analyzes the political and economic threats and challenges facing the European Union today, which endanger the politics and stability of the international organization. Trends are highlighted in several directions, which present the current threats and challenges in a specific direction clearly and concisely.

Nowadays, in both the Western European and Eastern European states of the European Union, there is a rise and significant support of ultra-right-wing ideological parties in the society, whose cultural-political outlook carries Eurosceptic sentiments, which in the perspective contains various threats within the international organization. The waves of migration, which are even more active as a result of the current international conflicts, are of great concern to the European Union. Increasing migration poses a threat, in terms of the economy and security of states.

Energy independence, substituting Russian energy resources is an important challenge for the European Union. The aforementioned issue grew even more intense as a result of the Russia-Ukraine war and geopolitical situations.

China's factor is substantial. Based on China's policy, its growing economy and economic dominance present the EU with various challenges, that necessitate a reduction in the EU's economic reliance on China

**Keywords:** European Union, Threats, International organizations, Ultra-right parties, Migration, Energy security, Economy.

# ალბანეთის კომუნისტური ძალის სადაზვერვო ასპექტები და მისი შედეგები ბერძნულ ეთნიკურ უმცირესობაზე

სალომე წურიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა. II კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი** - ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეროვნული უსაფრთხოებისა დაცვა და ისტორიული სუვერენიტეტის შენარჩუნება სახელმწიფოს საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაციის პროცესში უმეტესად სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, რაც თავის მხრივ, დაფუძნებულია რაციონალური, გეოსტრატეგიული საშინაოდასაგარეოპოლიტიკისფორმირებაზე.ახალისავარაუდოგეოგრაფიულიკონტურების გამოკვეთა, რაც ალბანეთში კომუნისტური მმართველობის დასრულებისა და საბერძნეთის ტერიტორიიდან ალბანელი ემიგრანტების გაყვანის შემდეგ მათ შორის კონფლიქტის დაწყების მაპროვოცირებელი იყო, ცხადყოფდა ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების მზაობასა და ქმედითუნარიანობას.

აღსანიშნავია, რომ პრობლემა არ მწიფდებოდა ერთი კონკრეტული მიმართულებით, ტერიტორიული სუვერენიტეტის გარდა იკვეთებოდა ეთნიკური პოლიტიკის ფუნდამენტური მნიშვნელობაც ბერძნებისთვის. თუმცაღა, ამის პარალელურად, ალბანეთისთვის, როგორც კომუნისტური წყობის ქვეყნისთვის სრულიად ინტერესს მოკლებული იყო უმცირესობათა სტატუსის პრივილეგირება და მათი უფლებების ინტეგრირება პოლიტიკურ სივრცეში. შესაბამისად,კონფლიქტისინსპირირებისმიზეზიარაერთიიყო:ალბანეთისშიდაპოლიტიკამ და სეგრეგაციულმა მიდგომებმა როგორც საბერძნეთის სახელმწიფოს, ასევე მისი სოციუმის მიმართ, ცალსახაა, რომ ბერძენთა ეროვნულობას საფრთხე შეუქმნა - ქრებოდა ბერძნული და აღმოცენების კონდიციაში იყო ალბანური კულტურა, თავისი ენითა და ღირებულებებით, რაც აქტიურად ინერგებოდა განათლების სფეროში, ამ ფასეულობებზე ზრდიდნენ ახალ თაობებს. ამ დაპირისპირებამ ასევე, განაპირობა ალბანეთის მართლმადიდებლური ავტოკეფალიის ისტორიის შექმნაც, სადაც სასულიერო პირები ეთნიკური უმცირესობებისთვის ბრძოლაში, მათი კონცეფციის დანერგვაში მთავარ ძალას წარმოადგენდნენ.

საინტერესოა ალბანეთის კომუნისტური მექანიზმის სქემა, რომელიც გახდა ალბანეთსა და ბერძნულ უმცირესობას შორის მრავალწლიანი კონფლიქტის დაწყების მიზეზი, წარსული გამოცდილების მიუხედავად კი, თანამედროვე ურთიერთობის ფორმატი ჩამოაყალიბა საბერძნეთისა და ალბანეთის მრავალმხრივი კავშირის, ბერძნული უმცირესობის შენარჩუნების, კულტურული და დიპლომატიური ურთიერთობის სახით, რაც, მიანიშნებს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის წარმატებულ, სარგებელზე ორიენტირებულ საქმიანობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბერძნული ეთნიკური უმცირესობა, ალბანეთის კომუნისტური მმართველობა, ეროვნული უსაფრთხოება, დაზვერვა, კონტრდაზვერვა.

# INTELLIGENCE ASPECTS OF COMMUNIST POWER IN ALBANIA AND ITS EFFECTS ON THE GREEK ETHNIC MINORITY

**Salome Tsuriashvili**
The Faculty of Social and Human Sciences. International Relations and International Security, Master's Program, Caucasus International University. Sophomore year
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** - Doctor of History, associate professor of the Caucasus International University.

The protection of national security and preservation of historical sovereignty has crucial importance in the process of integration into the international system, which is fundamentally based on the formation of rational, geostrategic domestic and foreign policy. After the end of the communist rule in Albania and the withdrawal of the Albanian emigrants from the territory of Greece, new probable geographical contours appeared inciting the conflict between Albania and Greece, which clearly revealed the readiness and efficiency of the intelligence and counter-intelligence services of individual states.

It is noteworthy that the problem was not growing in one specific direction because apart from territorial sovereignty, the fundamental importance of ethnic politics for the Greeks was also evident. However, at the same time, Albania, as a communist country, was not interested in privileging the status of minorities and integrating their rights into the political space. Consequently, there were many reasons for the instigation of the conflict: the Greek nationality was imperiled by Albania's internal politics and its segregative treatment of both the Greek state and its society; as a result, the Greek culture was declining in prominence, and Albanian culture, including its language and values, was actively instilled in the curriculum; subsequent generations were raised with these values. This conflict also led to the creation of the history of Orthodox autocephaly in Albania, where the clergy were the main force in the struggle for ethnic minorities and in introducing their concept.

The functioning of Albania's communist mechanism is undeniably intriguing, given that it precipitated a protracted conflict between Albania and the Greek minority. Despite the experience, the format of the modern relationship between Albania and Greece was formed in multilateral ways, and cultural and diplomatic relations indicate that there is merit in the successful use of intelligence and counterintelligence and profit-oriented activities as well.

**Keywords**: Greek ethnic minority, communist rule of Albania, national security, intelligence, counterintelligence.

# ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაზე

**ბესიკ თავართქილაძე** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა I კურსი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,** კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

მსოფლიოშიმიმდინარეკონფლიქტებიმნიშვნელოვანგავლენასახდენსსაერთაშორისო უსაფრთხოებაზე. კონფლიქტის პრევენცია და მართვა ზოგჯერ არის ძალიან რთული ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს ღრმა ანალიზს და საფუძვლიან შესწავლას მისი გამომწვევი მიზეზების და იმ აქტორების რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ არიან ჩართულნი ამა თუ იმ კონფლიქტში. მოუგვარებელ კონფლიქტების სიაში არის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტიც რომელიც წლებია სულ უფრო მწვავდება. ამ კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ,, ჰამასს" რომელიც წლებია იბრძვის ისრაელის წინააღმდეგ და სურს მისი სრული განადგურება, ის უარყოფს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და მიმართავს ძალისმიერ აგრესიულ ქმედებებს. შესაბამისად ამ პროცეს ეწირება ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. არაბული სამყაროს უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღებელია ისრაელის სახელმწიფოს არსებობა რომელთაგან განსაკუთრებით აქტიურობენ ირანი და სირია, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან და მხარს უჭერენ ჰამასს. თემაში განხილული იქნება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მიმდინარე მოვლენები კონფლიქტის ზონაში. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ჰამასის ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვას, მის როლს და ფაქტორს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. განხილული იქნება ახლო აღმოსავლეთის რეგიონული ლიდერების, გლობალური აქტორების აშშ-ის, რუსეთის და ჩინეთის როლი და ფაქტორი აღნიშნულ კონფლიქტში.

**საკვანძო სიტყვები:** აღმოსავლეთის რეგიონული უსაფრთხოება, მოუგვარებელი კონფლიქტები, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული ლიდერები, გლობალური აქტორები

# ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT ON REGIONAL SECURITY IN THE MIDDLE EAST

**Besik Tavartkiladze**
Faculty of Social Sciences, International International and International Security Master's Program, Caucasus International University.
Sophomore year
**Scientific Assistant: Alika Guchua,** Associate Professor of the Faculty of Social Sciences of CIU, Doctor of Political Sciences

Current conflicts in the world have a significant impact on international security. Occasionally, conflict prevention and management is an arduous, protracted process that requires a deep analysis and a thorough study of its causes and actors who are directly or indirectly involved in this or that conflict. The Israel-Palestine conflict, which has advanced for years, is included on the list of unresolved disputes. Hamas has been engaged in protracted hostilities against Israel with the aim of annihilating it entirely rejecting peaceful resolutions and instead employing coercive and aggressive tactics. Accordingly, the lives of hundreds and thousands of innocent people are sacrificed in this process. The existence of the state of Israel is unacceptable for the vast majority of the Arab world, especially Iran and Syria, which actively help and support Hamas.

The research examines the causes of the challenging Israeli-Palestinian conflict, and current events in the conflict zone. Also, significant attention will be paid to the overview of the activities of the terrorist organization Hamas, its role and factor in the struggle against Israel. Besides, the role and factor of regional leaders of the Middle East in the aforementioned conflict, as well as global actors – the USA, Russia and China will be analyzed.

**Keywords:** Eastern regional security, unresolved conflicts, Middle East regional leaders, global actors

# კიბეროპერაციების მიმართება სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპთან

დიმიტრი ცანავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამართლის პროგრამის მაგისტრანტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია,** სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო სამართლის ეფექტიანი მოქმედებისთვის საჭიროა სახელმწიფოებმა პატივი სცენ სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტს, რაც გულისხმობს მისი დარღვევისაგან დაუკანონო ჩარევისაგან თავის შეკავებას. XXI საუკუნეში საერთაშორისო სამართლის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ტექნოლოგიის გლობალური განვითარებისთვის ფეხის აწყობა და

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება. აღნიშნული საჭიროების ფაქტობრივ დადასტურებას წარმოადგენს უკანასკნელ წლებში სახელმწიფოების წინააღმდეგ განხორციელებული კიბეროპერაციების რიცხვი, რომელიც გამუდმებით იზრდება. მოცემული კიბეროპერაციები, ხშირ შემთხვევაში, არღვევს მსხვერპლი სახელმწიფოს სუვერენიტეტს და საპასუხო სამართლებრივი ნორმების არარსებობა დამატებით, ხელს უწყობს თავდასხმის ორგანიზატორებს. კიბერშეტევა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმის უგულებელყოფას ვინაიდან და რადგანაც კიბერშეტევას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის თუ პრინციპის დარღვევა. მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში დღემდე განხორციელებული კიბერშეტევების მაგალითები გვაძლევს საფუძველს ვიმსჯელოთ თავდამსხმელი სახელმწიფოების მხრიდან მსხვერპლი სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევაზე. წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება დღემდე არსებული ფაქტობრივი მაგალითები (ესტონეთი 2007; ირანი 2010; საქართველო 2019) და გაკეთებული იქნება სამართლებრივი შეფასება, რამდენად ექცევა წარმოდგენილი შემთხვევები შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ჩარჩოში. ნაშრომში შეგნებულად არ იქნება განხილული რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განხორციელებული კიბერშეტევა, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები განხორციელებული იყო მიმდინარე შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის ფარგლებში და წარმოადგენდა ჰიბრიდული ომის გამოვლინებას.

**საკვანძო სიტყვები:** კიბეროპერაცია,  უკანონო ჩარევა, საერთაშორისო სამართალი

# THE RELATION OF CYBER OPERATIONS TO THE PRINCIPLE OF NON-INTERFERENCE IN THE INTERNAL AFFAIRS OF STATES.

**Dimitri Tsanava**
Master's student of Caucasus International University, law program
**Scientific supervisor: Guram Gvinjilia,** Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

For the effective operation of international law, states need to respect the sovereignty of other states, which means refraining from it's violation and illegal interference. In the 21st century, the main challenge of international law is to set the stage for the global development of technology and to establish an appropriate legal framework. The actual confirmation of the above-mentioned is the number of cyber operations carried out against the states in recent years, which is systematically increasing. These cyber operations in many cases violate the sovereignty of the victim state, and the absence of relevant legal norms additionally assist the organizers of the attack. A cyber attack may constitute the breach of numerous norms and principles of international law. One of  them is the principle of non-interference in the internal affairs of the sovereign state.

The examples of cyber attacks carried out in the international legal space give us a reason to

examine the violation of the principle of non-interference in the internal affairs of the victim states by the attacking states. Actual examples to date (Estonia 2007; Iran 2010; Georgia 2019) will be examined and evaluated legally in the presented work. The research will intentionally omit any discussion of the cyber attack executed by the Russian Federation against Georgia in 2008. This is because the aforementioned actions were conducted as part of an ongoing armed conflict and constituted an example of hybrid warfare.

**Key words:** cyber operation, illegal interference, international law

# ჟურნალისტიკის როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაში და მისი სადაზვერვო ასპექტები

**კირტავა თამარი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა. II კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი** - ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვანი ფაქტორია, ქვეყნის ეროვნულიუსაფრთხოებისუზრუნველსაყოფად.პოლიტიკურიუსაფრთხოებისმდგრადობის შენარჩუნება-გასამყარებლად, სახელმწიფო ვალდებულია თანაბარმნიშვნელოვნად იზრუნოს როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის წარმოებისას. აღნიშნულ პროცესებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სანდოობით, დროულობითა და სრულყოფილებით გამორჩეული, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობით მოპოვებულ ინფორმაციათა ნაკადის მიხედვით, წარმოებული ანალიზი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკური უსაფრთხოება.

ჟურნალისტიკის როლი, დე ფაქტო, მე-4 ხელისუფლებად აღიქმება. რაც სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს ისეთივე, დონის დაცულობას, როგორც ეს უნდა ხორციელდებოდეს, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სახელისუფლებო შტოებზე. ჟურნალისტიკის სფერო, ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, ქვეყანაში სადაზვერვო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელების მიმართულებით. ამავდროულად, ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა საკუთარი მასმედიის საშუალებები გამოიყენოს უცხო ქვეყნების სადაზვერვო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ.

მზვერავი ქვეყნის მიერ დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში სადაზვერვო ქმედებების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, მათი დაგეგმარების პროცესში დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოზე და საერთაშორისო არენაზე პროპაგანდისტული აქტივობების ორგანიზება. ყველა სახელმწიფო საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების მყარი სისტემის ჩამოყალიბება-გამყარების პროცესში უცხო ქვეყნების მხრიდან სადაზვერვო

პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედებს.

სადაზვერვო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია დეზინფორმაციას, რომელიც ჟურნალისტიკის სფეროს მეშვეობით, მშვიდობიანობისა თუ ომის პერიოდში მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის ობიექტ სახელმწიფოში. ასევე, პროპაგანდის მსგავსად, იგი ფარული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს, რომელიც სპეციალური სამსახურების მხრიდან ნაწარმოები ოპერატიული თამაშის შემადგენელი ნაწილია და სადაზვერვო შეღწევადობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა შეუძლია.

**საკვანძო სიტყვები:** დაზვერვა, კონტრდაზვერვა, ჟურნალისტიკა, უსაფრთხოება, პოლიტიკური უსაფრთხოება, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, მასმედია.

# THE ROLE OF JOURNALISM IN THE POLITICAL SECURITY OF THE STATE AND ITS INTELLIGENCE ASPECTS

**Tamar Kirtava**
The Faculty of Social and Human Sciences. International Relations and International Security Master’s Program. Caucasus International University. Sophomore year.
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** - Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

The political security of the state is an important factor in ensuring the national security of the country. In order to maintain and strengthen the stability of political security, the state is obliged to take care of both foreign and domestic policies of the country equally. In the mentioned processes, reliability, timeliness and according to the flow of information obtained by intelligence and counter-intelligence activities, the analysis should ensure the internal and external political security of the country. The role of journalism, de facto, is perceived as the 4th government requiring the same level of protection from the state as it should be exercised by the legislative, executive and judicial branches of government. The field of journalism is one of the main means in the direction of spreading intelligence propaganda and disinformation in the country. At the same time, any state always has the opportunity to use its mass media to counter the intelligence propaganda and disinformation of foreign countries.
The effectiveness of intelligence actions in the state of the object of intelligence by the intelligence country is significantly determined by the organization of propaganda activities on the state of the object of intelligence and in the international arena in the process of their planning. All states, in the process of establishing and strengthening a solid system of political security of their own country, act in anticipation of intelligence propaganda from foreign countries.

Disinformation plays an important role in the successful resolution of intelligence tasks, which creates a significant threat in the target state through the field of journalism, in times of peace or war.

Also, like propaganda, it is one of the important methods of covert activity, which is a constituent part of the operational game created by special services and can create favorable conditions for intelligence penetration.

**Keywords:** intelligence, counterintelligence, journalism, security, political security, disinformation, propaganda, mass media.

# პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ,,გაყინული კონფლიქტების'' სადაზვერვო ხასიათი

**ლერი უშხვანი** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**,**
საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო
უსაფრთხოება, მაგისტრატურა
**ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი -** დავით კუხალაშვილი,
ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

ცივი ომის დასრულების შემდეგ რასაც 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა მოყვა, გაჩნდა თხუთმეტი ახალი სახელმწიფო. საბჭოთა კავშირის დაშლას წინ უძღოდა ისეთი ნაღმების წინასწარ შექმნა, როგორიც არის ,,გაყინული კონფლიქტები'', რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოადგენდნენ ისეთ ბერკეტებს, რომელსაც ამ კავშირის ძირითადი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გამოიყენებდა შორს მიმავალ პერსპექტივაში საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, რადგან ამ სახელმწიფოს სტრატეგიაში აღნიშნულ გეოგრაფიულ მონაკვეთზე, საკუთარი დომინანტური, რეგიონული აქტორის შენარჩუნება სურდა.

პოსტსაბჭოთა სივრცეზე „გაყინული კონფლიქტები" ხასიათდებოდა ხანგრძლივობით, რომლებიც ეფუძნებოდა ეთნიკურ-პოლიტიკურ ფაქტორებს და რომლის პირობებში მონაწილე მხარეებს შორის მუდმივი დაძაბულობის მოხსნის ყველა მცდელობა დასრულდა კრახით. ამ შედეგის მიღწევისათვის დაპირისპირებული მხარეებს გააჩნდათ მკვეთრად რადიკალური შეხედულებები და პერიოდული მოლაპარაკებების შედეგობრიობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი, რაც დიპლომატიური მოლაპარაკებებს უშედეგოს ხდიდა.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით სახელმწიფოები რომელთაც გააჩნიათ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები ალბათობის მაღალი ხარისხით წარმოადგენენ ხელსაყრელ, მოწყვლად სამოქმედო ობიექტებს დაინტერესებული სადაზვერვო სამსახურებისათვის.

,,გაყინული კონფლიქტების'' მომავალში გააქტიურების მიმართულებით აღნიშნული კონფლიქტების შექმნაში და შემდეგ ,,ამოძრავებაში'' უცხოური სპეცსამსახურების როლი საკმაოდ მაღალია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ,,გაყინული კონფლიქტების'' მშვიდობიანი გზით მოგვარება თითოეული ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან

გამომდინარე გახლავთ უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სტაბილური გარემოსთვის და მზარდი პოზიტიური განვითარებისათვის. მოვლენათა ამ გზით განვითარების მიუღებლობის გამო, დაინტერესებულ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა სადაზვერვო აქტივობებით უმოძრაო მდგომარეობაში დატოვონ აღნიშნული კონფლიქტები, რათა შექმნილი ვითარებიდან მიიღონ სათანადო სარგებელი.

**საკვანძო სიტყვები:** გაყინული კონფლიქტი; დაზვერვა; ეროვნული ინტერესები; ეროვნული უსაფრთხოება; ცივი ომი; სპეცსამსახურები.

# INTELLIGENCE CHARACTER OF “FROZEN CONFLICTS” IN POST-SOVIET COUNTRIES

**Leri Ushkhvani**
Faculty of Social and Humanities, International Relations and International Security, Master’s Educational Program, Caucasus International University
**Scientific Assistant:** Davit Kukhalashvili - Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

After the end of the Cold War, followed by the dissolution of the Soviet Union in 1991, there emerged fifteen new states. The collapse of the Soviet Union was preceded by the preliminary creation of such mines as “frozen conflicts” which in former Soviet republics represented levers used by the Russian Federation, the main legal heir of this union, would use in the long term for its own interests, because it wanted to maintain its dominant, regional actor in the geographical section mentioned in the strategy of this state. “Frozen conflicts” in the post-Soviet space were distinguished by their protracted nature, based on ethnic-political factors and wherein all attempts to alleviate the constant tension between the parties involved ended in failure. To achieve this result, the opposing parties had sharply radical views and the effectiveness of periodic negotiations was reduced to a minimum, which made diplomatic negotiations ineffective. Based on past experience, states and regions containing religious minorities are likely to be convenient and vulnerable targets for intelligence services with an interest in them.

The role of foreign special services in instigating and subsequently “advancing” the aforementioned conflicts in the direction of activating the “frozen conflicts” in the future is quite high. Peaceful settlement of the “frozen conflicts” existing in the post-Soviet countries, based on the national interests of each country, is of the utmost importance for the country’s stable environment and growing positive development.

Due to the unacceptability of the development of events in this way, the interested states have the opportunity to maintain the aforementioned conflicts in a dormant state through intelligence

operations in order to exploit the created situation to their advantage.

**Keywords:** frozen conflict; Intelligence; national interests; national security; cold war; special services.

# ტექნოლოგიების როლი მომავალი უსაფრთხოების ლანდშაფტის ფორმირებაში

მუხრანი შუბითიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოება, მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი

ტექნოლოგიების როლი მომავალი უსაფრთხოების ლანდშაფტის ფორმირებაში არის გადამწყვეტი ტექნოლოგიური მიღწევების ტემპებიდან გამომდინარე, რაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მომასწავებელია, საერთაშორისო საზოგადოებას მოუწევს მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება თუ როგორ იცავენ ერები და ორგანიზაციები თავიანთ ინტერესებს ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ.

ნაშრომში კვლევას ექვემდებარება ტექნოლოგიების მრავალმხრივ როლის მომავალი უსაფრთხოების ლანდშაფტის ფორმირებაში. ისეთი ტექნოლოგიური განვითარების მქონე ეპოქაში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის ეპოქა, ბლოკჩეინი და კვანტური გამოთვლები აგრძელებენ განვითარებას, ეს ყოველივე წარმოადგენს უპრეცედენტო შესაძლებლობების განვითარების პიკს, რაც ასევე, ქმნის გამოწვევებს უსაფრთხოების პრაქტიკოსებისთვის. ამ ტექნოლოგიების ინტეგრაცია მომავალი უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებაში, შანსს გვაძლევს გავაუმჯობესოთ საკუთარი სათვალთვალო შესაძლებლობები, რაც გააუმჯობესებს საკომუნიკაციო ქსელებს და შექმნის საფრთხის აღმოჩენის ინოვაციურ მექანიზმებს. თუმცა, ამ მიღწევებთან ერთად მოდის ახალი გამოწვევები დაწყებული კიბერ საფრთხეებიდან ავტონომიური სისტემების ირგვლივ არსებულ ეთიკურ დილემებამდე. აბსტრაქტში ხაზგასმულია ტექნოლოგიასა და უსაფრთხოებას შორის დინამიკურ ურთიერთკავშირს, შეისწავლის, თუ როგორ ახერხებენ ერები ნავიგაციას და ინარჩუნებენ ბალანსს თავდაცვისთვის უახლესი ინოვაციების გამოყენებას შორის, ხოლო ციფრული ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში თანმდევი რისკების შერბილებისას.

დისკუსია სცილდება ჩვეულებრივი სამხედრო მოსაზრებების ფარგლებს, მოიცავს კიბერ ომს, საინფორმაციო ომს და ტექნოლოგიური დომინირების ეთიკურ შედეგებს. არსებითად, აბსტრაქტი ხაზს უსვამს ტექნოლოგიასა და უსაფრთხოების მომავლის ლანდშაფტის ფორმირების პროცესში ურთიერთობის ურთიერთობების განვითარებას.

# THE ROLE OF TECHNOLOGY IN SHAPING THE FUTURE SECURITY LANDSCAPE

**Mukhran Shubitidze**
Faculty of Social Sciences, International Relations and International Security, Master's student, Caucasus International University
**Scientific Assistant: Alika Guchua,** Doctor of Political Sciences, Caucasus International University, Associate Professor.

The Role of Technology in Shaping the Future Security Landscape is critical, given the pace of technological advancements driving significant change. The international community must take substantial action on how nations and organizations protect their interests in the wake of technological development. This abstract explores the multifaceted role of technology in shaping the future security landscape. As technological developments, such as the age of artificial intelligence, blockchain, and quantum computing, continue to evolve, they represent peaks of unprecedented capabilities that also create challenges for security practitioners. Integrating these technologies into the development of future security policies gives us the chance to improve surveillance capabilities, enhance communication networks, and create innovative threat detection mechanisms. However, these developments give rise to new obstacles, encompassing ethical quandaries and cyber threats in the context of autonomous systems.

The abstract highlights the dynamic relationship between technology and security, examining how nations navigate and maintain a balance between leveraging the latest innovations for defense while mitigating the risks inherent in a digitally interconnected world. The discussion goes beyond conventional military considerations to include cyber warfare, information warfare, and the ethical implications of technological dominance. Essentially, the abstract emphasizes the evolving relationship between technology and the future of security in shaping the landscape.

# სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოება მისი სადაზვერვო ასპექტებით

**თეონა ლექავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამა. მაგისტრატურა, II კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი,** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ენერგეტიკული უსაფრთხოება სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის სწორი სამოქმედო გეგმა და განხორციელება სერიოზული

მსაზღვრელია, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკური კურსის. ენერგეტიკული სექტორი და საკუთრივ მისი დაცვა ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ სხვა ქვეყნების ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია ენერგეტიკული უსაფრთხოების სეგმენტი, რაც ნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნული წარმოადგენს უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების სამიზნე სეგმენტს. ხაზგასასმელია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების წარმატებული განხორციელება მეტწილად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებით მიიღწევა, სადაც მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოს ქმედების ბალანსი განსაზღვრავს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს, როგორც პოლიტკური ისე ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შესწავლის საგანს.

პოლიტიკურ უსაფრთხოებაში ენერგეტიკული სეგმენტი ვლინდება მოსალოდნელი სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციით, მაშინ, როდესაც ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ამასთანავე, ამან შესაძლოა გამოიწვიოს არსებული ხელისუფლებისა და წესწყობილების ძალადობრივად დამხობა. ეკონომიკური უსაფრთხოების სეგმენტზე კონტროლის უზრუნველსაყოფად კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ შესაძლებელია უცხო სახელმწიფომ გამოიყენოს სამხედრო ძალა, რომელსაც წინ უსწრებს სამხედრო მიმართულების სადაზვერვო საქმიანობა. ხოლო, რაც შეეხება, სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვასა და კონტრდაზვერვას, ყველა პროცესს, რომელიც უკავშირდება ქვეყნის შიდა თუ გარე კავშირ-ურთიერთობების დამყარებას ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით, ის ამ სამეცნიერო-ტექნიკური სეგმენტის შესწავლის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლის ფლობა წარმოადგენს, როგორც მყარი დემოკრატიის ისე არამყარი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესს. რათა მათ საკუთარი ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოება უფრო მეტად გაამყარონ. სწორედ ამ მიმართულებით, საკვლევი თემა იძენს დიდ მნიშვნელობას, რადგან სამხრეთ კავკასია ენერგეტიკული თვალსაზრისით წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიულ რეგიონს.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზვერვო საქმიანობა; ენერგეტიკული უსაფრთხოება; სამხრეთ კავკასია; ამერიკა; რუსეთი; საერთაშორისო ორგანიზაციები

# ENERGY SECURITY OF THE STATE WITH ITS INTELLIGENCE ASPECTS

**Teona Lezhava**

Faculty of Social Sciences and Humanities, Postgraduate Educational Program in International Relations and International Security. Master's student, Caucasus International Univeristy, Sophomore year.

**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** - Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University

Energy security is a crucial focus for the state, with its correct action plan and implementation serving as significant determinants for both domestic and foreign political courses. The energy sector

and its protection constitute an integral aspect of national security, involving the control of other countries' energy resources for the advancement of one's own strategic interests. Consequently, every state possesses an energy security segment, rendering it a target for foreign intelligence services. It is important to emphasize that the successful implementation of energy security largely relies on intelligence and counter-intelligence actions, wherein the balance of the state's actions plays a pivotal role.

Energy security encompasses political, economic, military, and scientific-technical intelligence and counter-intelligence studies. The political security aspect of the energy segment is evident in anticipated socio-political destabilization when a country fails to ensure energy security. Moreover, this situation may lead to the violent overthrow of the existing government and institutions. To maintain control over the economic security segment, a foreign state might resort to military force, preceded by military intelligence activities. As for scientific-technical intelligence and counter-intelligence, comprehending the processes related to the establishment of internal and external communications concerning a country's energy security is crucial for studying this scientific-technical segment.

The strategic interest of states, both with solid democracies and non-solid democracies, lies in controlling energy resources in the South Caucasus region. This control enables them to enhance the energy security of their countries further. Consequently, research on this topic is of great importance, given that the South Caucasus holds strategic significance from an energy perspective.

**Keywords:** intelligence activity, energy security, South Caucasus, United States of America, Russia, international organizations.

# პოლიტიკური კამპანიები და ამომრჩეველთა საინფორმაციო უსაფრთხოება

ბექა ჩალაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა II კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**: **ვახტანგ მაისაია** კსუ-ს პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

არჩევნები წარმოადგენს მნიშვნელოვან გასაღებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე. რამდენადაც ღია, საყოველთაო და უსაფრთხოა საარჩევნო გარემო იმდენად დემოკრატიულია ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტი. დღესდღეობით თითქმის ყველა ქვეყანაში ტარდება არჩევნები, თუმცა მეორე საკითხია რამდენად დემოკრატიულად ტარდება იგი, როგორია ამომრჩევლის მონაწილეობა მასში და ზოგადად რამდენად ხდება დემოკრატიული პრინციპებით ხელისუფლების ცვლილება და პოლიტიკური პარტიების მონაცვლეობა პოზიციიდან ოპოზიციურ ფლანგზე. ბუნებრივია

ყველაფერ ამაში მნიშვნელოვან გავლენას ახდეს საინფორმაციო კამპანია, ამომრჩევლის ინფორმირებულობის დონე, მისი ზოგადი განათლების ხარისხი და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებები. განსაკუთრებით ყურადსაღებია წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანიები, რომლის დროსაც სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიები აქტიურ საარჩევნო შეხვედრებს მართავენ ამომრჩეველთან. თუმცა 21-ე საუკუნეში აღსანიშნავია საინფორმაციო და ტექნოლოგიური განვითარების ფაქტორიც. რამდენადაც ამომრჩეველთან კომუნიკაციის უკვე რამდენიმე სახე არსებობს, იქნება ეს უშუალო შეხვედრა, ასევე ტელევიზიიდან და უფრო მეტად კი ინტერნეტის დახმარებით (რომელთ შორის აღსანიშნავია უკვე სოციალური ქსელების როლი - ფეისბუქი,ინსტაგრამი, ტვიტერი) საარჩევნო პროგრამების გაცნობა. ერთია რომ პოლიტიკური კამპანიისას საკუთარი უპირატესობები წარმოაჩინო მეორე კი ამომრჩეველს დაანახო ოპონენტის ნაკლოვანებები და დაარწმუნო საზოგადოება რომ შენი არჩევა არის უკეთესი ქვეყნის განვითარებისთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია შეერთებული შტატების გამოცდილება, სადაც წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ ოპონენტებს შორის ტარდება სატელევიზიო დებატები, სადაც ხდება კანდიდატების ნებისყოფისა და ზოგადად პოლიტიკური კულტურის გამოცდა. ამ მხრივ არანაკლებია ინტერნეტში, მთავარი პოლიტიკური სუბიექტების მიერ გაკეთებული განცხადებები სოციალურ ქსელებში ე.წ. პოსტებით, რომელმაც შესაძლოა გადაწონოს საარჩევნო სასწორის პინა ან დადებითი ანდაც უარყოფითი მიმართულებით. ვფიქრობ რომ ჩვენს საუკუნეში მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა მეთოდებით მიმდინარეობს პოლიტიკური საარჩევნო კამპანია სხვადასხვა ქვეყანაში (როგორც დემოკრატიულში ასევე არადემოკრატიულში) რა ისტორიული გამოცდილება გვაქვს ამ შემთხვევაში და რამდენად აქტუალურია ეს საკითხი საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** არჩევნები, პოლიტიკა, საარჩევნო კამპანია, 21-ე საუკუნე, საინფორმაციო ტექნოლოგიები, პოლიტიკური პარტიები, საქართველო და მსოფლიო

# POLITICAL CAMPAIGNS AND VOTER INFORMATION SECURITY

**Beka Chaladze**
Faculty of Social and Humanities International Relations and International Security Master's Program, CIU, Sophomore year
**Scientific Assistant: Vakhtang Maisaya,** professor of KSU, doctor of political sciences

Elections are a critical factor in the democratic development of nations. The more secure, developed and free the elections are, the more Democratic countries are. Nowadays, elections are held in almost all countries, but the second issue is how democratically they are held, what the participation of the electorate in it is, and in general, how much is the change of rights and the change of political parties from the position to the opposition flag, based on democratic principles. It is natural that the information campaign, the level of awareness of the voter, the quality of his general education and the attitudes of political parties have a significant impact on all of this. Pre-election political campaigns

deserve special attention, during which ruling and opposition parties hold active pre-election meetings with voters. However, in the 21st century, it is worth to mention the factor of information technology development. There are already several forms of communication with voters, be it a direct meeting, or familiarization with election programs on television, and even more so using the Internet (including the role of social networks - Facebook, Instagram, Twitter). It's one thing to present your advantages during a political campaign, and another to show voters the shortcomings of your opponent and convince the public that your elections are better for the development of the country. In this regard, the experience of the United States deserves attention, where during the pre-election period TV debates are held between political opponents, where the willpower of candidates and political culture as a whole are tested. More important is the Internet and social media, where political candidates' statements such as posts, may guarantee victory or failure. I think that in our century it is important to know the methods of political election campaigns in different countries (both democratic and non-democratic), what historical experience we have in this case and how relevant this issue is in Georgia.

**Key words:** election, politics, election campaign, XXI century, information technology, political parties, Georgia and the world

# სადაზვერვო სისტემის მნიშვნელობა სახელმწიფოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაში

**მეგი ჯომიდავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, IV კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი** - ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მდგრადი ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და უსაფრთხო ტრანსსასაზღვრო ურთიერთობები ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტური კომპონენტია, რომელიც წარმოუდგენელია საგარეო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. დღის წესრიგში აქტიურად დგას ენერგოუსაფრთხოების მოწყვლადობის საკითხი, რაც უკავშირდება სახელმწიფოთა სპეცსამსახურებისგან საკითხის მიზნობრივად სამხედრო-პოლიტიკური შანტაჟის იარაღად გამოყენებას. ამიტომაც, ნაშრომში გაანალიზებულია სადაზვერვო/კონტრსადაზვერვო საქმიანობის როლი ენერგეტიკულად კონკურირებადი სფეროს საშინაო/საგარეო კომპეტენციის ფარგლებში.

სადაზვერვო სისტემის არსი, კონცეპტუალური თვალსაზრისით, მაღალი კონსპირაციის პირობებში დაზვერვის ობიექტი ქვეყნის წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ერთობლიობის, ე.წ. წინასწარგანზრახული კამუფლაჟური სტრატეგიის, ორგანიზებაში მდგომარეობს. ენერგია კი ფუნდამენტია სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის, რადგან

ყოველდღიური დანიშნულებისაა და მასზეა დამყარებული სახელმწიფოს ეკონომიკა, სამხედრო მრეწველობა, სამეცნიერო ტექნოლოგიები, პოლიტიკა. ხოლო სადაზვერვო/კონტრსადაზვერვო სამსახურს კი გააჩნია თავსებადობა ზემოაღნიშნულ სფეროებთან და ამიტომაც იყენებს ინსტრუმენტების ეფექტურ კომბინაციის ნაზავს, რომ თავიდან აირიდოს უცხო სპეცსამსახურთა მიერ, ეკონომიკიდან გამომდინარე, ყველა სფეროს საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა, უსაფრთხოების სეგმენტის დაზიანება.

ენერგოდამოკიდებულების კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ზოგადი ოპერატიული ვითარებისა, მოწყვლადობის ხარისხისა. რაც უფრო მაღალია საიდუმლოების რეჟიმის დაცვა პოტენციურ ენერგეტიკულ პროექტებთან და გეგმურ რეზერვებთან დაკავშირებით, მით უფრო ნაკლებია აგენტურულ-ოპერატიული შეღწევადობის ალბათობა. ენერგეტიკაზე დაფუძნებული სფეროების ეკლექტიკურობიდან გამომდინარე, დაზვერვის მეთოდები/ძალისხმევა არ უნდა იყოს დისპერსიული, არამედ თითოეული სახეობა უნდა იყოს კოორდინირებული/ ინტეგრირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქმედებები იქნება სპონტანური და დაეფუძნება ინტუიციურ მიდგომას, რაც გაზრდის მზვერავი სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი სარგებლის მიღების მასშტაბებს.

ენერგეტიკულ სეგმენტზე განხორციელებული დაზვერვა ავტომატურად გულისხმობს სახელმწიფოს ყველა სეგმენტის საფრთხეს. შესაბამისად, საჭიროა მუდმივი კონტრსადაზვერვო მონიტორინგი, რომ შემცირდეს გადაწყვეტილების მიღების დაუცველობისკოეფიციენტიდაშენარჩუნებულიქნასუპირატესობაკონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე. ამ ჯაჭვური პროცესის დარღვევის, ან გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფთა არასწორი კომპლექტაციის პირობებში, სახელმწიფო ვერ მოახერხებს საგარეო საფრთხეების პრევენციის კუთხით კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას. ამასთანავე, დაზვერვითი სტრუქტურების როლი მნიშვნელოვანია არამარტო დაძაბული სამხედრო კონფრონტაციის, არამედ მშვიდობიანობის პერიოდშიც.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზვერვო საქმიანობა, ეკონომიკური დაზვერვა, პოლიტიკური დაზვერვა, საერთაშორისო ურთიერთობები, უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება

# THE IMPORTANCE OF THE INTELLIGENCE SYSTEM IN THE ENERGY INDEPENDENCE OF THE STATE

**Megi Jomidava**
Caucasus International University, Faculty of Social and Humanities, International Relations, 4th course
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili –** Doctor of History, Doctor of Professional Security, Associate Professor of Caucasus International University

Sustainable energy independence and secure cross-border relations are fundamental components of national security, which cannot be imagined without considering external factors.

The issue of vulnerability of energy security is actively on the agenda, which is related to the use of this issue as a weapon of military-political blackmail by the special services of the states. Therefore, the research analyzes the role of intelligence/counter-intelligence activities within the domestic/foreign competence of the energetically competitive sphere.

From a conceptual point of view, the essence of the intelligence system is a set of illegal actions, organization of the so-called premeditated camouflage strategy. Energy is a vital component for the functioning of a state, because it is essential and the state's economy, military industry, scientific technologies, politics are based on it. The intelligence/counterintelligence service has compatibility with the aforementioned areas and therefore uses an effective combination of tools to prevent access to classified information of all areas by foreign special services, depending on the economy, damaging the security segment. The coefficient of energy dependence is directly proportional to the general operational situation, the degree of vulnerability. The higher the secrecy regime regarding potential energy projects and planned reserves, the lower the probability of agency-operational penetration. Due to the eclecticism of energy-based fields, intelligence methods and their efforts should not be dispersed, but each type should be coordinated/integrated, otherwise these actions will be spontaneous and based on an intuitive approach, which will increase the extent of receiving damaging benefits on the part of the intelligence state.

The intelligence carried out on the energy segment automatically implies a situation containing threats to all segments of the state. Therefore, constant counterintelligence monitoring is required to reduce the vulnerability factor of decision-making and maintain competitive advantage at the national/international level. In the conditions of violation of this chain process, or incorrect composition of decision-making groups, the state will not be able to implement complex measures in terms of prevention of external threats. In addition, the role of intelligence structures is important not only during tense military confrontation, but also during peacetime.

**Keywords**: intelligence activity, economic intelligence, political intelligence, international relations, security, energy security

# ᲘᲡᲠᲐᲔᲚ-ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ

**ნათია აბუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი

ისრაელსა და პალესტინას შორის, ბოლო პერიოდში, განახლებული საომარი მოქმედებები მკვეთრად განსხვავდება წინა პერიოდის ანალოგიური მოვლენებისაგან. ამ

კონფლიქტს უწოდებენ არა ისრაელ-პალესტინის, არამედ - ისრაელ-ჰამასის კონფლიქტს, რაც მიუთითებს დაპირისპირების, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსხვავებულობაზე. ამჟამინდელი საომარი ოპერაციები თავისი მასშტაბურობით, სისასტიკით მკვეთრად განსხვავებულია. ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, მსოფლიოს ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მხარს ისრაელს უჭერს, კონფლიქტის განახლებას მთლიანად ჰამასს აბრალებს და პალესტინელი ხალხის მიმართ ნაკლებად ლოიალობას იჩენს. ქვეყნების ნაწილი კი - პირიქით, პალესტინელი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას და ისრაელს მოუწოდებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ.

მიმდინარე კონფლიქტში ჩაერთნენ, როგორც რეგიონის, ასევე - რეგიონის გარე აქტორები. განსაკუთრებით გამოიყოფა აშშ, რომელიც ტრადიციულად მხარს ისრაელს უჭერს. რაც შეეხება რუსეთს, ის ამ კონფლიქტში ყურადღებას პალესტინელი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე ამახვილებს. ჩინეთის რესპუბლიკა, როგორც ყოველთვის, კონფლიქტის მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდებს.

რაც შეეხება შიდა რეგიონულ აქტორებს: არაბული ქვეყნები, არც ამჟამად გამოირჩევიან ერთსულოვნებით, მაგრამ მათი დიდი ნაწილი პალესტინელებს უცხადებს სოლიდარობას. რეგიონის დიდ ქვეყნებს შორის განსაკუთრებით აქტიურობს თურქეთი, რომელიც აშკარად პალესტინის მხარდამჭერ პოზიციას აფიქსირებს. რაც შეეხება ირანს, აშშ და ისრაელი ტრადიციულად ბრალს დებენ მას ჰამასის მხარდაჭერასა და შეიარაღებაში, რასაც ირანი უარყოფს.

ისრაელ-პალესტინის, ანუ ე.წ. ისრაელ-ჰამასის მიმდინარე კონფლიქტი ბევრად ფართომასშტაბიანია, ამ ეტაპზე ძნელია მისი მოგვარების გზების ძიება. მშვიდობის დამყარებას ხელს არა მარტო დაპირისპირებული მხარეები უშლიან, არამედ - შიდა და გარე რეგიონული აქტორების შეუთანხმებელი პოზიციაც.

**საკვანძო სიტყვები:** ისრაელი, პალესტინა, ჰამასი, კონფლიქტი, აქტორები.

# RENEWAL OF THE ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT AND THE INVOLVEMENT OF EXTERNAL ACTORS IN IT

**Natia Abuashvili**
Faculty of Social Sciences, Bachelor of Social Sciences in International Relations Caucasus International University.
**Scientific Supervisor: Maia Kapanadze,** Doctor of History, Associate Professor of Caucasus International University

The recent renewed hostilities between Israel and Palestine are drastically different from the similar events of the previous period. This conflict isn't called the Israel-Palestine Conflict, but the Israel-Hamas Conflict, which indicates the difference in the conflict, as we mentioned above. Current military operations, with their scale, cruelty, etc., are drastically different. Compared to the previous cases, it acquired a more cruel character.

Regarding this conflict, there is a difference of opinions between the countries of the world. Some of them support Israel blaming the renewal of the conflict entirely on Hamas, and show less loyalty to the Palestinians. Some countries, on the contrary, pay attention to the plight of Palestinian people and call on Israel for a ceasefire.

In the current conflict, both regional and external actors are involved. The USA, which traditionally supports Israel, stands out in particular. As for Russia, it focuses on the plight of the Palestinian people in this conflict. The Republic of China, as always, calls the parties to the conflict for peace.

As for the internal regional actors, the Arab countries aren’t distinguished by unanimity now, but a large part of them declare their solidarity with the Palestinians. Among the big countries in the region, Turkey is particularly active, which clearly supports Palestine. As for Iran, the USA and Israel have traditionally accused it of supporting and arming Hamas, although Iran denies it firmly.

Israel-Palestine, the so-called Israel-Hamas, The current conflict is on a much larger scale, and at this stage, it’s difficult to find ways to resolve it. The establishment of peace is hindered not only by the conflicting parties but also by the non-agreed positions of internal and external regional actors.

**Keywords:** Israel, Palestine, Hamas, Conflict, Actors.

# პოლიტიკური დეპოლარიზაციის მნიშვნელობა ევროკავშირის წევრობისთვის

**გურამ ლილუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, IV კურსი
**ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი -** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი და ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

საქართველოს სახელმწიფოში პოლიტიკური რადიკალიზმი სულ უფრო და უფრო შესამჩნევი და აქტუალური საკითხია. პოლიტიკური დეპოლარიზაცია უკავშირდება რიგ მნიშვნელოვან მიმართულებებსა და სპეციფიკურ თავისებურებებს. ევროკომისიის რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ მიენიჭოს, რაც იგი გარკვეულ პირობებს შეასრულებს. საქართველოს განაცხადზე კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში, პრიორიტეტებს შორის დასახელებულია პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება, სასამართლო რეფორმების გატარება, დეოლიგარქიზაცია, ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა და სხვა. სამეცნიერო ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია

პოლიტიკური დეპოლარიზაციის მნიშვნელობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება იმ შეთანხმებაზე, რომელიც 2021 წლის გაზაფხულზე ევროკავშირისა და აშშ-ს ძალისხმევით საქართველოში გაფორმდა მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. შეთანხმება სახელწოდებით „მომავლის გზა საქართველოსთვის“ ცნობილია, როგორც შარლ მიშელის შეთანხმება. ეს უკანასკნელი არსებული პოლიტიკური კრიზისის აღმოფხვრის მიზნით განისაზღვრა და მოამზადა ნიადაგი რეფორმების განხორციელებისა და დაპირისპირებულ მხარეთა თანამშრომლობის პროცესისთვის. შეთანხმების მიხედვით, რეფორმები მოიცავდა პოლიტიკური მართლმსაჯულების, საარჩევნო, კანონის უზენაესობის და სახელისუფლებო ძალაუფლების გადანაწილების სფეროებს. ევროკავშირის უახლესი კვლევების შედეგად ცნობილია, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც პოლარიზაციისა და პოლიტიკური რადიკალიზმის ინდექსი მაღალია, ევროპული ინტეგრაცია წინააღმდეგობებით არის აღსავსე და ხასიათდება დაბალი ინტენსივობით.

**საკვანძო სიტყვები:** რეკომენდაცია, პოლიტიკა, რადიკალიზმი, პოლარიზაცია, დეპოლარიზაცია, კანდიდატის სტატუსი, ევროკავშირი, შარლ მიშელი, საქართველო, სტატისტიკა, კვლევა.

# THE IMPORTANCE OF POLITICAL DEPOLARIZATION FOR EU MEMBERSHIP

**Guram Liluashvili**
Faculty of Social and Humanities, International Relations, Caucasus International University, Senior year
**Scientifc Assistant: Giorgi Fareshishvili –** political science doctoral student of the Caucasus International University, advisor to the rector of the Caucasus International University and chairman of the Niko Nikoladze Society**.**

In the state of Georgia, political radicalism is an increasingly noticeable and urgent issue. Political depolarization is connected with a number of important directions and specific features. The European Commission recommends that Georgia be granted the status of a candidate country for the European Union after it fulfills certain conditions. In the conclusion prepared by the commission on Georgia's application, the priorities include ending political polarization, carrying out judicial reforms, de-oligarchization, strengthening the previous fight against organized crimes, ensuring media freedom, and others.

The main emphasis in the scientific paper is on the importance of political depolarization, which will contribute to Georgia's accession to the European Union. Attention will also be focused on the agreement that was signed in Georgia between the active political entities in the spring of 2021 with the efforts of the European Union and the USA. The agreement called 'The Way to the Future for Georgia' is known as the Charles Michel Agreement.

The latter was defined in order to eliminate the existing political crisis and prepare the ground for the implementation of reforms and the process of cooperation between the opposing parties. According to the agreement, the reforms included the areas of political justice, elections, the rule of law, and the distribution of governmental power. As a result of the latest studies of the European Union, it is known that in the states in which the index of polarization and political radicalism is high, European integration is full of contradictions and is characterized by low intensity.

**Key words:** recommendation, policy, radicalism, polarization, depolarization, candidate status, European Union, Charles Michel, Georgia, statistics, research.

# სამეცნიერო ტექნიკური უსაფრთხოების მაკავშირებლები სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებასთან

**მაკა ბასილიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, IVკურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:დავით კუხალაშვილი,** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვანი ფაქტორია, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე, აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას სახელმწიფოები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდიდან ახორციელებდნენ საერთაშორისო სივრცეში დომინირებისათვის. შედეგად სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით შესაბამის ღონისძიებებს მიმართავდნენ საკუთარი სტრატეგიული ინტერესების გატარებისთვის. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად სწორ და წარმატებულ სადაზვერვო საქმიანობაზე იყო და დღესაც არის დამოკიდებული სახელმწიფოთა განვითარების და ზეგავლენის მოხდენის პროცესები.
შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების და ამავდროულად ქვეყანაში ოპერატიული ვითარების სწორად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვან სეგმენტებს სახელმწიფოს სამეცნიერო ტექნიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების სექტორი და იქ არსებული ვითარება წარმოადგენს. იმისთვის, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი სახელმწიფოს უსაფრთხოება, მნიშვნელოვანია არსებულ სეგმენტებზე მყარი კონტროლის დაწესება. სპეცსამსახურებისათვის სანდო წყაროდან, სრულყოფილი და დროული ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს უსაფრთხო პოლიტიკურ და მეცნიერულ განვითარებაში. სახელმწიფოში არსებული ოპერატიული ვითარება კი კონსტიტუციური წყობილების შენარჩუნება-გაუმჯობესების ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეს პირდაპირ

კავშირშია იმ მიმართულებებთან, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზებაში.

იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფომ შეძლოს კონტროლის დამყარება და მისთვის სასურველი გარემოს შექმნა დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში, მან უნდა დააზიანოს დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ინტერესები და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საკვლევი მიმართულებით მოიპოვოს დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში ის მონაცემები, რომლებიც უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო მმართველობისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევების ნაწილს, რაც იწვევს სამიზნე ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სივრცის დაზიანებას, შესაბამისად სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი სათანადო ლიტერატურის, ტექნიკური საშუალებების შექმნის გამორიცხვას, კონკრეტული ვითარების ექსპერტიზისა და შეფასებისათვის საკუთარი სახელმწიფოს კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერთა მიზანმიმართულ გამოუყენებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზვერვო საქმიანობა, სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის დაზვერვა, პოლიტიკური დაზვერვა, ოპერატიული ვითარება

# CONNECTING SCIENTIFIC AND TECHNICAL SECURITY WITH THE POLITICAL SECURITY OF THE STATE

**Maka Basilidze**
Faculty of Social Sciences, Bachelor of Social Sciences in International Relations, Caucasus International University, Senior year
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** Director of the Training and Research Center of National and Corporate Security, Doctor of History, Doctor of Professional Security, Associate Professor of Caucasus International University

The political security of the state is an important factor in ensuring the national security of the country. Therefore, the states have been carrying out active intelligence activities in order to dominate the international space since BC. As a result, states resorted to appropriate measures through intelligence services to pursue their strategic interests. Along with other important factors, the development and influencing processes of states depended on correct and successful intelligence activities.

Accordingly, for the national security planning of each state and at the same time for the correct definition of the operational situation in the country, the scientific, technical and political security sector of the state and the situation there are important segments. In order to ensure the security of the state as much as possible, it is important to establish firm control over the existing segments. For special services, receiving complete and timely information from a reliable source plays an important role in the safe political and scientific development of the state. The operational situation in the state significantly determines the quality of maintaining and improving the constitutional arrangement.

To establish control and construct the intended environment within the intelligence target state, a foreign country must acquire the object of intelligence in a research-oriented manner, while undermining the intelligence object's interests, in accordance with its own state objectives. Besides, within the state it has to obtain the data that are related to the part of scientific research important for national security, and state governance causing damage to the scientific and technical space of the target country, accordingly, excludes the use of relevant literature, the creation of technical means, the deliberate non-use of research institutes and scientists of one's own state for the examination and assessment of a specific situation.

**Keywords:** intelligence activity, scientific-technical intelligence, political intelligence, operational situation.

# ᲙᲘᲑᲔᲠ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

მარიამ ხაჩიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ინტერნეტის გაჩენამ და ციფრულ ერაში გადანაცვლებამ სამყარო მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ტექნოლოგიურმა განვითარებამ არაერთ ასპექტში გაამარტივა ცხოვრება, რამაც ადამიანები, ფაქტობრივად, კიბერსივრცეს მიაჯაჭვა, თუმცა, ამის პარალელურად, წარმოიქმნა ისეთი სახის გამოწვევები, რასაც კიბერ საფრთხეები ეწოდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაჩნდა კიბერ სივრცისგან მომდინარე საფრთხეებზე რეაგირებისდაკიბერუსაფრთხოებისუზრუნველყოფისაუცილებლობა.კიბერუსაფრთხოება ბოლო რამდენიმე ათწლეულია განხილვის საგნად იქცა, იგი მოიცავს კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების დაცვას მავნე, არაავტორიზებულ თავდამსხმელთაგან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა მოხდეს კომპიუტერებსა და სხვა მოწყობილობებში შეღწევა, მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება და არასათანადო გამჟღავნება, ტექნიკის სისტემური დაზიანება და სხვ.

კიბერ საფრთხეების წინაშე შესაძლოა დადგნენ როგორც კონკრეტული ინდივიდები – რისი რისკიც თანდათან უფრო იზრდება, ჭკვიანი გაჯეტების განვითარებასთან ერთად, ასევე სახელმწიფოებიც რადგან აგრესიული ჯგუფების მიერ კიბერ სივრცის ათვისებამა და გამოყენებამ უფრო გაზარდა საფრთხეების განზომილება და მათი შესაძლებლობები. შესაბამისად ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოებთან ერთად მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა უწევთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. კიბერ საფრთხე მრავალი სახის შეიძლება იყოს, შესაბამისად, მის შესაჩერებლად და აღმოსაფხვრელად

საჭიროა მისი ყველა კუთხით შესწავლა და გაანალიზება, აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ხდება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა სხვადასხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კიბერტერორიზმის საფრთხის და მავნე ჰაკერული ჯგუფების საქმიანობის განხილვას.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერუსაფრთხოება, ჰაკერები, კიბერტერორიზმი, კიბერკრიმინალი, საერთაშორისო უსაფრთხოება.

# CYBER SECURITY AND ITS CHALLENGES IN THE MODERN WORLD

**Mariam Khachidze**
Faculty of Social Sciences, Master's Program in International Relations and International Security Caucasus International University,
**Scientific Assistant: Alika Guchua -** Doctor of Political Science, Associate Professor of the Faculty of Social Sciences of Caucasus International University

Since the invention of the internet and the transition to the digital age, the world has faced many challenges. Technological development has made life easier in many aspects, which has attached people to cyberspace. On the other hand, it has created challenges related to cyber threats.

Based on this, the need to respond to threats from cyber space and ensure cyber security has emerged. Cyber security has become a topic of discussion in the last few decades, as it includes the protection of computer systems and networks from malicious, unauthorized attackers, through which it is possible to access computers and other devices, obtain and improperly disclose sensitive information and data, cause the systemic damage to hardware, etc.

Both, specific individuals – the risk of which is gradually increasing with the development of smart gadgets – and even the states themselves may face cyber threats, as the exploitation and use of cyberspace by aggressive groups has increased the dimension of threats and their capabilities. Therefore, in order to eliminate this problem, the states and various international organizations have to make significant efforts.

Cyber threat might have many types, therefore, in order to stop and eliminate it, it is necessary to study and analyze it from all angles. Therefore, the research examines the ways through which the aforementioned problem is solved by different countries and organizations. Besides, considerable emphasis is placed on discussing the threat of cyber terrorism and the activities of malicious hacker groups.

**Keywords**: Cyber security, Hackers, Cyber terrorism, Cybercrime, International security

# სირიის რეჟიმი ბაშარ ალ-ასადის მმართველობის ქვეშ

**ნოურ ჰამმამი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრი, II კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, ასისტენტი

პოლიტიკური სირთულეებითა და ჰუმანიტარული პრობლემებით სავსე სამყაროში სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი გამოირჩევა, როგორც საკამათო და დიდი გავლენის მქონე პიროვნება. ამ ნაშრომში განხილულია ბაშარ ალ-ასადის ბიოგრაფია, ხელისუფლებაში მოსვლა მამის, ჰაფეს ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ, 2000 წლიდან დღემდე და მისი მმართველობის პერიოდში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, მათ შორის 2011 წლის მომხდარი სამოქალაქო ომი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დამანგრეველ და ტრაგიკულ კონფლიქტად. ჩვენ ასევე განვიხილავთ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას მისი რეჟიმი, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევა, შეიარაღებული კონფლიქტები და ჰუმანიტარული კრიზისები, განსაკუთრებით უდანაშაულო ადამიანის დაკავება და წამება, ბომბების და ქიმიური იარაღის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია მრავალი უდანაშაულო მოქალაქის დაზიანება, იძულებითი გადადგილება და სიკვდილი. გარდა ამისა, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მისი რეჟიმის როლზე საერთაშორისო პოლიტიკაში, მათ შორის მის ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან.

**საკვანძო სიტყვები:** სირიის რეჟიმი, ბაშარ ალ-ასადის მმართველობა, ტრაგიკული კონფლიქტი

# SYRIAN REGIME UNDER THE RULE OF BASHAR AL-ASSAD

**Nour Hammami**
Faculty of Social Sciences, International Relations Bachelor, Caucasus International University, Sophomore year
**Scientific Assistant: Giorgi Pareshishvili** - PhD student in Political Sciences, Assistant

In a world full of political complications and humanitarian problems, the President of the Syrian Arab Republic, Bashar al-Assad, stands out as a controversial and influential figure. The research examones the biography of Bashar al-Assad, his rise to power after the death of his father, Hafez al-Assad, from 2000 to the present, and the most important events that occurred during his rule, including the 2011 civil war, which is considered to be one of the most devastating and tragic conflicts of modern times. Additionally, we investigate the challenges faced by his regime, including human rights abuses, armed conflicts and humanitarian crises, in particular the detention and torture of

noncombatants, the use of bombs and chemical weapons against civilians that have resulted in injuring many innocent civilians, forced displacement and fatalities. In addition, we will focus on the role of his regime in international politics, including its relations with other countries.

**Key words:** Syrian regime, Bashar al-Assad's rule, tragic conflict

# ჰამასის ურთიერთობები იორდანიასა და ეგვიპტესთან ახალი კონფლიქტის ფონზე

**გიორგი ლომუაშვილი** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების IV კურსის სტუდენტი
**ნანო გელანტია** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების II კურსის სტუდენტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური ასისტენტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ახლო აღმოსავლეთში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მიიღო ფართო მასშტაბები, ისრაელსა და ჰამასს შორის დაპირისპირებას ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის უდანაშაულო ქალების და ბავშვებისა ორივე მხრიდან. საინტერესოა განვიხილოთ ჰამასის მიმართება და ურთიერთობები არაბულ სამყაროს ქვეყნებთან, რომელთაგანაც ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მის მეზობელ იორდანიასა და ეგვიპტეზე. თითქოს ერთი შეხედვით ეს სახელმწიფოები პალესტინის მოკავშირეები და მეგობრები უნდა იყვნენ მათი რელიგიიდან და კულტურიდან გამომდინარე თუმცა ეს ასე არ არის და მათი ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური და დაძაბულიც კი არის. ეს საკითხი აუცილებლად მოითხოვს ისტორიულ რაკურს რადაგანც წარსულში მომხდარი მოვლენების გარეშე მისი გაგება რთულია. ეს სახელმწიფოები ერთ დროს პალესტინის მხარდამჭერებად ითვლებოდნენ და კოალიციურ ომებშიც ისრაელის წინააღმდეგ იღებდნენ მონაწილეობას. დაძაბული ურთიერთობები განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ რაც ჰამასი თავს დაესხა ისრაელს 2023 წლის ოქტომბერში, რასაც კონფლიქტის გამწვავება მოჰყვა, დღეს უკვე ამ ორმა სახელმწიფომ მკაცრად გააკრიტიკა ჰამასი და პალესტინელი მშვიდობიანი მოსახლეობის შეფარებაზე უარიც კი განაცხადა. აქ უკვე იკვეთება ის საკითხი თუ სად გადის ზღვარი ჰამასსა და პალესტინის სახელმწიფოს შორის, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ღაზას სექტორში ჩატარებული არჩევნების შედეგად ჰამასი არის კანონიერი მმართველი პარტია. ამ ნაშრომში იქნება განხილული თუ რატომ მოხდა ეს და რა თავისებურებებით ხასიათდება ამ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულება ჰამასის მიმართ.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო ურთიერთობები, ახლო აღმოსავლეთი, კონფლიქტი

# HAMAS RELATIONS WITH JORDAN AND EGYPT AGAINST THE BACKGROUND OF A NEW CONFLICT

**Giorgi Iomuashvili**
Faculty of science, 4th year student of international relations, Caucasus International University
**Nano Gelantia**, Faculty of science, 2nd year student of international relations
**Scientific Assistant: Giorgi Pareshishvili** Caucasus International University affiliated academic assistant, Advisor to the rector of Caucasus International University, PhD student in political science

Recent events in the Middle East have taken on a wide scale, with clashes between Israel and Hamas claiming the lives of thousands of individuals, including innocent women and children on both sides. An intriguing aspect to contemplate is Hamas's diplomatic ties with the Arab world, with particular emphasis on its neighboring countries of Jordan and Egypt. It seems that at first glance these countries should be allies and friends of Palestine based on their religion and culture, yet this is not the case, and their relations are quite complex and even tense. This issue necessarily requires a historical perspective, because without the events that occurred in the past, it is difficult to comprehend. These states were once considered pro-Palestinian and took part in coalition wars against Israel. Strained relations were especially evident after Hamas attacked Israel in October 2023, which led to the aggravation of the conflict, today these two states have strongly criticized Hamas and even refused to shelter Palestinian civilians. The question regarding the demarcation between Hamas and the Palestinian state persists, if we consider that Hamas is the rightful ruling party as a result of the elections held in the Gaza Strip. This study investigates the causes for this occurrence and the peculiarities of the attitude of the two states towards Hamas.

**Key words:** international relations, Middle East, conflict

# ᲤᲘᲜᲔᲗᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ

**ლიზი ცოტნიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, IVკურსი
**ნინი ჭუმბურიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, IVკურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა -** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ევროპის უსაფრთხოება დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ნატოს არაწევრი სახელმწიფოა ამ მოვლენებმა ალიანსში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ნატო მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას სამხედრო-პოლიტიკური მიმართულებით რუსეთის წინააღმდეგ ომში და ანალოგიურად ევროკავშირიც მნიშვნელოვანი დონის მხარდამჭერია უკრაინის. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ფინეთს და შვედეთს უბიძგა ნატოში გაწევრიანებისკენ. ფინეთი მუდმივად ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, ნატოს  შეფასებით ქვეყნის ეს ნაბიჯი მოულოდნელი და ამავდროულად ლოგიკური იყო. ფინეთთან ერთად შვედეთმაც მოითხოვა ნატოში სრული გაწევრიანება, იმ განსხვავებით, რომ შვედეთი ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია. გასათვალისწინებელია თურქეთის საკითხი, რომელიც თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდა შვედეთის ალიანსში მიღებას, მაგრამ მან პოზიცია შეიცვალა. კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ორი სკანდინავიური ქვეყნის გაერთიანების პროცესი ნატოსთვის, გავიგოთ რამდენად მომგებიანი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. რადგან აშკარაა, რომ ალიანსს სჭირდება უფრო მეტი და მეტი დასაყრდენი რუსული აგრესიის შესაჩერებლად და საერთაშორისო უსაფრთხოების დასამკვიდრებლად. ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული რუსეთ-უკრაინის ომზე და იმ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე რომელიც შეიქმნა ამ ომის შედეგად მსოფლიოში. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება იქნება გამახვილებული ფინეთის და შემდგომ შვედეთის გაწევრიანების პოლიტიკაზე და იმ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე რომელიც გააჩნია მათ წევრობას ალიანსში.

**საკვანძო სიტყვები:** ნატო, ფინეთი, შვედეთი. გაწევრიანება, რუსეთ-უკრაინის ომი, აგრესია, გეოპოლიტიკა.

# FINLAND AS A NEW MEMBER STATE OF THE ALLIANCE AND SWEDEN'S ACCESSION POLICY TO NATO

Nini Chumburidze
Faculty of Social Sciences, Bachelor of Social Sciences in International Relations, Caucasus International University, Sophomore year.
**Lizi Tsotniashvili**
Faculty of Social Sciences, Bachelor of Social Sciences in International Relations, Caucasus International University, Sophomore year.
**Scientific Assistant: Alika Guchua,** Doctor of Political Science, CIU Associated Professor.

In February, 2022, Russia's military aggression against Ukraine posed vital challenges to European security. Although Ukraine hasn't joined NATO yet, it prompted adaptation within the alliance. NATO provides Ukraine with significant support, the European Union an equally devoted adherent of this country. Russia's aggressive policy pushed Finland and Sweden to join NATO. Finland had always maintained a stance of neutrality and this move, according to NATO, was rational but unexpected. It is noteworthy that Sweden has applied for full NATO membership as well; nevertheless, this

state  still awaits a response. It should be considered that Türkiye has opposed to the admission of Sweden into NATO, but its initial reservations have been overcome. The purpose of this study is to display that addition of these two Nordic nations presents a vital step for NATO, as in the face of aggression,alliance requires more bases and allies to strengthen itself through all available means. In this research, the subject of focus is Russian-Ukraine war and the geopolitical issues which have been created due to this dispute. Furthermore,  attention is drawn to accession of Finland , and later, Sweden and its geopolitical importance for NATO.

**Key words:** NATO, Finland, Sweden, accession, Russian-Ukraine war, aggression, geopolitics.

# კიბერუსაფრთხოება

**თეონა გაიდაროვი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ამაშუკელი,** სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

21-ე საუკუნის გამოწვევა, რომელიც კიბერუსაფრთხოებას უკავშირდება, განპირობებულია ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარებით და მოიცავს მრავალ მიმართულებას. თავად, საკითხის აქტუალობა არავითარ ეჭვს არ იწვევს და ამის თაობაზე, მსოფლიო თანამეგობრობაში იშვიათი ერთსულოვნება სუფევს; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობის მიერ, კიბერუსაფრთხოება აყვანილია ეროვნული უსაფრთხოების რანგში. ამიტომ, როდესაც საუბარია კიბერუსაფრთხოებაზე, მხედველობაშია კომპლექსური საქმიანობის მთელი წყება, რომელიც სწავლობს, აანალიზებს და პრაქტიკაში ნერგავს პრევენციულ ღონისძიებათა სისტემებს. ამის გამო, თემის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების ძირითადი მიმართულებების ზოგადი დახასიათებაც კი. მით უმეტეს, რომ ამ კუთხით, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სოლიდური კვლევებია ჩატარებული. შესაბამისად, ჩვენი განხილვის მასშტაბები ზღვარდადებული იქნება საკითხის, ზოგიერთი, სისხლისსამართლებრივი ასპექტების კვლევით, რომელიც, ერთი მხრივ, აქტუალურია, ხოლო, მეორე მხრივ, ნაკლებადაა შესწავლილი სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ.

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული ინტერესის ობიექტია  ტერმინ - კიბერდანაშაულის ცნების საკითხი. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა ,,კიბერდანაშაულის,'' როგორც ახალი კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედების მასშტაბის დადგენა, ისევე იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს მან სისხლის სამართლის სისტემაში. გარდა ამისა, აქტუალურია საკითხი ხელოვნური ინტელექტის ადგილზე სისხლის სამართალში. შესაძლებელია თუ არა ხელოვნური ინტელექტი მივაკუთვნოთ კიბერსივრცის სფეროს და, შესაბამისად, კიბერდანაშაულის რომელიმე კომპონენტს.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საკითხთა აქტუალობა განპირობებულია არა მარტო მეცნიერული ინტერესით, არამედ მისი პრაქტიკული საჭიროებებით, რასაც ნაშრომის ძირითად ნაწილში დავასაბუთებთ.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება, პრევენციულ ღონისძიებათა სისტემები, ხელოვნური ინტელექტი, სისხლის სამართალი

# CUBER SECURITY

**Teona Gaidarovi**

Bachelor of Law program, Caucasus International University, 4th year student

**Scientific Assistant: Giorgi Amashukeli,** Doctor of Law, Associate Professor of the Caucasus International University

The challenge of the 21st century related to cyber security is due to the rapid development of technical progress and includes many directions. The actuality of the issue does not cause any doubt, and there is rare unanimity in the world community; Not to mention the fact that most of the countries in the world consider cyber security as a national security issue. Therefore, when we talk about cyber security, we have in mind a whole set of complex activities that study, analyze and implement systems of preventive measures. Because of this, depending on the format of the topic, it is impossible to even give a general description of the main areas of cyber security, especially since in this regard, quite solid studies have been conducted in the world scientific literature. Accordingly, the scope of our discussion will be limited by the study of some criminal aspects of the issue, which, on the one hand, are relevant, and, on the other hand, are less studied by criminal law science.

First of all, the object of scientific interest is the question of the concept of the term - cybercrime. In particular, is it possible to determine the scope of “cybercrime” as a new category of criminal act, as well as to determine the significance it bears in the criminal justice system. In addition, the question of the importance of artificial intelligence in criminal law is relevant. Is it possible to attribute artificial intelligence to the domain of cyberspace and, accordingly, to any component of cybercrime?

We think that the relevance of the aforementioned issues is due not only to scientific interest, but also to its practical needs, which will be proved in the main part of the research.

**Keywords:** national security, cyber security, preventive measures systems, artificial intelligence, criminal law.

# ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში

**თამარი გოგოლაძე**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და
ტექნოლოგიების ფაკულტეტის
ტურიზმის საბკალავრო პროგრამა, 3-ე კურსი.
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გრიგოლ ნემსაძე** კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი.

კაცობრიობის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლამ, რომელიც გლობალიზაციის სახელსატარებს,მსოფლიოსქვეყნებიახალიგამოწვევებისწინაშედააყენა.გლობალიზაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე. გლობალიზაციის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ დიდ წარმატებას, რომლებიც ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ ქვეყნისათვის მისადაგებულ ინოვაციურ პოლიტიკას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს მისი ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული პირობების შექმნასდაწინაღუდგებაეკონომიკისმდგრადიდაუსაფრთხოგანვითარებისშემაფერხებელ მუქარებს.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის გლობალიზაციის პირობებში, დახასიათებულია ეკონომიკური უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორები, სტრატეგია და გამოწვევები. გადმოცემულია ინოვაციების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში.

# ECONOMIC SECURITY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

**Tamar Gogoladze**
Student of Business and Technology faculty, CIU
Bachelor’s program in tourism, third year.
**Scientific supervisor: Grigol Nemsadze**
Associate Professor, Faculty of Business and Technology, CIU.

The transition to a new stage of human development, which is called globalization, has presented countries across the globe with new challenges. The process of globalization directly affects the economic development of individual countries. In the modern world economy, it is impossible to raise the level of development of the national economy without integration into the global economic space. These countries attain tremendous success in the context of globalization by formulating and

executing innovative policies that are tailored to their specific circumstances.

An economy that is economically secure guarantees the fulfillment of national-state objectives, establishes a satisfactory standard of living for both individuals and society and neutralizes risks that impede the economy's sustainable and secure growth.

This research examines the significance and fundamental nature of economic security in relation to the sustainable economic progress of a nation amidst the forces of globalization. The characteristics of internal and external economic security factors, strategies, and challenges are delineated. The significance and function of innovations in the evolution of the contemporary economy are discussed.

# სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა/კონტრდაზვერვის როლი უსაფრთხო სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმარებაში

**რუსუდან ზარიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III-კურსი
**თათია ოსიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III-კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოები სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას უძველესი დროიდან ახორციელებდნენ. ამ ორ დარგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარებაში და განხორციელებაში, როგორც დომინანტობის, ასევე თვითგადარჩენის როლისათვის მებრძოლი სახელმწიფოსათვის. ორივე მიმართულებით საქმიანობა ფარულ და გასაიდუმლოებულ ქმედებებს მოიცავს, რაშიაც სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესის შესაბამისი ინფორმაციების მოპოვების, სრულყოფის, გაანალიზების, საფრთხეების იდენტიფიკაციისა და მათზე რეაგირების მყარი სისტემის ორგანიზების შესაძლებლობები იგულისხმება. სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა და კონტრდაზვერვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს პოლიტიკაში.

არცერთი ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგია/პროპაგანდა არ წარიმართება მყარი სადაზვერვო / კონტრსადაზვერვო საქმიანობის გარეშე. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის სადაზვერვო საქმიანობის წარმატება სადაზვერვო პროპაგანდის სწორ დაგეგმარება-განხორციელებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს უსაფრთხო პოლიტიკის შექმნისათვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების უწყვეტობის ორგანიზება. სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის მნიშვნელოვანი ამოცანებია სამიზნე სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემებსა

და არსებული სამეცნიერო კავშირების მოშლა, ფუნდამენტალური და გამოიყენებით კვლევების შესუსტება, სამხედრო შეიარაღების კუთხით სამეცნიერო მუშაობის პარალიზება და სხვა, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამწვავებას, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოქალაქეების მიგრაციას, „ტვინების გადინებას" და სამეცნიერო პოტენციალის შესუსტებას. არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა ქმნის ხელსაყრელ ვითარებას პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის და მმართველი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისთვის. სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს მმართველი ორგანოების ქმედებების სწორ წარმართვაში, მისი მეშვეობით შესაძლებელია პროცესების სწორი დაგეგმარება-განხორციელება. სახელმწიფოში სამეცნიერო-ტექნიკური სექტორის განვითარება პირდაპირ უკავშირდება ოპერატიულ საქმიანობას და ვითარების უსაფრთხოებას.

**საკვანძო სიტყვები:** დაზვერვა, სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა, სამეცნიერო-ტექნიკური კონტრდაზვერვა, უსაფრთხო სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმარება

# THE ROLE OF SCIENTIFIC-TECHNICAL INTELLIGENCE/COUNTER-INTELLIGENCE IN THE PLANNING OF SAFE STATE POLICY

**Rusudan Zaridze**
International relations undergraduate education program of the Faculty of Social and Humanities of the Caucasus International University, 3rd year student
**Tatia Osiashvili**
International relations undergraduate education program of the Faculty of Social and Humanities of the Caucasus International University, 3rd year student
**Scientific Assistant:** Davit Kukhalashvili, Associate Professor of International University of Caucasus

States have been carrying out intelligence and counter-intelligence activities since ancient times. These two fields are of great importance in the planning and implementation of national security, both for dominance and for the role of self- preservation for a state fighting for its role. Activities in both directions include covert and confidential actions, which involve obtaining, perfecting and analyzing the information relevant to the strategic interest of the state as well as identificating threats and organizing a solid system to respond to them. Scientific-technical intelligence and counter-intelligence play an important role in state policy. No country's political ideology/propaganda can be carried out without solid intelligence/counterintelligence activities. The success of political, economic, military and scientific-technical intelligence activities depends on the correct planning and implementation of intelligence propaganda. It is important to organize the continuity of scientific and technical researches for the creation of a safe policy of the state. The important tasks of scientific and technical intelligence are to disrupt the target state's educational systems and existing scientific connections, to weaken

fundamental and applied research, to paralyze scientific work in terms of military armaments, and others, which ultimately aim at aggravating the socio-economic background, migration of highly qualified citizens, brain draining and the weakening of the scientific potential. Inadequately planned and implemented gentrification-operational activities create a favorable situation for political destabilization and the violent overthrow of the ruling government. Scientific and technical activities play an important role in the correct management of the actions of the governing bodies of the state, through it is possible to correctly plan and implement the processes. The development of the scientific and technical sector in the state is directly related to operational activities and security of the situation.

## კიბერუსაფრთხოების პრობლემატიკა საქართველოში

**ქეთევან ამირბეგოვი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა, სამართალი, ბაკალავრიატი, მე-3 კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე გიორგიძე,**
სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიოს არქიტექტურაში კიბერუსაფრთხოების სფეროს მზარდი მნიშვნელობა აუცილებელს ხდის საქართველოში მეტი ყურადღების დათმობას კიბერუსაფრთხოებისთვის. საქართველო, ეს არის ქვეყანა, რომელიც არაერთხელ გამხდარა კიბერთავდასხმის ობიექტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღითიდღე მატულობს კიბერთავდასხმის რიცხვი, ასევე როგორც უკანასკნელი ათწლეულები აჩვენებს მკვეთრად იზრდება ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა და ინტერნეტის გავლენა სახელმწიფო ცხოვრების ყველა ასპექტზე, აქედან გამომდინარე, კი ეფექტიანი კიბერუსაფრთხოების სისტემის გარეშე, ქვეყნის სტაბილურობა და განვითარება შეიძლება მუდმივად რისკის ქვეშ იყოს.

კიბერუსაფრთხოების იგნორირება ან კიდევ არაადეკვატურად შეფასება ქვეყანას დააყენებს ისეთი ქვეშ როგორიც არის მაგალითად: სამხედრო და ჰიბრიდული საფრთხეებისადმი სისუსტე, ეკონომიკური მოწყვლადობა და ა.შ საერთაშორისო მზადყოფნა აჩვენებს რომ კარგად ორგანიზებული კიბერსივრცის არქიტექტურა სწორად გადანაწილებული უფლებამოსილებები, ანგარიშვალდებულებისა და კოორდინაციის დახვეწილი მექანიზმები წარმოადგენს კიბერსივრცის გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირების გარანტს. ამასთანავე, კიბერსაფრთხეების დაძლევა სხვა ფაქტორთან ერთად, პოლიტიკური ნებასა და სწორ მენეჯმენტზეა დამოკიდებული, რაც შეეხება რეკომენდაციებს , აქ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის საფუძველზე უნდა გამოიყოს ის საკითხები რომლებიც საჭიროებს დახვეწასა და შემდგომში რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს კიბერსივრცის დაცვას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოება გახდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება და მეტი ფინანსური თუ ინტელექტუალური რესურსი მოხმარდეს მის განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერსივრცის არქიტექტურა, კიბერუსაფრთხოება, კიბერ-თავდასხმის ობიექტი

# CYBERSECURITY ISSUES IN GEORGIA

**Ketevan Amirbegovi**
Jurisprudence, Law, Bachelor's Degree, Caucasus International University, Junior year
**Scientific Assistant: Aleksandre Giorgidze,** Doctor of Law, associate professor of Caucasus International University

The increasing importance of cyber security in the architecture of the modern world makes it necessary to pay more attention to cyber security in Georgia. Georgia is a country that has repeatedly become the object of cyberattacks. Statistics gathered by the Ministry of Internal Affairs indicate that the frequency of cyberattacks is progressively escalating., as well as the number of Internet users and the influence of the Internet on all aspects of state life. As the last few decades have demonstrated, the number of Internet users has increased dramatically; therefore, effective cyber security is essential. Without a system, the country's stability and development may be constantly at risk.

Ignoring or even inadequately assessing cyber security will put the country under conditions such as: weakness to military and hybrid threats, economic vulnerability, etc. International preparedness shows that a well-organized cyberspace architecture, properly distributed powers and sophisticated mechanisms of accountability and coordination are the guarantor of the smooth and safe functioning of cyberspace. In addition, overcoming cyber threats, along with other factors, depends on political will and proper management. Concerning the recommendations, it is worth mentioning that the identification of areas requiring improvement should be grounded in international standards and practices. Deliberating on these matters will significantly enhance the protection of cyberspace. Additionally, it is critical that the state prioritize cyber security and devote additional intellectual and financial resources to its development.

**Keywords:** cyberspace architecture, cyber security, object of cyber attack

# ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

**გიორგი ქვლივიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, მესამე კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური ასისტენტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი.

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს ქვეყნების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას, რის შედეგადაც თითოეულ

ქვეყანაში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორებზე. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია თითოეული შეიარაღებული კონფლიქტის ანალიზი, რათა სწორად შევაფასოთ არსებული სიტუაცია და მოვახდინოთ დროული რეაგირება იმისთვის, რომ დაცული იქნეს საერთაშორისო უსაფრთხოება. ამ ნაშრომში გაანალიზებულია სუდანის რესპუბლიკაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის როგორც მაპროვოცირებელი ფაქტორები, ასევე მისი მიმდინარეობა.
აფრიკის კონტინენტი გამოირჩევა არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციით და ხშირად არსებული კონფლიქტები შეიარაღებულ კონფლიქტებად იქცევა, რაც დიდი გამოწვევაა როგორც აფრიკის კონტინენტის ქვეყნების კეთილდღეობისთვის, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. ერთ-ერთი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც აქტუალურია დღეს მსოფლიოსთვის, არის დაპირისპირება სუდანში, სუდანის რეგულარულ არმიასა და გასამხედროებულ დაჯგუფება ,,სწრაფი მხარდაჭერის ძალებს" შორის, რომელიც 2023 წლის 15 აპრილს დაიწყო. აღნიშნული შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობა და შედეგი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სუდანის შემდგომ განვითარებაზე. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, როგორც შეიარაღებული დაპირისპირების შეჩერება, ასევე კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ანალიზი, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრება.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო ურთიერთობები, შეიარაღებული კონფლიქტი, კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტორები

# TITLE OF THE ABSTRACT: THE EMERGENCE AND DEVELOPMENT OF ONGOING ARMED CONFLICT IN THE REPUBLIC OF SUDAN

**Giorgi Kvlividze**
Faculty of Social Sciences and Humanities, Program in International Relations, Undergraduate, Caucasus International University, Junior year
**Scientific Assistant: Giorgi Fareshishvili** – political science doctoral student of the Caucasus International University

The current globalization process in today's world leads to the close interdependence of countries. As a result, every armed conflict in each country has a significant impact on other actors of international relations. Therefore, it is important to analyze each armed conflict to assess the current situation accurately and respond on time to ensure that international security is protected. The thesis analyses both the provoking factors of the armed conflict in the Republic of Sudan and its progress.

The African continent is distinguished by an unstable political situation and often existing conflicts turn into armed conflicts, which is a big challenge for both the welfare of the countries of the African continent and international security. One of the armed conflicts that is relevant to the world today is the confrontation in Sudan, between the Sudanese regular army and the paramilitary group known as the Rapid Support Forces, which commenced on April 15, 2023. The course and

outcome of this armed conflict will have a significant impact on the further development of Sudan. Simultaneously, it is critical to cease armed hostilities and conduct an analysis of the conflict's origins in order to pinpoint its definitive causes.

**Key words:** international relations, armed conflict, conflict provoking

# ამერიკის როლი ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებაში

**ქრისტინა საგინაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, ასისტენტი

ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა არაერთ შემთხვევას გვიჩვენებს, სადაც იკვეთება აშშ-ის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. მოხსენებაში განხილული იქნება აშშ-ის როლი ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებაში. ამერიკა სამხედრო თვალსაზრისით წარმოადგენს ნომერ პირველ სახელმწიფოს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ჩართულობას მსოფლიოში მიმდინარე დაპირისპირებებში. ჰამასის მიერ ისრაელზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ აშშ ცდილობს, ომი უფრო ფართო, რეგიონულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს. ამერიკის მხარდაჭერა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ განსაზღვრავს მის სამხედრო უპირატესობას. ომმა ნათლად დაგვანახა ამერიკის დაინტერესება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტში. აღნიშნული სახელმწიფო მზადაა ისრაელს გაუგზავნოს სამხედრო ავიამზიდი, საბრძოლო ხომალდები და ავიაგამანადგურებლები. მიმდინარე კონფლიქტში ამერიკა ატარებს ,,შემრიგებლურ" პოლიტიკას. ფართომასშტაბიანი ომის თავიდან ასარიდებლად ჯო ბაიდენი ცდილობს, იმოქმედოს სწრაფად და გადამწყვეტად,რომ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით ავიამზიდი შეიყვანოს, სპარსეთის ყურეში თვითმფრინავები,რადგან მას სურს შეკავების ძალიან მკაფიო გზავნილი გაუგზავნოს სახელმწიფოებს. კონფლიქტის მოგვარების გზად ბაიდენს ორი სახელმწიფოს შექმნა მიაჩნია.მისი განცხადებით, ისრაელის მიერ ღაზის სექტორის ოკუპაცია შეცდომაა,რაც მოგვიანებით გამოიწვევს დაპირისპირებულ მხარეებში ომის კიდევ უფრო გაღრმავებას. ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობა მიანიშნებს,რომ ამერიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებაში,არამედ მსოფლიოში ძალთა ბალანსის შენარჩუნებაში.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური პროცესი, რეგიონული კონფლიქტი, სამხედრო უპირატესობა

# AMERICA'S ROLE IN THE ISRAEL-HAMAS CONFLICT

**Christina Saginadze**
Faculty of Social and Humanities, 1st year student of International Relations Bachelor's Program, Caucasus International University
**Scientifc assistant: Giorgi Fareshishvili –** political science doctoral student of the Caucasus International University, advisor to the rector of the Caucasus International University and chairman of the Niko Nikoladze Society

Historical experience and practice show a number of cases when US participation in political processes is evident. The report will discuss the role of the US in the Israel-Hamas conflict. From a military point of view, America is the number one state, which significantly determines its involvement in the current conflicts in the world. Following the attack on Israel by Hamas, the US is trying to prevent the war from escalating into a wider regional conflict. America's support for any state determines its military advantage. The war clearly showed America's interest in the ongoing conflict in the Middle East. The mentioned state is ready to send a military aircraft carrier, warships, and fighter jets to Israel. In the current conflict, America pursues a policy of liberty. In order to avoid a large-scale war, American President Joe Biden is endeavoring to take prompt and resolute action to bring an aircraft carrier to the east of the Mediterranean Sea, and planes to the Persian Gulf, because he wishes to convey to the states an unequivocal message of restraint. Biden considers the creation of two states to be the way to resolve conflict. According to him, Israel's occupation of the Gaza Strip is a mistake, which will later lead to further deepening of the war between the opposing sides. The concurrence of events and facts suggests that the United States maintains its "dark power" status in the world and is a significant player not only in the Israeli trade conflict but also in other matters.

**Keywords:** political process, regional conflict, military advantage.

# სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის კონფლიქტი და ამერიკის შეერთებული შტატების როლი მათ შორის არსებულ ურთიერთობაში

**თეკლა კოჭლოშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, I კურსი

**კესო კაკულია**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, I კურსი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური ასისტენტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

გრძელვადიანი დაძაბულობა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის, 1950 წლის 27 ივნისს დაიწყო სამხედრო დაპირისპირების სახით, ამ უკანასკნელმა სამი წელი გასტანა, თუმცა მათ შორის კონფლიქტი იდეოლოგიური განსხვავებების, ისტორიული მტრობისა და ბირთვული საფრთხის საფუძველზე დღემდე გრძელდება. რეგიონი რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ ცხელ წერტილად. მათ შორის დაძაბულმა ურთიერთობამ შექმნა მუდმივი განგაშის მდგომარეობა აღმოსავლეთ აზიაში, რაც აიძულებს მეზობელ ქვეყნებსა და გლობალურ ძალებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყურადღებით აკონტროლონ მოვლენები. შეერთებული შტატები გადამწყვეტ როლს თამაშობს დაძაბული სიტუაციის მართვაში. როგორც სამხრეთ კორეის მთავარ მოკავშირესა და მნიშვნელოვან ფიგურას, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, მცდელობა აქვს შეამციროს კონფლიქტის ესკალაციის რისკი. სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით და სხვადასხვა დიპლომატიური გზებით ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

კორეის ნახევარკუნძული დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოს უსაფრთხოებაზე მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. სამხედრო ესკალაციის რისკი ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობის არაპროგნოზირებადი ბუნების ფონზე აჩენს ბირთვული იარაღის პოტენციური გამოყენების შიშს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილოეთ კორეა გასული წლიდან ახორციელებს უფრო და უფრო მოწინავე ბალისტიკური რაკეტებისა და ქობინების გამოცდას. სამხრეთ-ჩრდილოეთ კორეის კონფლიქტი ხაზს უსვამს მტკიცე საერთაშორისო ძალისხმევის აუცილებლობას რეგიონული კრიზისის პრევენციისთვის, რადგან ამ უკანასკნელმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

ნაშრომში განხილულია სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის კონფლიქტი, როგორც გამოწვევა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის და ამერიკის შეერთებული შტატების როლი მათ შორის არსებულ ურთიერთობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ბირთვული საფრთხე, არასტაბილურ ცხელ წერტილი, სამხედრო ესკალაციის რისკი

# THE CONFLICT BETWEEN SOUTH AND NORTH KOREA AND THE ROLE OF THE UNITED STATES OF AMERICA IN THEIR RELATIONSHIP

**Tekla Kotchlohvili**
Social Sciences, International Relations, Undergraduate, Caucasus International University, Freshman year
**Keso Kakulia**
Social Sciences, International Relations, Undergraduate, Caucasus International University, Freshman year
**Scientific Assistant: Giorgi Pareshishvili,** Caucasus International University's affiliated, academic assistant, PhD student in Political sciences

A military confrontation between North and South Korea on June 27, 1950, sparked protracted tensions that persisted for a period of three years. However, the conflict between them based on ideological differences, historical enmity, and nuclear threat continues to the present day. The area remains to be one of the most volatile hotspots in the world. The adversarial relationship between the two parties has created a constant state of alert in East Asia, prompting neighboring countries and global powers including the U.S.A. to monitor developments closely. The United States plays a crucial role in managing a tense situation. As a key ally of South Korea and a major figure in the Asia-Pacific region, the U.S. has attempted to mitigate the risk of conflict escalation. By considering strategic interests and using various diplomatic methods, the U.S. endeavors to maintain stability in the region.

The Korean Peninsula has a great impact on the world's security because of its strategic significance. Concerns about the potential use of nuclear weapons are heightened due to the unpredictability of North Korea's leadership and the risk of military escalation. This is especially true in light of the fact that North Korea has been conducting tests of increasingly sophisticated ballistic missiles and warheads since last year. The South-North Korea conflict underscores the necessity for strong international efforts to mitigate the risk of a regional crisis, because, the latter could have a negative impact on global safety.

The research examines the conflict between South and North Korea as a challenge to international security and the role of the United States of America in their relationship.

**Key words:** nuclear threat, unstable hotspot, risk of military escalation

# ამერიკის როლი ისრაელ-ჰამასის კონფლიქტში

**თეკლა გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, I კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური ასისტენტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა არაერთ შემთხვევას გვაჩვენებს,სადაც იკვეთება აშშ-ის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. ნაშრომში განხილული იქნება აშშ-ის როლი ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებაში. ამერიკა სამხედრო თვალსაზრისით წარმოადგენს ნომერ პირველ სახელმწიფოს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ჩართულობას მსოფლიოში მიმდინარე დაპირისპირებებში. ჰამასის მიერ ისრაელზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ აშშ ცდილობს ომი უფრო ფართო, რეგიონულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

ამერიკის მხარდაჭერა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ განსაზღვრავს მის სამხედრო უპირატესობას. ომმა ნათლად დაგვანახა ამერიკის დაინტერესება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტში. აღნიშნული სახელმწიფო მზადაა ისრაელს გაუგზავნოს სამხედრო ავიამზიდი, საბრძოლო ხომალდები და ავიაგამანადგურებლები.

მიმდინარე კონფლიქტში ამერიკა ატარებს ,,შემრიგებლურ'' პოლიტიკას. ფართომასშტაბიანი ომის თავიდან ასარიდებლად ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ცდილობს იმოქმედოს სწრაფად და გადამწყვეტად,რომ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით ავიამზიდი შეიყვანოს, სპარსეთის ყურეში თვითმფრინავები, რადგან მას სურს შეკავების ძალიან მკაფიო გზავნილი გაუგზავნოს სახელმწიფოებს. კონფლიქტის მოგვარების გზად ბაიდენს ორი სახელმწიფოს შექმნა მიაჩნია. მისი განცხადებით, ისრაელის მიერ ღაზის სექტორის ოკუპაციაა შეცდომაა, რაც მოგვიანებით გამოიწვევს დაპირისპირებულ მხარეებში ომის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობა მიანიშნებს, რომ ამერიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებაში,არამედ მსოფლიოში ძალთა ბალანსის შენარჩუნებაში.

**საკვანძო სიტყვები:** დაპირისპირება, რეგიონული კონფლიქტი, ოკუპაცია

# AMERICA'S ROLE IN THE ISRAEL-HAMAS CONFLICT

**Tekla Gogoladze**
Social Sciences, International Relations, Undergraduate, CIU, Freshman year
**Scientific Assistant: Giorgi Pareshishvili,** Caucasus International University's affiliated, academic assistant, PhD student in Political sciences

Historical experience and practice show a number of cases when US participation in political processes is evident. The report analyzes the role of the US in the Israel-Hamas conflict. From a military point of view, America is the number one state, which significantly determines its involvement in the current conflicts in the world. Following the attack on Israel by Hamas, the US is trying to prevent the war from escalating into a wider regional conflict. America's support for any state determines its military advantage. The war clearly showed America's interest in the ongoing conflict in the Middle East. The mentioned state is ready to send a military aircraft carrier, warships and fighter jets to Israel.

In the current conflict, America pursues a policy of liberty. In order to avoid a large-scale war, American President Joe Biden is trying to act quickly and decisively to bring an aircraft carrier to the east of the Mediterranean Sea, and planes to the Persian Gulf, as he intends to convey a resolute message of restraint to the states. Biden considers the creation of two states to be the way to resolve the conflict. According to him, Israel's occupation of the Gaza Strip is a mistake, which will later lead to further escalation of the war between the opposing sides. The combination of facts and events indicates that America plays an important role not only in the Israeli trade conflict, but also in maintaining the "dark power" in the world.

**Keywords:** conflict, regional issue, occupation

# კვიპროსის ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივები

**მარია კუმურუ**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, მესამე კურსი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კესე-უს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

კვიპროსის დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ აქტუალურია და დღემდე განიხილება, ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები კვიპროსსა და თურქეთს შორის. კონფლიქტი, დავა და მოლაპარაკებები კვიპროსსა და თურქეთს შორის უკვე კვიპროსის დღის წესრიგად იქცა, რომელიც დაიწყო 1974 წელს და დღემდე

გრძელდება. კვიპროს-თურქეთის საუკუნოვანი კონფლიქტი უმეტესად ადგილობრივი მასშტაბით განიხილება, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზეცაა ცნობილი. ეს ყველაფერი იწყება ორ სხვადასხვა ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფის დამკვიდრებით ერთ კუნძულზე, როდესაც ერთი ჭარბობდა მეორეს და უპირატესობები ჰქონდა მეორეზე, რაც ერთმანეთში აგრესიას იწვევდა, რასაც მოჰყვა შემდგომ ომი, დაიყო კვიპროსი ორ ნაწილად და დაიწყო მოლაპარაკებები მიწებისა და საცხოვრებელი ტერიტორიების დასაბრუნებლად, თურქეთმა კვიპროსის კუნძულის 36% დაიკავა, თუმცა ამას არც კვიპროსი და არც ევროპის ქვეყნები არ აღიარებენ. ნაშრომის მიზანია, გავიგოთ თუ რა შედეგები ჰქონდა თურქეთ-კვიპროსის ომს, რა გავლენა იქონია კვიპროსის მოსახლეობაზე აღნიშნულმა კონფლიქტმა. რამდენად შედეგიანი იყო, 1974 წლიდან მოყოლებული, მათ მიერ ჩატარებული რეფერენდუმები და რა შეღავათი გაუწია კვიპროსის ლტოლვილ მოსახლეობას ამ პროცესმა. განხილულია კვიპროს-თურქეთის თავდაპირველი ურთიერთობები და ომის წამოწყების გამომწვევი მიზეზები და ამავე დროს კვიპროსის ტერიტორიული კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივები.

# PROSPECTS OF SETTLEMENT OF TERRITORIAL CONFLICT IN CYPRUS

**Maria Koumourou**
Faculty of Social sciences and Humanities, International Relations, Bachelor, Caucasus International University, Junior year.
**Scientific assistant: Alika Guchua -** Doctor of Political Science, Associate Professor of the Faculty of Social Sciences of Caucasus International University

Cyprus and Turkey are currently engaged in ongoing negotiations concerning the matter of Cyprus' independence, which remains pertinent and a subject of ongoing debate. The agenda of Cyprus has been dominated by conflict, disputes, and negotiations between Cyprus and Turkey, that commenced in 1974 and continues up to the present day. The centuries-old conflict between Cyprus and Turkey is mostly discussed on a local scale, despite the fact that it is also recognized internationally. The conflict arises from the establishment of two distinct ethnic-religious groups on a single island; when one group gains an advantage and triumphs over the other, it incites internal strife and ultimately escalates into a full-scale war dividing Cyprus into two parts and starting negotiations for the return of lands and residential areas. Turkey occupied 36% of the island of Cyprus despite the fact that neither Cyprus nor European nations recognize this. The research is focused on comprehending the consequences of the Turkish-Cyprus war and its influence on the population of Cyprus, how effective the referendums they held since 1974 were and what benefits this process brought to the refugee population of Cyprus. The discussion revolves around the initial relations between Cyprus and Turkey, the causes of the start of the war, and the possibilities of resolving the territorial conflict in Cyprus.

**Keywords:** Cyprus, conflict, Turkey, buffer zone, Greece.

# პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

**ქეთი შუბითიძე**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, III კურსი

**ერეკლე ოსიაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, III კურსი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი -** ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ეკონომიკური და პოლიტიკური დაზვერვა ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი დარგებია, მათ განსხვავებული სამიზნე ობიექტები გააჩნიათ და იყენებენ როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ მეთოდებს დასახული მიზნის მისაღწევად.

ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ორივე ზემო აღნიშნული მიმართულება ძირითადად ორიენტირებულია საფრთხეების იდენტიფიცირებაზე და რისკების შეფასებაზე. მათ მოვალეობაში შედის დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს შესახებ საიდუმლო, სრულიად საიდუმლო და არა საიდუმლო ხასიათის მონაცემთა სისტემატური მოპოვება, მისი ანალიზი და კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფებთან, რათა სახელმწიფოსადმი მიმართული საფრთხეების თავიდან აცილების/ ნეიტრალიზაციის უზრუნველმყოფი ღონისძიებები განხორციელდეს.

როგორც სადაზვერვო, ისე კონტრსადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირება და მათზე დამაზიანებელი შეღწევადობის განხორციელება, სათანადო კონტროლის მოპოვების მიზნით, რაც დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სექტორულ დასუსტებას და საერთაშორისო პოზიციების მოშლას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო არენაზე დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს პოტენციური მოქმედების ზუსტი პროგნოზირებისათვის სადაზვერვო საქმიანობა მოითხოვს დეტალური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, სამიზნე ქვეყნის ლიდერების და მნიშვნელოვანი პირების, პირთა ჯგუფების შეხედულებებზე, თვისებებზე, ჩვევებზე, უნარებზე, ურთიერთობებზე, ჯანმრთელობასა და პროფესიულ ისტორიაზე, რაც მზვერავ სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას კარგად განსაზღვროს ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობის ფორმა ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერთან მიმართებით. სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებულია ეკონომიკური დაზვერვის როლი. იგი ორიენტირებულია დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობაზე, მათ შორის ფინანსურ ბაზრებზე, სავაჭრო მონაცემებზე, ინდუსტრიის ტენდენციების მონიტორინგზე და ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მისი მიზანია გავლენა მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის დინამიკაზე, სავაჭრო მოლაპარაკებებსა და ეკონომიკურ

კონკურენტუნარიანობაზე რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხო და წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება პოლიტიკურ დაზვერვას იგი კონცენტრირებულია უცხოური მთავრობების, პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და გეოპოლიტიკური მოვლენების შესწავლაზე, რათა მოხდეს უსაფრთხო საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. პოლიტიკური დაზვერვა ეყრდნობა დიპლომატიურ არხებს, ღია და დახურულ წყაროებში მოპოვებულ ინფორმაციას. მთლიანობაში ეს მონაცემები მზვერავი სახელმწიფოს ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, დაიცვან თავიანთი სუვერენიტეტი, განჭვრიტონ უსაფრთხოების გამოწვევები და ეფექტურად უპასუხონ განვითარებულ კრიზისებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგიების, მოლაპარაკებებისა და დიპლომატიური ინიციატივების შემუშავებისთვის, ის ეხმარება მზვერავ სახელმწიფოს სწორად შეაფასოს საერთაშორისო ლანდშაფტი და მიიღოს დროული, უსაფრთხო და სტრატეგიული გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ერის ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში. ეს მექანიზმები არა მხოლოდ იძლევა ღირებულ შეხედულებებს სხვა სახელმწიფოების განზრახვებსა და ქმედებებზე, არამედ ხელს უწყობს სწორი და უსაფრთხო პოლიტიკის დაგეგმარება-გატარებას, რასაც შეუძლია გააძლიეროს როგორც სახელმწიფოს სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, აგრეთვე სწორად და დროულად უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობის რთულ ქსელში უსაფრთხო ლავირება.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზვერვო საქმიანობა, კონტრსადაზვერვო საქმიანობა, პოლიტიკური დაზვერვა, ეკონომიკური დაზვერვა, საფრთხეების იდენტიფიცირება, საფრთხეების ნეიტრალიზაცია.

# THE ROLE OF POLITICAL AND ECONOMIC INTELLIGENCE IN INTERNATIONAL RELATIONS

**Keti Shubitidze**
Faculty of Social and Humanities, International Relations, Caucasus International University, Junior year
**Erekle Osiashvili**
Faculty of Social and Humanities, International Relations, Junior year
**Scientific Assistant: Davit Kukhalashvili** - Doctor of History, Doctor of Professional Safety, Associate Professor of Caucasus International University.

Economic and political intelligence are the most important branches of national security. They have different target objects and use both similar and different methods to achieve the set goal. Both of the above-mentioned directions vital for national security are mainly focused on identifying threats and assessing risks. Their responsibility entails the methodical procurement of classified, and

non-classified information pertaining to the subject of state intelligence, as well as its subsequent analysis and dissemination to decision-making entities with the intention of executing strategies to avert or neutralize risks to the state.

One of the main goals of both intelligence and counter-intelligence activities is to identify vulnerable sectors in the state of the intelligence object and to execute detrimental penetration of them, in order to attain adequate control, which ensures the sectoral destabilization of the state of the surveillance target and disruption of international standings.

The object of intelligence in the international arena is to accurately predict the potential action of the state. Intelligence activities require the collection and processing of detailed information on the views, qualities, habits, skills, relationships, health and professional history of the leaders of the target country and important persons, groups of persons, who give the intelligence state the opportunity to well determine the form of economic-political relation with the leader of this or that country. The role of economic surveillance is special in ensuring the stability of national security of the state. It is a focused surveillance facility on the state's economic activities, including financial markets, trade data, monitoring industry trends, and economic policy. Its purpose is to influence the dynamics of economic policy, trade negotiations and economic competitiveness, which ensures the establishment of a safe and successful economic policy of the state. As for political surveillance, it concentrates on studying the positions of foreign governments, political leaders, and geopolitical events in order to make safe foreign policy decisions. Political intelligence relies on diplomatic channels, and the information obtained from open and closed sources. Collectively, this data enables the surveillance state's authorities to protect their sovereignty, anticipate security challenges, and effectively respond to emerging crises, which is vital for the development of foreign political-economic strategies, negotiations, diplomatic initiatives and strategic decisions in the process of foreign policy formation. Intelligence and counter-intelligence activities of a political and economic nature play a crucial role in protecting the nation's interests and national security. These mechanisms not only provide valuable insights into the intentions and actions of other states, but also contribute to the planning and implementation of correct and safe policies, which can enhance the state's ability to gain strategic advantage, as well as ensure secure and timely navigation in the complex network of international relations.

**Keywords:** intelligence activity, counterintelligence activity, political intelligence, economic intelligence, identification of threats, neutralization of threats.

# პეკინი - ტაიბეის დაპირისპირება და მისი გავლენა მთელს მსოფლიოზე

**ანა სამხარაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, კურსი I
**ნინო კახნიაური**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი, კურსი I
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური ასისტენტი,პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

ჯვარედინი სრუტის ურთიერთობები (ზოგჯერ უწოდებენ მატერიკ-ტაივანის ურთიერთობებს ან ჩინეთ-ტაივანის ურთიერთობებს) არის ურთიერთობები ჩინეთსა და ტაივანს შორის 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მას შემდეგ, რაც ტაივანის ადმინისტრაცია იაპონიიდან ჩინეთის რესპუბლიკაში გადავიდა, ტაივანის პოლიტიკურ სტატუსზე, ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული და საკამათო იყო. 1949 წელს, როდესაც ჩინეთის სამოქალაქო ომი გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის (CCP) სასარგებლოდ, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობამ, კუომინტანგის (KMT) მეთაურობით, უკან დაიხია ტაივანში და დააარსა დროებითი დედაქალაქი ტაიპეიში. მას შემდეგ პეკინსა და ტაიპეის მთავრობებს შორის ურთიერთობა შეზღუდული კონტაქტით, დაძაბულობითა და არასტაბილურობით ხასიათდება. ტაივანის დემოკრატიზაციის შემდეგ, ტაივანის პოლიტიკურ და სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით საკითხმა ყურადღება მიიპყრო არჩევანზე ჩინეთთან პოლიტიკურ გაერთიანებასა თუ ტაივანის დამოუკიდებლობას შორის. PRC რჩება მტრულად განწყობილი დამოუკიდებლობის ნებისმიერი ოფიციალური გამოცხადების მიმართ და ინარჩუნებს თავის პრეტენზიას ტაივანზე.

ტაივანსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა 2022 წლის აგვისტოში აშშ-ს პალატის მაშინდელი სპიკერის, ნენსი პელოსის მიერ კუნძულზე ვიზიტის შემდეგ. პეკინმა დაგმო ქალბატონი პელოსის ვიზიტი, როგორც "უკიდურესად საშიში". ჩინეთმა დაიწყო სამხედრო წვრთნების სერია, მათ შორის ბალისტიკური რაკეტების გასროლა, რომელიც ორიენტირებული იყო ტაივანის გარშემო ექვს საშიშ ზონაზე, რომელთაგან სამი გადაფარავდა კუნძულის ტერიტორიულ წყლებს.

ტაივანის ეკონომიკა უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის. მსოფლიოს ყოველდღიური ელექტრონული აღჭურვილობის დიდი ნაწილი - ტელეფონებიდან ლეპტოპებითა და საათებით დამთავრებული - იკვებება ტაივანში დამზადებული კომპიუტერული ჩიპებით.

ნაშრომში განხილულია ჩინეთ-ტაივანის კონფლიქტი და მათი როლი მსოფლიოს ეკონომიკაზე

**საკვანძო სიტყვები:** ჯვარედინი სრუტის ურთიერთობები, ტაივანის პოლიტიკურ სტატუსი, სამხედრო წვრთნები, ეკონომიკა

# THE BEIJING-TAIPEI CONTROVERSY AND ITS IMPACT AROUND THE WORLD

**Ana Samkharadze**
Social sciences, International Relations, Undergraduate,
Caucasus International University, Freshman year
**Nino Kakhniauri**
Social sciences, International Relations, Undergraduate,
Caucasus International University, Freshman year
**Scientific supervisor:** Giorgi Fareshishvili – Caucasus International University's affiliated, academic assistant, political science doctoral student

Cross-Strait relations (sometimes called Mainland-Taiwan relations or Sino-Taiwan relations) have been the relations between China and Taiwan since the end of World War II in 1945. After the administration of Taiwan was transferred from Japan to the Republic of China, the political status of Taiwan was quite tense and controversial. In 1949, when the Chinese Civil War turned decisively in favor of the Chinese Communist Party (CCP), the government of the Republic of China, led by the Kuomintang (KMT), retreated to Taiwan and established a temporary capital in Taipei.

Since then, relations between the governments of Beijing and Taipei have been characterized by limited contact, tension and instability. After Taiwan's democratization, the issue of Taiwan's political and legal status has focused attention on the choice between political unification with China or Taiwanese independence. The PRC remains hostile to any formal declaration of independence and maintains its claim to Taiwan.

Relations between Taiwan and China deteriorated sharply after a visit to the island by then US House Speaker Nancy Pelosi in August 2022. Beijing condemned Ms. Pelosi's visit as "extremely dangerous". China has launched a series of military exercises, including the launch of ballistic missiles aimed at where there were six danger zones around Taiwan, three of which overlapped the island's territorial waters. Taiwan's economy is vital to the rest of the world. Much of the world's everyday electronic equipment—from phones to laptops and watches—is powered by computer chips made in Taiwan.

The article examines the China-Taiwan conflict and their role on the world economy.

**Keywords:** cross-strait relations, political status of Taiwan, military exercises, economy